

39°  
1963

თბილისის სახ.  
ყნიერსტუმ  
ეროვნულ  
ც. 88

1963 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



# გ რ მ ა ე ბ ი

Т Р У Д Ы

Тбилисского государственного  
университета

88

ბიოლოგიური სერია (ჰისტოლოგია)  
Серия биологическая (гистология)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



# გრამატიკი

ТРУДЫ

Тбилисского государственного  
университета

88

ბიოლოგიური სერია (კიბეტოლოგია)  
Серия биологическая (гистология)

## დაიბეჭდი

ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის  
საბჭოს დადგენილებით

### სასახლე და მცირე კოლეგია:

- ა. ლეზავა (რედაქტორი),
- ლ. ნათაძე,
- ე. არზიანი (მდივანი),
- ლ. კუტუბიძე,
- |გ. სიბარულიძე|.

## გ ი ნ ა გ ა ნ ი ს ტ ე მ ი ს ტ ე მ ი ს

1. ა. ლეჟავა. ცხოველთა ორგანიზმების სტრუქტურული განვითა- რების ზოგიერთი საკითხი . . . . .	5—24
2. გ. კვინიშვილე. ზოგიერთი მონაცემები ფრინველების ჩანასახის ოპტიკური არის მეზენჯიმის შესახებ . . . . .	43—52
3. ა. ლეჟავა და ე. ტოროტაძე. ეპითელიუმის წამწამოვანი უჯ- რედების ფიალისებრ ელემენტებად გარდაქმნის შესახებ . . . . .	53—60
4. გ. გორგილაძე. ბაყაყის ტონური და ტეტანური კუნთების ვას- კულარიზაციისა და ინერვაციის შესახებ . . . . .	61—70
5. მ. სიხარულიძე და ა. ლეჟავა. ზოგიერთი ამფიბიის, რეპ- ტილიის და შინაური ქათმის ეპითელიუმებს შორისი შესაყა- რი კლაკაში . . . . .	71—88
6. გ. კორძაია. ხერხემლიან ცხოველთა საყლაპაფი მილისა და კუ- ჭის მოსახლვრე მიღამოს ჰისტოლოგიისათვის . . . . .	89—98
7. ა. ლეჟავა და მ. კოლოევარი-მარკინა. ეპითელიუმებს შო- რისი შესაყარის მიღამოს განვითარება შინაური ქათმის კლაკაში . . . . .	99—106
8. ე. არზიანი. ჰისტოლოგიური ცვლილებები ეპითელიუმების შე- საყარის მიღამოში ზოგიერთი ფრინველის კლაკაში (ჩატის- ნაირი Anseriformes) . . . . .	107—115

## СОДЕРЖАНИЕ

1. А. С. Лежава.	Некоторые вопросы структурного разви-	
	тия животных организмов . . . . .	25—42
2. Г. С. Квирихидзе.	Некоторые данные о мезенхиме оп-	
	тической области эмбрионов птиц . . . . .	43—52
3. А. С. Лежава и Э. Э. Торотадзе.	К превращению мер-	
	цательных клеток эпителия в бокаловидные . . . .	53—60
4. Г. И. Горгиладзе.	К васкуляризации и иннервации то-	
	нических и тетанических мышц лягушки . . . . .	61—70
5. М. М. Сихарулидзе и А. С. Лежава.	Межэпителиальный стык в клоаке некоторых амфибий, рептилий и	
	домашней курицы . . . . .	71—88
6. М. А. Кордзана.	К гистологии пограничного участка	
	пищевода и желудка у позвоночных животных (че-	
	репаха— <i>Testudo greca</i> ). . . . .	89—98
7. А. С. Лежава и М. Л. Коложвари-Маркина.	Разви-	
	тие области межэпителиального стыка в клоаке домаш-	
	ней курицы . . . . .	99—106
8. Е. К. Арзиани.	Гистологические изменения эпителиев в	
	области стыка в клоаке некоторых птиц (гусеобраз-	
	ные— <i>Anseriformes</i> ) . . . . .	107—115

ა. ლ ე ჭ ა გ ა

ცხოველთა ორგანიზების სტრუქტულული  
განვითარების ზოგიერთი საკითხი

როგორც ისტორიულ წარსულში არსებულ, ისე ჩვენს დროში მცხოვრებ თრგანიზმთა სტრუქტურების განზოგადებული დახასიათება მეტად ძნელია. ეს სიძნელე გაპირობებულია ცხოველთა მორფოლოგიურ თავისებურებათა არასაკმარისი ცოდნით, აგრეთვე მრავალი მილიონი წლის განმავლობაში მიმდინარე ცხოველთა სამყაროს თანამიმდევრობით ცვალებადი ფორმების და სტრუქტურების და მათი განვითარების პროცესების ცოტად თუ ბევრად სრული სახით აღდგენის შეუძლებლობით. მაგ., რბილი ქსოვილების ევოლუციური განვითარება ჩვენთვის სრულიად უცნობია და არსებითად ამა თუ იმ ცხოველის ფილოგენეზს ვცვლით შედარებითი მორფოლოგიური მონაცემებით. ამიტომ მეცნიერების თანამედროვე მონაცემების მიხედვით ორგანიზმთა სტრუქტურული განვითარების ცალკე ეტაპების წარმოსადგენად იძულებულნი ვართ შევქმნათ სამუშაო სქემები, ჰიპოთეზები და შევავსოთ ისინი ჩვენი შესედულებით ყველაზე უფრო სავარაუდო წარმოდგენებით.

ორგანიზმთა სტრუქტურული განვითარების პრობლემა ყველაზე განზოგადებული სახით გულისხმობს რიგი საკითხების განხილვას:

1. სიცოცხლის საწყისი ფორმების განვითარებას, ე. ი. დედამიწაზე სიცოცხლის ჩასახვის პირველ მომენტებს;
2. სიცოცხლის უჯრედამდელი ფორმების განვითარებას;
3. უჯრედოვნების განვითარებას და
4. ე. წ. მრავალუჯრედოვანი ორგანიზმების განვითარების ცალკეულ ეტაპებს.

აქ ჩვენ შევეხებით ამ დიდი პრობლემის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს.

დედამიწაზე სიცოცხლის ჩასახვის პირველი მომენტების შესახებ ჩვენ გაგაჩნია ისეთი არაპირდაპირი მონაცემები, რომლებიც ეყრდნობიან სამყაროს მისაწვდომი ნაწილის გამო-პლევებს ფიზიკური და ქიმიური ანალიზის უწვრილესი მეთოდების გამოყენებით, აგრეთვე მათ შემცეს მოდელურ ცდებს. ამ მონაცემების საფუძველზე უკვე შეიძლება წარმოდგვნების დასახვა მატერიის შესაძლებელი ევოლუციის გზების შესახებ არაორგანული ნაერთებიდან ისეთ როგორც ნივთიერებათა გაჩერებულები, როგორიცაა ამინომჟავები, პოლიპრიდები და სხვა. ამავე დროს, სიცოცხლის გაჩერების გზაზე მატერიის განვითარების ყველაზე მცირედ შესწავლილ ეტაპს წარმოდგენს შედარებით მარტივი ცილისმაგვარი ნივთიერებათა, კვერმზარდი სირთულის ბიოქიმიურ სისტემებში, ხოლო შემდეგ უკვე ნივთიერებათა ცვლის უნარის მეონე ცილინდრ სხეულებში გადასვლის საფეხური (გ. დ ე ბ რ ი ნ ი, 1957).

განვიხილოთ მოყვებები ის პირველები, რომლებშიაც შესაძლებელი იყო ჩვენს პლანეტაზე გაჩერებული ცოცხალი არსებები.

თანამედროვე მცენიერული მონაცემების თანახმად, დედამიწაზე სიცოცხლე ჩაიტანებული იქნება გაცივების პროცესში \*. აირ-მტკრისებრი დრუბლის სახით მყოფი დედამიწა (ც. ს კ კ ლ კ ვ ი, 1957), ჯეფ რეის ს ი ს \*\* თეორიის თანახმად, დაახლოებით 5000 წლის განმავლობაში გადაკიდა თხევად მდგომარეობაში. შემდგომში დედამიწის გაცივების და მყარ მდგომარეობაში გადასცლის პერიოდი ძლიერ გაგრძელდა. გაცივების პერიოდში, დედამიწის წილიდან ვულკანური ამონტევევების დროს, სხვა არაორგანულ ნაერთებთან ერთად უნდა ორთქლის სახით ამოსულიყო წყალიც და შეექმნა ოკეანები. ე. ი. ჰიდროსფერო, რომელიც წარმოადგნდა დედამიწაზე სიცოცხლის გაჩერნის აუცილებელ პირობას (ც. ფრესკური, 1957). მატერიის აფეთქებების, ე. ი. ბიორთული ევოლუციის შედეგად, დედამიწის წარმოშობის შემდეგ, მის ზედაპირზე ცოცხალ არსებათა წარმოშობამდე, 1—2,5 მილიონი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქიმიური ევოლუცია (მ. კალვინი, 1957). დროის ასეთი დიდი მონაკვეთის მანძილზე დედამიწის ზედაპირზე ფიზიკური აგნტების გავლენით არაორგანული შენაერთებიდან განუშვებული იქმნებოდა და გროვდებოდა ორგანული შენაერთები: ამინომჟავების, ჰეტეროციკლური შენაერთების, აცეტილენის და სხვათა სახით. მათი წარმოშობა მ. კა ლ ვ ი ნ ი ს თანახმად, შესაძლებელი იყო ოთხი გზით, რაც დასტურდება სათანადო ექსპრიმენტებში. ერთი მხრივ, მნის ულტრაიისტური გამოსხივების გავლენით; მეორე მხრივ, მეტალური კარბიდების წყალთან რეაქციის შედეგად აცეტილენის წარმოშობისა და მისი მომდევნო პოლიმერიზაციით (ამ თვალსაზრისის ავითარებს ა. ო პ ა რ ი ნ ი, 1957); მესამე მხრივ, რადიკალური შენაერთების მიერ მაღლი ენერგეტიკული რადიაციის გამოსხივებით; მეოთხე მხრივ, ელექტრული განმუშტების მოქმედებით ელვის წარმოშობის მსგავსად. უკანასკნელ შემთხვევაში მეთანის, წყალადის, ამონიაგის და წყლის ურთიობორგებულებით წარმოშობა ამინომჟავების ტაბის ერთობლებისთვის დაკავშირებული ნახშირბადოვანი ნენაერთები, რომლებიც, როგორც ცნობილია, წარმოადგენ ცილების აშენების ძირითად მშენებელს. მიკროორგანიზმების არასტებობის პირობებში ეს ორგანული შენაერთები დედამიწის ზედაპირზე დიდი რაოდენობით უნდა დაგროვილიყო. ერთიმეორებული არეული ორგანული, ნახშირწყალადოვანი და არაორგანული შენაერთების განუშვებული რეაქციაში მყოფ ამ მასას, ქიმიური ევოლუციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, როგორც მ. მ ი ტ ჩ ე ლ ი (1957) ამბობს, უნდა შეექმნა წყლსაყრელი პირობები პირველი ცოცხალი არსების გაჩერნისათვის.

ორგანულ ნივთიერებათა ეკოლუციური განვითარების მწყობრი ჰიპო-  
თეზი დაწყრილებით აქვს წარმოდგენილი ა. ოპარინს თავის მონოგრა-  
ფიაში. სრულიად დასაშვებია, რომ გარე გარემოსთან ნივთიერებათა გა-  
ნუწყვეტლივი ცვლის თვისებების მქონე ცილოვანი სისტემები დასაშეინდი-  
არსებობდნენ ერთომეორები არეულ, ორგანულ-ნახშირწყალბადოვან ნერთე-  
ბის სისქეში კოლოიდური მასით წარმოდგენილი კუნძულების სახით და მათ-  
თან განუწყვეტლივ იყვნენ შერწყმულნი. ამ ცილოვან სისტემებს, პირველ  
ხანებში, ალბათ, მცირე გამძლეობის—არამყარი კომპლექსების, შლადი და  
კელავ სინთეზირებადი ნაერთების ხასიათი ჰქონდათ.

არსებობის არახელსაყრელ პირობებში, ე. ი. გარე გარემოში ცვალება-  
დობის გავლენით, „შერჩევის“ შედეგად ასეთი „ცოცხალი“ სისტემების განვი-  
თარების მნიშვნელოვან ეტაპად მიჩნეული უნდა იქნეს მათ მიერ თანდათანო-  
ბით მდგრადობის შეძენა და მეტ-ნაკლებად გარე გარემოსაგან გაცოცოფა,  
ე. ი. მათ ირგვლივ გარსების განვითარება. ამგარად, პირველ, ყველაზე  
მარტივ „ცოცხალ“ სისტემებს უნდა ჰქონოდათ ერთგვარი ინდივიდუალიზი-  
რება და შეგუებისა და ოვითშენახვის უნარი. მაგრამ, უნდა დაგუშვათ, რომ  
ეს სხვადასხვა სირთულის ცილვანი ნაერთები მასობრივად იშლებოდნენ და  
ქრეაცია ისახებოდნენ.

\* ერსებობს საწინააღმდეგო აზრიკ.

\*\* പ്രസിദ്ധീകരണം 3. സന്തോഷമുണ്ട് (1957).

ქ. ბერნალის (1957) მოსაზრებაზე დაყრდნობით პრიმიტიულ ცოცხალა არსებათა განვითარების გზაზე მეორე მნიშვნელოვან ეტაპად უნდა მიმდინარეობოს თვალოთ ნუკლეინის მეავის და ცილის კომლექსის წარმოქმნა, ე. ი. ისეთი რთული ქიმიური ნაერთებისა, რომლებსაც, როგორც ეს ახალი გამოკვლევების საფუძველზე ამჟამად კარგად არის ცნობილი, გააჩნიათ ცოცხალი ერთეულისათვის მეტად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი თვისება—თვით-კვლავწარმოქმნის უნარი.

ასეთ ნაერთებს, ე. ი. ნუკლეინის მეავისთან დაკავშირებულ ცილებს, სხვა კომპონენტებთან კომპლექსში უნდა შეექმნათ ახალი ეტაპი ცოცხალ არსებათა განვითარებაში. მათ უნდა შეეძინათ სხეულის დაზიანებული და დაკარგული ნაწილების აღდგენის ანუ, რეგენერაციის უნარი. რეგენერაციის უნარის შეძენას ცოცხალი არსებისათვის უნდა მიენიჭებინა უფრო მდგრადი ხასიათი. პრიმიტიული ცოცხალი არსების სხეულის ნაწილების რეგენერაცია ჩვენ წარმოდგნილი გვაქვს როგორც დაკარგულის თანაბარი ან მეტი, ან ნაკლები მასის ახლად შექმნა. ჩვენ ვთიქმობთ, რომ სწორედ ცოცხალი სისტემის განვითარების ამ საწყის ეტაპზე უნდა ჩასახულიყო ცხოველთა ორგანიზმების ესოდენ დამახასიათებელი თვისებები—რეაქტიულობა და პლასტიკურობა.

რეგენერაციის უნარი, ბუნებრივია, უნდა გადაზრდილიყო ზრდის უნარში, რომელიც გამოიწვევდა სხეულის მოცულობის მაქსიმალურ გაღიდებას. ამგვარად, გარკვეულ ეტაპზე გარე გარემოსაგან მეტი თუ ნაკლები ხარისხით გამოყოფილ პრიმიტიულ ცოცხალ არსებებს უნდა გამომუშავებოდა გადამეტებული ზრდის მექანიზმი. მაგრამ სხეულის მასის ზრდას გააჩნია თავისი საზღვრები. როგორც ცნობილია, ყოველი მოზარდი ცოცხალი მასა, მათ შორის უჯრედიც, თავის განვითარებაში აღწევს გარკვეულ მოცულობას და შემდეგ წყვეტს ზრდას. ზრდის შენელების და შეწყვეტის მოვლენები კარგად აისწენება ნივთიერების მასისა და მისი თავისუფალი ზედაპირის შეფარდებით, რომელიც უშუალო ურთიერთობაშია გარე გარემოსთან. ცნობილია, რომ 1 სმ<sup>2</sup> მოცულობის სხეულს გააჩნია 6 სმ<sup>2</sup> თავისუფალი ზედაპირი. მოცულობის ორჯერ გადიდების შემდეგ, ე. ი. 2 სმ<sup>2</sup> სხეულს უკვე აქვს თავისუფალი ზედაპირის არა 12, არამედ 10 სმ<sup>2</sup>, ხოლო მოცულობის ოთხჯერადი გადიდებისას, ე. ი. 4 სმ<sup>2</sup> სხეულის თავისუფალი ზედაპირი უდრის არა 24 სმ<sup>2</sup>, არამედ 18 სმ<sup>2</sup>.

ამგვარად, სხეულის მოცულობის გადიდებასთან ერთად მისი თავისუფალი ზედაპირი პროგრესულად კლებულობს. ზედაპირის შეფარდება სხეულის მოცულობასთან პრიმიტიულ ცოცხალ არსებებში, ისევე როგორც უჯრედში, ქ. ვერკმანის და ქ. ვილსონის (1954) მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობაზე, ე. ი. არეგულირებს საკვებ ნივთიერებათა დიფუზიის სისწრაფეს შიგნითა მიმართულებით და დაშლის პროდუქტების გარეთ გამოყოფას.

ცოცხალი არსების თავისუფალი ზედაპირის შემცირებასთან დაკავშირებით ნივთიერებათა ცვლა თანდათან იყლებს და, ბოლოს, სავსებით წყდება. ამ მომენტისათვის ცოცხალი მასის ახლად წარმოქმნა და მისი დაშლა ერთობენის ტოლია და ნივთიერებათა ცვლა რომელიმე გარკვეულ დონეზე სტაბილური ხდება. ცოცხალი სხეულის საერთო მასის გადიდება შემდგომში კრიზისს განიცდის, რომელიც ჩვეულებრივ დაძლევა მისი ორ ნაწილად გაყოფის გზით. ამასთანავე, სხეულის მასის გაყოფა აღაღგენს ცოცხალ

სისტემასა და მის თავისუფალ ზედაპირს შორის ადრინდელ შეფარდებას და, ამგვარად, კვლავ უზრუნველყოფს ღრობით შეწყვეტილ ნივთიერებას ცვლის ინტენსივობის უფრო მაღალ ტემპს.

ამგვარად, ისევე როგორც ერთუჯრედოვან ორგანიზმთა გაყოფა, თანამედროვე უჯრედამდელ არსებათა გაყოფაც განხილული უნდა იქნეს, როგორც ცოცხალი სისტემის შორეულ წარსულში შეძენილი ისეთი თვისება, რომელიც იწვევს მისი მასის გადიდებას. რამდენადც ამ შემთხვევაში საქმე ეხება მთლიანი ორგანიზმების გაყოფას, იგი ამავე დროს წარმოადგენს ცოცხალ არსებათა კვლავწარმოქმნის მექანიზმს.

როგორც ჩანს, თვით ცოცხალ არსებათა და აგრეთვე უმთავრესად მათ ორგველივ არსებულ გარემოს ქიმიურ შედგენილობას უნდა განესაზღრა დედამიწის პირველ ცოცხალ არსებათა მოცულობა. ეს ოდენობები მოცემული უმარტივესი ცოცხალი არსების განვითარების მიმართულებასთან დაკავშირებით, ყოველ ცალკე შემთხვევაში, თანდათანობით კონსტანტური უნდა გამხდარიყო. ჩვენ ვიცნობთ მრავალ თანამედროვე მიკროორგანიზმს და უმარტივეს არსებებს და ყველა მათგანს ახასიათებს განსხვავებული, მაგრამ სხეულის განსაზღვრული კონსტანტური მოცულობა, რომელიც გაპირობებულია მათში ნივთიერებათა ცვლის განსხვავებული ხასიათით.

ეს დებულება გამოსაღებია როგორც ერთუჯრედოვან, ისე მრავალუჯრედოვან ორგანიზმთა მიმართაც. სხეულის განსხვავებული კონსტანტური ოდენობები, აგრეთვე სხვადასხვა ფორმა, რომლითაც ხასიათდება ერთუჯრედოვან და მრავალუჯრედოვან ორგანიზმთა უჯრედები, ყოველგვარი სხვა მომენტის გარეშე, აგრეთვე გაპირობებულია მათში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის არათანაბარი ინტენსივობით.

მესამე ეტაპად უნდა ჩაითვალოს თვითალდგენის უნარის მქონე ცოცხალ სისტემებშე უფრო რთული, ე. წ. უჯრედწინა სტრუქტურების განვითარება, ე. ი. ისეთი ცოცხალი პროტოპლაზმისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაყოფილი ბირთვისა და ციტოპლაზმის ნაწილებად.

ბოლოს, უჯრედწინა არსებათა განვითარება, რაც მიმდინარეობდა ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე, თანდათან რთულდებოდა და, საყოველთაო შეხედულების თანახმად, დასრულდა უჯრედული სტრუქტურის ორგანიზაციით, ე. ი. მისი დიფერენცირებით ბირთვულ და ციტოპლაზმურ ნაწილებად.

ამგვარად, ორგანულ ნივთიერებათა განვითარების თვალწიფელი ღრობის მანძილზე, რომელიც დასრულდა ერთუჯრედოვანი ორგანიზმების ჩამოყალიბებით, ჩვენ ვთიქრობთ, რომ პირობით შეიძლება ოთხი პერიოდის გამოყოფა:

1. ცოცხალი, თვითმედგრენის სისტემის წარმოშობა. ეს არის გარე გარემონან მეტა-ნაკლები ხარისხით გამოცალეჭვებული ნივთიერებათა ცვლის უნარის მქონე შედარებით მარტივი ცილინგრი შენაერთები („ცოცხალი ცილი“).

2. თვითალმდგრენები, ინდივიდუალიზირებული ცოცხალი სისტემის წარმოშობა — ე. ი. უფრო რთული კომპლექსებისა, რომლებიც შეიცვენ ცილასთან დაკავშირებულ ნუკლეიინის მჟავას.

3. უჯრედწინა სტრუქტურების წარმოქმნა, ე. ი.—ბირთვულ და ციტოპლაზმურ ნაწილებად ჯერ კიდევ დაუყოფელი ცოცხალი პროტო-

პლაზმისა. ეს არის ცილისა და ნუკლეინის მეაցის რთული შენაეროფიზიკური კონსტრუქტურული პრინციპების, პლისახარიდების და სხვათა კომპლექსები და ბოლოს

4. უჯრედის წარმოქმნა, მისთვის დამახასიათებელი სრული ორგანიზაციით.

ჩევნ ვიცით, რომ შემდგომი განვითარებისას ცხოველთა ორგანიზმების სხეულის მოცულობის გადიდება წინ წავიდა და უჯრედული ოდენობებით არ განსაზღვრულა.

განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ ცხოველთა სამყაროს ევოლუცია წარიმართა პროგრესული მიმართულებით და თავის განვითარებაში უმაღლეს დონეს მიაღწია დიდი ზომის ორგანიზმებში. მაშასადამე, ორგანიზმთა ევოლუციურ პროცესს თან ახლდა მათი სხეულის საერთო მოცულობის გადიდება. უფრო მეტიც, შეიძლება იმის მტკიცება, რომ სხეულის მოცულობის გადიდება ცხოველთა სამყაროს ევოლუციური პროგრესისათვის და, კერძოდ, აღამიანის წარმოშობისათვის ერთერთ გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა.

როგორც წესი, ერთუჯრედოვანი ორგანიზმი მიკროსკოპული ოდენობისაა. ამიტომ იბადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ მიკრონული სიღილის ცოცხალმა არსებამ, როგორიცაა უჯრედი, მიაღწია ასეთ დიდ ზომას. უნდა ვითიქროთ, რომ ერთუჯრედოვანი ორგანიზმების მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ზრდა ერთი უჯრედული სისტემის ფარგლებში ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობის იმავდროული შემცირების გამო პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ცოცხალ არსებათა პროგრესულ განვითარებაში ეს მოვლენა იგრეთვე განხილული უნდა იქნეს როგორც კრიზისული მომენტი. სხეულის ფორმის ცვალებადობა, როგორიცაა დაგრძელება, განშტოება, პირის ნაპრალის განვითარება და ერთუჯრედოვანი ორგანიზმების ფუნქციათა ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებული სხვა ამგვარი მოვლენები არ შეადგენდა საკითხის რადიკალურ გადამწყვეტას. სხეულის თავისუფალი ზედაპირის გადიდებას, რომელიც ამ დროს ხდება, და, მაშასადამე, გარედან საკვებ ნივთიერებათა შეღწევის გაძლიერებას, მართალია, შეეძლო რამდენადმე ხელი შეეწყო ერთუჯრედოვანი ორგანიზმების გადიდებისათვის, ვინაიდნა სხეულის ფორმის ამგვარი ცვალებადობა გარკვეულ ფარგლებში ადიდებს შედარებით თავისუფალ ზედაპირს, მაგრამ ისევ შეზღუდულ ფარგლებში და არ იძლევს დასახელებულ ორგანიზმის ზრდას ფართო გასაქნეს\*. ასეთი შესაძლებლობა ისტორიულ წარსულში უნდა განხორციელებულიყო ცოცხალ არსებათა შინაგანი დანწევრების საშუალებით უჯრედულ ტერიტორიიებად, ე. ი. უჯრედის გაყოფით მათი ერთი მეორე ისახავან გათიშვის გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნივთიერებათა ცვლის ინტენსიფიკაცია და მასთან დაკავშირებული ორგანიზმის მნიშვნელოვანი ზრდა მიღწეული იყო მისი დანაწევრებით უჯრედულ ტერიტორიებად, მათი ერთი მეორე საგან გათიშვის გარეშე. ამგვარად, მეტაზოების უჯრედოვანება წარმოგვიადგება როგორც ნივთიერებათა ცვლის ფუნქცია.

\* ფუნქციების ინტენსიფიკაციასთან ერთად, გარე გარემოს პირობებთან თანდათანობითაც შეგვებამ პრიმიტულ ცოცხალ არსებათა (როგორც ჩანს, მცენარეულ ორგანიზმებშიაც) შორის უთუოდ გამოიწვია ადგილზე გადანაცვლების უნარის განვითარება, მაგრამ ჩვენ ამ საკითხს აქვევებით.

მაშასადამე, ორგანიზმის ზრდა განხორციელდა მისი შინაგანი დაწერულებით ცალკე უჯრედულ ერთეულებად, სადაც ეს ნაწილები ერთი მთლიანი ორგანიზმის სახით ერთიმეორესთან იყვნენ დაკავშირებულნი. მრავალუჯრედოვანი ორგანიზმების გაჩენა და ინტეგრაციის დაწყებითი საფეხურის განვითარება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური მოვლენა იყო ორგანიზმების პროგრესული განვითარების გზაზე.

ჩვენ აქ არ შევეხებით მრავალუჯრედოვანი ორგანიზმების წარმოშობის თეორიებს, ვინაიდან ასეთი განზოგადებული და ამავე დროს მოკლე მიმოხილვის ფარგლებში, როგორიც ეს სტატია, საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდა კონკრეტულად ორგანიზმის დანაწევრება უჯრედულ ტერიტორიებად, პრინციპული შენიშვნელობა არა იქვე \*.

პირველ ხანებში, როგორც ჩანს, უჯრედული კომპლექსები წარმოადგენდნენ ღრმებით ერთიმეორესთან დაკავშირებულ და ადვილად განშორებად უჯრედების კოლონას, რომლებიც სიცოცხლის მეორე ნახევარში დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდნენ. შემდგომში ორგანიზმის ინტეგრაციული ფუნქციების განვითარებასთან და გაძლიერებასთან დაკავშირებით, უნდა ვიფიქროთ, უჯრედებმა თანდათან დაკარგეს დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი და უფრო მეტად იქცნენ მთლიანი ორგანიზმისაგან დამოკიდებულ ნაწილებად.

მრავალუჯრედოვნების წარმოშობასთან დაკავშირებით ორგანიზმების სტრუქტურული განვითარება გადადის ახალ ფაზაში, რომელსაც ახასიათებს მისი შემადგენელი ორგანოების ფუნქციების და სტრუქტურების თანდათანობითი გართულება.

პირველ ხანებში ორგანოები ერთუჯრედოვანია, ხოლო შემდეგ, სხეულის მასის მომატებასთან და ფუნქციების ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებით — ისინი მრავალუჯრედოვანი ხდებიან. მრავალუჯრედოვანი ორგანიზმების განვითარება დაკავშირებული უნდა იქნეს ორგანოებში ქსოვილური სტრუქტურების ჩასახვასთან. ორგანიზმების თანდათანობითი გართულება და ამასთან დაკავშირებით ორგანოების მულტიფუნქციონალურობა სათანადო ართულებს მათი შემადგენელი ქსოვილების და უჯრედების ფუნქციებსა და სტრუქტურებს — უკანასკნელი მრავალგვაროვანი ხდებიან.

უჯრედშორისი ნივთიერებათა წარმოქმნა და განვითარება, თავის მხრივ, აისსნება განვითარების პროცესში გართულების გზაზე მდგომი მრავალუჯრედოვანი ორგანიზმის ორგანოებში ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა ხასიათით და არათანაბარი ინტენსივობით.

უჯრედშორისი ნივთიერებები, ისე როგორც ორგანიზმების ყოველგვარი სტრუქტურა, ასახავს მათში მიმდინარე სხვადასხვა ხასიათის ნივთიერებათა ცვლის პროცესს.

ამგვარად, განუწყვეტილივ გართულების გზაზე მდგომ არგანოებში თანდათანობით განვითარდა და გართულდა უჯრედების და უჯრედშორისი ნივთიერებების აგებულება — წარმოიშვა და გართულ და ქსოვილები.

\* თანახმად ხლოპინის (1959) შეხედულებისა, ამჟამად ბევრი დამაჯერებელი მონაცემი ადასტურებს მრავალუჯრედოვანი ორგანიზმების კოლონიური წარმოშობის თეორიას და ცელულარზაფიის თეორიის წინააღმდეგ მეტყველებს.

უჯრედის ჩამოყალიბების შემდეგ უჯრედშორისი ნივთიერებების წარული მოქმნა და განვითარება, აგრეთვე ქსოვილოვანი სტრუქტურების წარმოქმნა და განვითარება წარმოადგენს შემდგომ ახალ ეტაპებს ნივთიერებათა ცვლისა და ორგანოთა ფუნქციების გართულების გზაზე.

ახლა შევეხებით უჯრედის, ორგანოს და ქსოვილის მნიშვნელობისა და ურთიერთობის ზოგიერთ მხარეს.

ცნობილია, რომ უჯრედები ცხოველთა სამყაროში მეტად მრავალგვარ ფუნქციებს ასრულებენ, მაგრამ მათი შედარება სავსებით მართებულია. უღა-ვოდ ბუნებრივია, რომ უჯრედთა სტრუქტურების და ფუნქციების დასახასია-თებლად უნდა მოტანილ იქნეს ფაქტები როგორც ერთუჯრედოვანი, ისე მრავალუჯრედოვანი ორგანიზმების სფეროდან. ამავე დროს, ცალკე უჯრე-დებს შორის ზოგჯერ ისეთ დიდ განსხვავებას პოულობენ, რომ ერთ მათ-განს თავისი ბიოლოგიური გრძელებით უპიროსისირებენ მეორეს. ამ მხრივ, უფრო ხშირად, დაპირისისირების მაგალითს წარმოადგენს ერთუჯრედოვანი ორგანიზმის უჯრედი მრავალუჯრედოვანი ორგანიზმის უჯრედის მიმართ. ასეთი დაპირისისირების არგუმენტად, ჩვეულებრივ, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ პირველი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზმს, მეორე კი მხოლოდ ორგანიზმის ნაწილს. მიუთითებენ აგრეთვე ერთუჯრედოვანი ორგანიზმის უჯრედის სირთულეზე მრავალუჯრედოვან იორგანიზმის უჯრედებთან შე-დარებით.

ასეთი თვალსაზრისი გამოითქვა, მაგ., რამდენიმე წლის წინათ უჯრედუ-ლი თეორიის თანამედროვე გაგებისაღმი მიღლვნილ კონფერენციაზე (ვ. ე ლ ი-ს ე ვ ი, 1955). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ფართო განზოგადების თვალსაზრი-სით ხაზი უნდა გაესვას არამარტო განსხვავებას პროტოზოათა და მეტაზოათა უჯრედებს შორის, როგორც ამას ჩვეულებრივ ჩადიან, არამედ მათ შორის სტრუქტურებისა და ფუნქციების მსგავსებასაც.

მართლაც, რაში გამოიხატება მსგავსება და განსხვავება, ერთი მხრივ, პროტოზოათა და მეტაზოათა უჯრედებს შორის და, მეორე მხრივ, მრავალ-უჯრედოვანი ორგანიზმების უჯრედებს შორის. მსგავსება, უპირველეს ყოვ-ლისა, გამოიხატება მათ უჯრედოვნებაში, ე. ი. არსებობის უჯრედულ ფორმაში და კონსტანტურ მიკრონულ მოცულობაში. როგორც ცნობილია, ორგანიზმთა უჯრედული აგებულება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გან-ზოგადებას ბიოლოგიაში.

გარდა ამისა, პროტოზოათა და მეტაზოათა უჯრედების მსგავსება გა-მოიხატება მათი შინაგანი ორგანიზაციის შესაბამისობაში, ე. ი. ორივე მათ-განში ერთი და იმავე სავალდებულო ორგანოიდების კომპლექსის (ციტო-ბლაზმისა, ბირთვისა, ქონდრიოზომებისა, ცენტრალური სხეულაპისა და გოლუჯის აპარატის) არსებობაში. ცხოველთა სამყაროს ყველა უჯრედის სტრუქტურათა ასეთი ცოტად თუ ბევრად უნივერსალური ხასიათი უემელად გულისხმობს მათში მიმდინარე აგრეთვე ზოგადი — უნივერსალური ფუნქციების მიმდინარეობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზოგადუჯრედული ორგანოიდები უნდა ასრულებდნენ ზოგადუჯრედულ ფუნქციებს.

რა ფუნქციებს უნდა ასრულებდნენ ზოგადუჯრედული ორგანოიდები? ასეთ ზოგად ფუნქციას, რომელიც დამახასიათებელი იქნებოდა, გამონაკლისის გარეშე, როგორც პროტოზოათა, ისე მეტაზოათა ყველა უჯრედისათვის, ეჭვს-გარეშე, წარმოადგენს ნივთიერებათა ცვლა, რომლის მეოხებითაც მიმდინა-

რეობს უჯრედის როგორც ცოცხალი ერთეულის ცხოველმყოფელამისათვეს აუცილებელი პროცესები—ასიმილაცია და დისიმილაცია და, მათ ბაზაზე, ლევენერაცია და გამრავლება გაყოფის საშუალებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნივთიერებათა ცვლის ეს სახე წარმოადგენს ზოგადუჯრედულ ფუნქციას,—ფუნქციას, რომელიც დამახასიათებელია ყველა უჯრედისათვის პირველ რიგში. ამიტომ მას შეიძლება კუშოდოთ უჯრედის ძირითადი ანუ ბაზისური ნივთიერებათა ცვლა.

ზოგადუჯრედული ფუნქციების გარდა, უჯრედები, როგორც ცნობილია, ასრულებენ აგრეთვე რიგ კერძო ხასიათის ფუნქციებს (როგორიცაა, მაგ., აგზნებადობის ფუნქცია, კუმშვადობის ფუნქცია, სეკრეტორული, მექანიკური და სხვა), რომლებიც პაირობებენ სხვადასხვა სახის უჯრედებს შორის არსებულ განსხვავებებს. როგორც ცნობილია, ორგანიზმთა განვითარების სხვადასხვა ეტაზე უჯრედული სტრუქტურა გამოყენებულია სხვადასხვაგარად. ორგანიზმის მცირე ოდენობის დროს უჯრედით წარმოდგენილია ორგანიზმი მთლიანად, ხოლო ორგანიზმის ზრდასთან და გართულებასთან დაკავშირებით უჯრედი წარმოადგენს ან ორგანოს, ან ორგანოს ნაწილს, ან—ბოლოს—ქსოვილის ნაწილს ორგანოს შემაღლებულობაში. ასეთი მრავალფეროვნების შესაბამისად სხვადასხვა ფუნქციის მატარებელ უჯრედთა გარეგანი ფორმა და შინაგანი ორგანიზაციაც არ არის ერთგვარი. უკვე არსებული სავალდებულო სტრუქტურების (ციტოპლაზმის, ბირთვის, ორგანოიდების) გარდა, მასში დამატებით უნდა განვითარონენ და არსებობდნენ სხვადასხვაგარი ფუნქციების შესასრულებლად ადეკვატური—სპეციალური სტრუქტურები—ფიბროლები, ვაკუოლები, სხვადასხვაგარი ჩანართი ნივთიერება, შოლტები, წამწამები და სხვა. ერთი სიტყვით, უჯრედის დასახელებული განსხვავებული სტრუქტურები სავსებით უნდა ასახვდეს ამა თუ იმ სახის უჯრედების ფუნქციურ თავისებურებებს.

ამის შესაბამისად, ნივთიერებათა ცვლაც, რომელიც უზრუნველყოფს ამ კერძო ხასიათის ანუ სპეციალურ ფუნქციებს, უნდა აღინიშნოს როგორც უჯრედის სპეციალური ნივთიერებათა ცვლა.

უჯრედთა სპეციალური ფუნქციები, უნდა ვითიქროთ, ვითარდება ყველა უჯრედისათვის საერთო ბაზაზე—მისი მუდმივი ორგანოების და ორგანონიდების მიერ თანდათანობითი შეგუებით ახალი დამატებითი ფუნქციების შესრულებისადმი. ამ გზით, კერძოდ, ემბრიონული განვითარების დაწყებითს სტადიებზე, დაახლოებით სხვადასხვა ნერგის უჯრედული მასალის დეტარმინაციამდე სტრუქტურულად ერთგვაროვან უჯრედულ მასალაში უჯრედის მუდმივი კომპონენტების ხარჯზე უნდა ხორციელდებოდეს ზოგადუჯრედული ფუნქციები. ჩანასახში ფუნქციების ლოკალიზაციის შემდეგ კი, ე. ი. ორგანოების დიფერენცირების შემდეგ სათანადო ნერგების უჯრედებში დამატებით უნდა წარმოიშვას სპეციალური ფუნქციები სპეციალური—დამახასიათებელი სტრუქტურებით.

ზოგადი და სპეციალური ფუნქციები ერთნაირად დამახასიათებელია როგორც პროტოზოათა, ისე მეტაზოათა უჯრედებისათვის. ამ ფუნქციების ორივე სახეს უზრუნველყოფს უჯრედის ერთი და იგივე აპარატი.

მაშასადამე, ყოველ დიფერენცირებულ უჯრედში, იქნება იგი ერთუჯრედოვანი თუ მრავალუჯრედოვანი ორგანიზმის უჯრედი, არსებობს ორმაგი

(და არა განცალკევებული) ფუნქციის მატარებელი აპარატის რომელიც უზრუნველყოფს როგორც ზოგად, ისე სპეციალურ ნივთიერებათა ცვლას\*.

თუ გამოთქმულ თვალსაზრისს შევაჯამებთ, უნდა დავასკვნათ, რომ და-  
სახელებული ორი კატეგორიის—პროტოზოათა და მეტაზოათა უჯრედებს  
შორის არსებობს როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. მსგავსება გამოიხა-  
ტება მათ აგებულებაში, ე. ი. არსებობის უჯრედულ ფორმაში დამახასიათე-  
ბელი შინაგანი ორგანიზაციით, რაც დაკავშირებულია უჯრედის აღეკვატურ  
ფუნქციასთან—ზოგად ნივთიერებათა ცვლასთან. განსხვავება კი გამოიხა-  
ტება უჯრედში დამატებით აღმოცენებული კერძო ხასიათის სპეციალური  
ფუნქციების და მათთან აღეკვატურად დაკავშირებული სპეციალური სტრუქ-  
ტურების არსებობაში. კერძოდ, სპეციალური ფუნქციებით ერთიმეორისაგან  
განსხვავდება არა მარტო სხვადასხვა პროტოზოას უჯრედი მეტაზოას უჯრე-  
დებისაგან, არამედ ცალკე ორგანოების ქსოვილოვანი უჯრედებიც, რომელიც  
მრავალუჯრედოვან ორგანიზმებში განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ. ეს  
დებულება ვრცელდება სასქესო უჯრედებზედაც, რომლებიც ორგანიზმებში  
რეპროდუქციის ფუნქციას ასრულებენ.

ამგვარად, უჯრედის ზოგადი და სპეციალური ფუნქციების წინასწარი  
მიმოხილვის შემდეგ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მისი სათანადო გან-  
საზღვრაც. უჯრედი არის თავისებურად დიფერენცირებული  
(ციტოპლაზმა, ბირთვი, ორგანოიდები), რეპრეზდუქციის  
უნარის მქონე მიკროსკოპული ოდენობის ცოცხალი სის-  
ტემა, რომელსაც გააჩნია რეაქტიულობის, თავისი სხეულის  
ნაწილების რეგენერაციისა და სპეციალური დიფერენცირების  
დისუნარი.

მოძღვრებას ორგანოებზე ჰისტოლოგიაში შედარებით მცირე ყურადღებას უთმობენ. ასე მაგალითად, აკადემიკოს ა. ზავარზინის ცნობილ სახელმძღვანელოში (ჰისტოლოგის კურსი, 1933) მიქროსკოპიული ანატომია განხილულია ორგორუც ორგანოების მიკროსკოპიული აგებულების შესწავლი-სათვის ზოგადი ჰისტოლოგიის მონაცემების გამოყენების კერძო შემთხვევა. ასეთი თვალსაზრისი ა. ზავარზინს მოჰყავს იმ მიზნით, რათა დაასაბუთოს შეხედულება იმის შესახებ, რომ ზოგადი ჰისტოლოგია არის დამოუკიდებელი დისკიპლინა ბიოლოგიურ მეცნიერებათა შორის. ორგანოთა სტრუქტურას (მხედველობაშია უმაღლეს მეტაზოათა ორგანოები) ზოგი ჰისტოლოგი განიხილავს ორგორუც მისი შემაღლებული ქსოვილების მექანიურ ჯამს (მაგ., ლ. შიმონკვიჩი, 1930). მაგრამ ორგანო არ არის მისი შემაღლებული ქსოვილების უბრალო ჯამი. ცხოველთა სამყაროს უმაღლეს წარმომადგენებელთა ცხოველთა ორგანო შედგება სხვადასხვა მიმართულებით დეტრიმენტული, ე. ი. სხვადასხვა გვარი ბუნების მქონე, ქსოვილებისაგან, რომლებიც მჭიდრო ურთიერთობაშია არიან ერთიმეორესთან და ყველანი ერთად ქმნიან ახალ ფუნქციურ ერთობლიობას.

\* სპეციალური ორგანიზაციების, კერძოდ, სასულეს ეპითელიური უჯრედების წამტა-  
მების შესახებ წერდა დ. ნასონოვი (1924), მაგრამ რამდენადმე სხვაფგარი თვალ-  
საზრისით.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ორგანო არის თვისობრივი დრო-  
ერთგვაროვანი უჯრედოვანი ჯგუფების და მათი იდენტუროვა-  
ტების ურთიერთმაქმედების ფორმა.

ჩეკი მიგვაჩნია, რომ უჯრედული და ქსოვილური ზოგადიოლოგიური  
დებულებებისა და კანონზომიერებების შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ იმ  
შემთხვევაში, თუ ისინი განხილული იქნებიან ორგანოს ფუნქციის თვალ-  
საზრისით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ორგანიზმის შემაღენელ ნაწილებს შო-  
რის წამყვან ერთეულად უნდა განხილული იყოს ორგანო და არა სხვა რო-  
მელიმე სტრუქტურა.

ორგანიზმის მორფოლოგიური დახასიათების დროს ჩვეულებრივ ასახვ-  
ლებენ თანამიმდევრობით მწერივს—ორგანოებს, ქსოვილებს და უჯრედებს.  
ამავე დროს აღნიშნავენ, რომ ორგანიზმი შედგება ორგანოთა სისტემებისა-  
გან, ორგანოები, თავის მხრივ,—ქსოვილებისაგან და, ბოლოს, ქსოვილები—  
უჯრედებისა და მათი დერივატებისაგან. ასეთი გაების დაფუძნება წარ-  
მოადგენს მორფოლოგიურ მეცნიერებებში გამოკვლევის ანალიზური მეთოდის  
გამოყენების შედეგს და, რაც მთავარია, ობიექტად ჩვეულებრივ მიჩნეულია  
ადამიანის ან მასთან ასე თუ ისე ახლო მდგომი ორგანიზმები. საცეპით ნა-  
თელია, რომ ასეთი მსჯელობა გამოთიშავს დაბალი ორგანიზმების დიდ  
რიცხვს და, მაშასადამე, არ ასახს აღნიშნული სტრუქტურების ზოგადიო-  
ლოგიურ მნიშვნელობას. არ შეიძლება იმ აზრის შეცილება, რომლის თანა-  
ხმად, ისეთი ფუნდამენტალური ცნებების განსაზღვრისათვის, ორგორიცაა  
უჯრედი, ორგანო და ქსოვილი, საჭიროა ფაქტების მოტანა მთელი ცხო-  
ველთა სამყაროდან (ვ. შმიდტი, 1929). გარდა ამისა, უჯრედების, ქსოვი-  
ლების და ორგანოების ურთიერთობის და როლის შესაფასებლად საჭიროა  
მათი განხილვა ისტორიული თვალთახედვით, ე. ი. ორგანიზმების განვითა-  
რების ევოლუციურ პროცესში. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ცოდნის  
არც ერთ დარგში ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა არ ვლინდება ისეთი  
სიცხადით, როგორც ბიოლოგიაში (ი. შმალჰუზენი, 1938).

თუ ორგანოს, ქსოვილს და უჯრედს განვიხილავთ ზოგადიოლოგიური  
თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ მათი დანიშნულება ორგანიზმისათვის  
ერთგვარი არ არის.

სხვადასხვა აგებულებისა და დანიშნულების ორგანოებით აღჭურვილია  
ყველა ორგანიზმი უმარტივესიდან ურთულესამდე. საყოველთაოდ მიღებული  
და, ჩეკი შეხედულებით, საესებით მართებული განმარტების თანახმად, ორ-  
განო არის მეტ-ნაკლებად მოსახლეობის და გარკვეული და ფუნქციების  
ფუნქციების შესრულებისათვის სპეციალიზებული ინგრედიენტების მიზანი  
ეს განსაზღვრა, ჩეკი აზრით, გულისხმობს ან უნდა  
გულისხმობდეს, რომ ორგანო წარმოადგენს ყოველი ორგანიზმის დამახასია-  
თებელ და საგალდებულო ნაწილს, რაც არ უნდა პატარა ან დიდი იყოს იგი.  
ამავე დროს, ორგანოები თავისი აგებულებით მეტად მრავალგვარია და ყო-  
ველთვის როდი შედგებიან უჯრედებისა და ქსოვილებისაგან. დებულება იმის  
შესახებ, რომ უჯრედული აგებულება და ქსოვილოვანი შედგენილობა ორგა-  
ნოსათვის საგალდებულო არ არის, გამომდინარეობს თუნდაც ერთუჯრედო-  
ვანი ორგანიზმების ან მათზე უფრო პატარა ორგანიზმების განხილვიდან,  
რომლებსაც არ გააჩნიათ უჯრედული აგებულება. სტრუქტურულად ერთგვა-  
როვანი ორგანიზმები, რაც არ უნდა მცირენი იყვნენ ისინი, არ არსებოდენ.

ყველაზე უმარტივეს ორგანიზმებშიაც ბატონობს ფუნქციების ლიკალური ციფრული პრინციპი და ეს მიღამოები განხილული უნდა იქნან, როგორც მოვალეობით, მაღალ საფეხურზე მდგომ ორგანიზმებში განვითარებული ორგანოების პროტოტიპები. მიკროორგანიზმების მაგალითისამებრ, რომლებიც გარშემოვლებული არიან თავისებური კაფესულით ან სხეულის თავისუფალ ზედაპირზე გააჩნიათ რაიმე სპეციალური წარმოქმნები: შოლტები, წამჭამები და სხვა, ასევე თეორიულად წარმოსადგენი, ყველაზე პატარა არსების ცენტრალური და პერიფერული მიღამოები უკვე გარე გარემოს პირობების არაერთნაირი გაფლენის გამო უნდა განსხვავდებოდეს ერთიმეორისაგან როგორც სტრუქტურულად, ისე ფიზიოლოგიურად. შემდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს მეტაზოებთან შედარებით დაბალ მეტაზოათა ორგანოები შედგება ან ცალკე უჯრედებისაგან, ან მათი ჯგუფებისაგან. უმაღლეს მეტაზოების ორგანოები კი, როგორც წესი, შედგება ქსოვილებისაგან, ამასთანავე, მათს უმაღლეს წარმომადგენლებში, თუ საქმე ეხება ძირითად ქსოვილებს, უკანასკნელთა რიცხვი აღწევს სამს ან ოთხს.

მაშასადამე, ორგანიზმების განვითარების მიხედვით, ორგანოები, რომლებიც დასაწყისში უჯრედებს არ შეიცავდნენ, შემდეგში, უფრო მაღალ საფეხურზე, უკვე უჯრედებისაგან შედგებიან, ხოლო უკანასკნელ რიგში იძენენ უჯრედოვან-ქსოვილოვან სტრუქტურას.

ამგვარად, თუ ერთიმეორებს შევადარებთ ორგანოს, ქსოვილს და უჯრედს, გამოღის, რომ ყველაზე უნივერსალურ და საფალდებულო წარმონაქმნებს ყოველი ორგანიზმისათვის წარმოადგენს ორგანო, შემდეგ, ისტორიულად მომდევნო და შედარებით უფრო ნაკლებ გავრცელებულს—უჯრედი, ხოლო ყველაზე ახალს—ქსოვილი. უკანასკნელი, ე. ი. ქსოვილი, წარმოიშვა ორგანიზმის ევოლუციის პროცესში, როგორც მისი ორგანოების უმაღლესი განვითარების და გართულების შედეგი.

ქსოვილს ორგანოების შემადგენლობაში სხვადასხვა სირთულის ორგანიზაცია ახასიათებს. თავის ტენის ქერქის უჯრედების შერებრივი და შესაძლოა ტოპოგრაფიული განლაგება განხილული უნდა იქნეს როგორც ქსოვილის (ნეირონული ქსოვილის) აგებულების ყველაზე მაღალი ეტაპი ორგანოს ფუნქციის ინტენსიტატისათან დაკავშირებით.

ორგანიზმის ევოლუციურ განვითარებაში ამა თუ იმ სტრუქტურის შეფასებისა და გააზრებისათვის არსებობს ერთადერთი საზომი—მისი ფიზიოლოგიური არსის ანუ ფუნქციური ეკვივალენტის განსაზღვრა. ამასთანავე, სხეულის ნაწილის ყოველგვარი ფუნქცია უნდა შეფასებულ იქნეს მთლიანი ორგანიზმის თვალსაზრისით. უკანასკნელ შემთხვევაში სხეულის ერთადერთ ფუნქციის მატარებელ მთლიან ნაწილს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ორგანიზმთან, წარმოადგენენ ორგანოები და არა უჯრედები ან ქსოვილები. უკანასკნელი, ე. ი. ქსოვილები, წარმოიშობიან ორგანოების შემადგენლობაში ორგანიზმის განვითარების ცოტად თუ ბევრად მაღალ საფეხურებზე და ასრულებენ ორგანოს ფუნქციას. ორგანოს შემადგენლობიდან ამა თუ იმ ქსოვილის ხელოვნურად გამოცალებების შემთხვევაშიაც კი, მაგ., ორგანოს ნაწილების სათანადო პირობებში ორგანიზმის გარეშე კულტივირების დროს, ქსოვილები არაიშვიათად ამჟღავნებენ მათში მემკვიდრეობის განმტკიცებულ ორგანულ თვისებებს. ორგანოების, ე. ი. იარაღების (როგორც ცნობილია ორგანო ბერძნულად ნიშნავს იარაღს და საესტი მართებული ტერმინია),

საშუალებით ორგანიზმი ახორციელებს ურთიერთობას და ქავშირცვაფრენი გარემოსთან. ორგანიზმის ფუნქციები ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ორგანოების და არა ცალკე ქსოვილების ან უჯრედების საშუალებით. ამასთანევე, ყოველგვარი ფუნქციის შესრულებაში მონაწილეობს მოცემული ორგანოს ყველა ქსოვილი და უჯრედი თავისი დერივატებთან ერთად. იქ, სადაც არ მოიპოვება ცალკე უჯრედები, არის მათი ნაწარმოები, მაგალითად, სინციტიუმი გულის კუნთში, პლაზმოდიუმი ჩინჩხის კუნთში. ამ ნაწარმოებთასტრუქტურებს აგრეთვე განსაზღვრავს ორგანოს ფუნქცია.

ორგანოს შემადგენლობაში ქსოვილოვანი სტრუქტურების სახით გაერთიანებული უჯრედები გარკვეული თვალსაზრისით წარმოადგენენ კონსტრუქტიულ ერთეულებს. ამიტომ, მაგ., არ არის აუცილებელი გასინჯულ იქნეს ამა თუ იმ ორგანოში შემავალი მოცემული ქსოვილის ყველა უჯრედი, საკმარისია წარმოდგენილი იყოს ერთი სრულფასოვანი უჯრედი ან მისგან განვითარებული სხვადასხვა ხარისხით დიფერენცირებული რამდენიმე ელემენტი, რომ მთლიანად შევიცნოთ ამ ქსოვილის სტრუქტურა მოცემულ ორგანოში.

ბოლოს, ორგანოს უჯრედული აგებულება უზრუნველყოფს არა მარტო ნივთიერებათა ცვლის პროცესების ინტენსივობის შენარჩუნებას გარკვეულ დონეზე, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ვ. ელისევი, არამედ ორგანიზმის შეგუებასაც გარე გარემოსადმი. ამა თუ იმ ორგანოს დაზიანებული ან დაკარგული ნაწილის აღდგენის გზით ხორციელდება შედეგიანი ბრძოლა მავნე ფაქტორების წინააღმდეგ.

ამგვარადვე, ორგანოს ასპექტში განხილული უნდა იქნეს ბევრი ბიოლოგიური მოვლენა. ისეთი, მაგ., როგორიცაა ქსოვილებისა და მათი შემადგენელი უჯრედების ევოლუციური ცვლილებები, მიტოზური აქტივობა, რეგენერაციის პროცესი და რიგი სხვა. სწორეთ მეტაზოგბში რეგენერირდებიან ორგანოები როგორც მთლიანობითი წარმონაქმნები და არა ცალკე ქსოვილები და მით უმეტეს უჯრედები.

პროგრესული ევოლუციის პროცესში ორგანიზმების აგებულებისა და ფუნქციის გართულებასთან პარალელურად შესაბამისად გართულდა მათი ორგანოებიც, უფრო ზუსტად, ორგანოების სტრუქტურებისა და ფუნქციების გართულება აღმავალი გზით წარმოადგენს ორგანიზმების გართულების საფუძველს. ცნობილია, რომ ორგანიზმების შეგუებითი, ევოლუციური ცვლილებების დახასიათებისას მეცნიერები (ა. სევერცოვი, 1949; ა. დორნი, 1937; ლ. პლატე, 1924\*; ნ. კლაინენბერგი, 1886 და სხვები) დადგენით შედეგებს აღწევდნენ მხოლოდ ორგანოების ფუნქციური და სტრუქტურული გარდაქმნების აღრიცხვის საშუალებით.

ამგვარად, ორგანო არის ყველაზე დამახასიათებელი სტრუქტურულ-ფუნქციური წარმონაქმნი, რომელიც ჩაისახა არ არის ასახავს ამ წარმონაქმნების არც ეფორტი.

წარმოდგენილი თვალსაზრისით, საყოველთაოდ მიღებული იერარქიული რიგი—უჯრედი, ქსოვილი, ორგანო არ ასახავს ამ წარმონაქმნების არც ეფორტი.

ლუციური განვითარების პროცესის თანამიმდევრობას, არც მათ შედაზრულობას მნიშვნელობას არგანიზმისათვის.

პისტოლოგიური მონაცემების ყოველგვარი გადმოცემა მოითხოვს აგრე-  
თვე ცნება „ქსოვილის“ ზუსტ და მკაფიო განსაზღვრას. სამწუხაროდ, ამ  
მხრივ, როგორც სახელმძღვანელოებში, ისე სპეციალურ ლიტერატურაში  
ბევრ შესსაბამობას აქვს ადგილი (ა. ზავარზინი — 1924, 1925; ა. კო-  
ნი — 1935; ა. ლევავა — 1940, 1940<sup>a</sup>, 1941; ე. დანინი — 1934; ა. ნე-  
მილგი — 1924, 1931; კ. პეტერი — 1930). ავტორები ზოგჯერ ნებისმიერ  
ერთ ჯგუფში აერთიანებენ არაერთგაროვან ქსოვილებს ან, პირიქით,  
ერთგვაროვან ქსოვილებს ათავსებენ სხვადასხვა ჯგუფში. ამ საკითხის  
ირგვლივ ჩვენს კაშირში ორმოცან წლებამდე გაცხოველებული დისკუ-  
სიები იმართებოდა და, თუმცა საკითხი გადაუწყვეტილი დარჩა, ეს დისკუ-  
სიები მას შემდევ სავსებით შეწყვეტილია. ქსოვილის ფართოდ გავრცელებუ-  
ლი განსაზღვრა, ორმელიც მოცემულია ა. ზავარზინის და ა. რუმიან-  
ცევის (1946) სახელმძღვანელოში, სახელდობრ, რომ „ქსოვილი არის  
ჰისტორიუმი ელემენტების (უჯრედებისა და შუამდება-  
რე ნივთიერების) ფილოგენეზურად განპირობებული სისტე-  
მა, ორმლებიც გაერთიანებული არიან საერთო ფუნქციით,  
სტრუქტურით და წარმოშობით“, კრიტიკის ვერ უძლებს, ვინაიდან  
იგი მეტად ზოგადია და სპეციფიკური არ არის ქსოვილისა-  
თვის. იგი ერთნაირად შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა  
მარტო ქსოვილის, არამედ ორგანოს და ორგანიზმის მი-  
ართაც.

მაღალ და დაბალ მეტაზოათა ქსოვილები ერთიმეორი-  
საგან განსხვავდებიან. თუ მათ შეჯამებით დავახასიათებთ, პირველი  
შეესაზევისებიან უმაღლესი მეტაზოების ორგანოების უფრო რთულ ფუნქ-  
ციებს და შესაბამისად უფრო რთულად არიან დაიფერენცირებულინი, ვიდრე  
მეორენი. დაბალი მეტაზოების ქსოვილები უფრო ემსგავსებიან ხერხემლიან  
ცხოველების ქსოვილთა სისტემების (ქსოვილთა სისტემა იხ. ქვემოთ) მცირედ  
დიფერენცირებულ ნერგებს.


შესწავლის სიმცირისა და სათანადო მონაცემების არასაკმარისობის  
გამო ჩვენ აქ არ შევჩერდებით დაბალი მეტაზოების ქსოვილების დახასიათებაზე.  
ამ მიმართულებით სერიოზული ყურადღების ღირსია ამას წინათ გამოსული  
ბ. ტოკინის (1959) წიგნი „Регенерация и соматический эмбриогенез“.  
ჩვენ მივგაჩნია, რომ ამ შრომაში ავტორმა მონახა მეტად პერსპექტიული  
გზა ამ მეტად რთული და ბუნდოვანი საკითხის გადასაწყვეტილ.

უმაღლესი მეტაზოების ქსოვილები გაერთიანებულია ქსოვილთა სისტე-  
მებში, ამიტომ ქსოვილის ცნების განსაზღვრისათვის საჭიროა წინასწარ  
ვიქონიოთ წარმოდგენა ცნება „ქსოვილის სისტემი“-ს შესახებ.

ქსოვილთა სისტემების ნერგები განვითარების პროცესში მყოფ ორგა-  
ნიზმში ძალიან აღრე წარმოშობა. ზოგ ხერხემლიან ცხოველში, მაგალითად  
ამფიბიებში, ექსპერიმენტული ემბრიოლოგიის მონაცემების თანახმად, ქსო-  
ვილთა სისტემების პრეზუმაციული ნერგები უკვე არსებობს ბლასტულის სტა-  
დიაზი (ვ. ფოგტი, 1929). იგივე ნერგები, მაგრამ უკვე დეტერმინირებული  
სახით, წარმოდგენილია ჩანასახოვან ფურცლებში და მათ გარკვეული ტოპო-  
გრაფიული განლაგება ახასიათებთ. დამიანის ჩანასახოვანი ფურცლების წარ-

მოდგენილ სქემაზე (სურ. 1) სხვადასხვანაირადაა აღნიშნული ეჭვის განვილოვანი გვერდით მდგბარე ცხრა ქსოვილოვანი სისტემის ნერგი.

გარეთა ფურცელში მდებარეობს სამი ნერგი: ეპიფერმული (1), ნეირონული (3) და გლიური (2); შეა ფურცელში—ხუთი ნერგი: ქორდის (8), მეზენეფიდის (6), მიოტონური (7), ნეფროდერმული (5), ცელოდერმული (4) და ბოლოს, შიგნითა ფურცელში—ენტეროდერმული (9). ორგანიზმის განვითარებას-



სურ. 1. რიც. 1.

თან დაკავშირებით ქსოვილოვან სისტემათა ნერგები ზრდისა და თანდათანობითი დიფერენცირების შედეგად გარდაიქმნებიან ქსოვილოვან სისტემებად \*.

სურ. 2 ქსოვილოვან სისტემათა ნერგების ორგანოების ჩასახვის და ქსოვილების წარმოშობის სქემა.

სქემაზე წარმოდგენილია სამი ზოგადი ხასიათის ქსოვილთა სისტემის (ნეირონული—ლურჯ ფერში, გლიური—ყვითელ ფერში, მეზენეფიმური—წითელ ფერში) და ექვსი სპეციალური ქსოვილის სისტემის (ეპიფერმულის, ენტეროდერმულის, ცელოდერმულის, ნეფროდერმულის, მიოტონურის და ქორდულის—ყველა შავ ფერში) ნერგი.

ყველა ცხრა ქსოვილოვანი სისტემის ნერგი დაყოფილია № რიცხვ კვადრატზე. ყოველი კვადრატი პირობით შეესაბამება ერთი რომელიმე ორგანოს მომავალ ნერგს.


სპეციალურ ქსოვილოვან სისტემათა ნერგების ამა თუ იმ მიღმოში (კვადრატებში) ჩანასახის განვითარების პროცესში ჩაზრდებიან ნეირონული, გლიური და მეზენეფიმური ქსოვილოვან სისტემათა ნერგების ელემენტები და ამრიგად დასაბამი ეძლევა შესაბამის ორგანოთა განვითარებას. სქემაზე მოცემულია ამ ნერგების მიღმამში თითო თოხტეოროვანი კვადრატი, რაც შეესაბამება ყვითელ სისტემაში თითო ორგანოს ჩასახვის მაგალითს, ვინაიდან ყოველი ასეთი ორგანოს ნერგი ყალიბდება ოთხი ქსოვილის გაერთიანების ხარჯზე.

მხოლოდ საკვერცხის და სათესლე ჯირკვლის ჩასახვაში, გარდა თოხი ნერგისა (ცელოდერმული, ნეირონული, გლიური და მეზენეფიმური), მონაწილეობენ სასქესო ელემენტები.

ნეირონული, გლიური და მეზენეფიმური ქსოვილოვან სისტემათა ნერგების საფუძველზე მეზენეფიმური განვითარების მხოლოდ ამ სისტემების რომელიმე ოთხი კომპონენტის მესამეში ჩაზრდის შედეგად, ე. ი. თითოეულ ორგანოს დასაბამი ეძლევა სამი ქსოვილის მონაწილეობით. შესაბამისად, სქემაზე მოცემულია ამ ქსოვილოვან სისტემათა ნერგების მიღამოში თითო სამფეროვანი კვადრატი ანუ თითო ორგანოს ჩასახვის მაგალითი.


ნერგებს შორის განლაგებული ლურჯი, ყვითელი და წითელი პარალელური ზაზებით სქემაზე ნაჩერებია ჩაზრდის პროცესში მონაწილე ნეირონული, გლიური და მეზენეფიმური ქსოვილოვან ნერგების ნაწილები.

\* ცხადა, რომ ნერგების ეს სქემა არ ამოტურავს ჩვენს წარმოდგენებს ამ საკითხის იღველივ (დაწერილებით იხ. ნ. ხ. ლობაძინი, 1946). გარდა ამისა, ორგანიზმი არსებობს ცალკე ქსოვილები, რომელთა კუთხილება ამა თუ იმ სისტემისადმი ჯერჯერობით საბოლოო დადგენილი არ არის. მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს საკითხის პრიცეპულ მხარეს.



նախ. 2

Рис. 2.



Խորագություն եածուառու յիշուուղուան սօնտյմատա ցայրացուցքիւն սյեմա.  
A—բյուռնոնու, B—ցլուռու դա C—մէնչէնիմոնու.

Рис. 3. Схема распространения общих тканевых систем в человеческом организме. А—нейронной, В—глиальной и С—мезенхимной.

6. ხლოპინის და მისი ხელმძღვანელობით მეცნიერ მუშავთა დადგენილი კოლექტივის მიერ შესრულებულ მრავალ შრომაში (იხ. 6. ხლოპინი 1945) დადგენილი იყო ქსოვილოვანი სისტემების სპეციფიურობა. მოცემული იყო ამ სისტემათა შემადგენელი ქსოვილების ოიგი ნიშნების სათანადო დახასიათება.

აღნიშნული ცხრა ქსოვილოვანი ნერგილან (სურ. 2) სამი—ნერგონული, გლიური და მეზენჯიმური—წარმოადგენს ზოგად ნერგებს, ვინაიდან თვით-ეული მათგანი ძლიერი ზრდისა და აქტიური გადანაცვლების შედეგად ჩაიზრდება ყველა დანარჩენი ექვსი ქსოვილოვანი სისტემის ნერგების სისქეში\*. ამიტომ ამ სამი ქსოვილური სისტემის ელემენტები გვხვდება ორგანიზმის ყველა ორგანოში (სურ. 3).

დასახელებული სამი სისტემის ხარჯზე უმთავრესად ხორციელდება ორგანიზმის ნაწილების კოორდინაციული მოქმედება. სწორეთ ეს ქსოვილოვანი სისტემები აკავშირებენ ორგანიზმის ნაწილებს ერთ მთლიან განუყოფელ სხეულად. ამიტომ თვითონეულ მათგანს უნდა ეწოდოს ზოგად ქსოვილოვანი სისტემა.

დანარჩენი ექვსი ქსოვილოვანი სისტემა წარმოადგენს ლოკალურ წარმონაქმნებს. ისინი აკრეთვე იზრდებიან, იცვლიან მეტ-ნაკლებად თავის ფორმას, მაგრამ ორგანიზმში მათ საზღვარდებული ადგილი უჭირავთ (სურ. 4, 5).

როგორც ზოგადი, ისე კერძო ანუ სპეციალურ სისტემათა ნერგები ემბრიონულ პერიოდში მთლიანად იხარჯებიან ორგანოების შექმნაზე. უკანასკნელთა ჩასახვის შემდეგ ორგანიზმში ორგანოების გარეშე ქსოვილოვანი სისტემა ან ქსოვილი არ აჩება\*\*. ამასთანავე, ყოველი ქსოვილოვანი სისტემის ნერგი ორგანოების შესაბამისად სხვადასხვა მიღამოში არაერთგადარად დიფერენცირდება. ეს პროცესი გაპირობებულია იმ ორგანოების განსხვავებული ფუნქციით, რომელთა შემადგენლობაშიაც შედის მოცემული ქსოვილოვანი სისტემის ესა თუ ის ნაწილი\*\*\*.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება მოცემულ იქნეს ქსოვილოვანი სისტემის განსაზღვრა.

ქსოვილოვანი სისტემა არის შესაბამისი ნერგისაგან განვითარებული ორგანიზმის დეტერმინირებული ნაწილი, რომელიც შედგება სხვადასხვა ხარისხით და არაერთნაირად დიფერენცირდება. ეს პროცესი გაპირობებულია მიღამოებისაგან ანუ ქსოვილებისაგან მისი წარმომადგენლობის მიხედვით ორგანიზმის ორგანოებში.

ახლა განვსაზღვროთ ცნება „ქსოვილი“. ყოველგვარ ქსოვილს სულ მცირედ ახასიათებს ხუთი ნიშანი. იმისათვის, რომ ცნება „ქსოვილი“ შედარებით ადგილად იქნეს გაგებული და ათვისებული, საჭიროა წინასწარ ამ ნიშნების გარჩევა.


1. ყოველი ქსოვილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი შედგენილობა უჯრედებისაგან ან უჯრედებისა და მათი დერივატებისაგან.

\* ზოგადესოვილოვანი სისტემის ფუნქციას ასრულებს მეზენჯიმური სისტემის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სისხლის ძარღვებით და მათ ირგვლივ მყოფი შემაერთებელი ქსოვილით.

\*\* მოლოდ ქსოვილთა კულტურის პირობებშია შესაძლებელი დათესილი ორგანოს ნაწილაკებიდან გამოიყოს ესა თუ ის ქსოვილი.

\*\*\* აგებულების მიხედვით ორგანოები სხვადასხვა სირთულისაა. აქ ლაპარაკია მარტივი ანუ პირველადი ორგანოების შესახებ.

2. მეორე დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ყოველი ქსოვილობული ორგანოს ნაწილი. ორგორც აღნიშნული იყო, ორგანოების გარეული სტადია-ერთი ქსოვილი არ მოიპოვება. ემბრიონული განვითარების აღრეულ სტადია-ში ორგანოების ჩასახვის მომენტისათვის ქსოვილთა სისტემების შესაბამის ნაწილებში ჩაიხრდება მეზენქიმური, ნევრონული და გლიური ქსოვილოვანი სისტემების ნაწილები და ერთიმეორებზე ზეგავლენის შედეგად საწყის აძლე-




სურ. 4. D—ეპიდერმული, E—ენტეროდერმული, F—ცელოდერმული  
ქსოვილოვანი სისტემები.

ვენ ამა თუ იმ ორგანოს განვითარებას. ამიტომ ყოველი ორგანოს შემადგენ-ლობაში გვხვდება მეზენქიმის დერივატები, კერძოდ, სისხლის ძარღვების და-მათ გარშემო მდებარე ფაზაზი. შემაერთებელი ქსოვილის სახით, აგრეთვე ნეირონული და გლიური ქსოვილოვანი სისტემების ნაწილები.

მაგალითად, ღვიძლი ორგორც ორგანო შედგება ოთხი ქსოვილისაგან. ერთი მათგანია ღვიძლის უჯრედების და ნაღვლის საღინარების ამომფენი ეპითელური ქსოვილი, მეორე—წილაპარისი და წილაპარი შემაერთებელი ქსოვილი სისხლის ძარღვებთან ერთად, მესამე—ნეირონული ქსოვილი და მეოთხე— გლიური ქსოვილი. ნეირონული და გლიური ქსოვილები გაერთიანე-ბულია ნერვული ბოჭკოებისა და ნერვული დაბოლოებების სახით.

ორგანოს ჩასახვიდანვე ოთხივე დასახელებული ქსოვილი მცირდლია გაუკლენებას ახდენს ერთიმეორებებს და ორგანოს ფუნქციის შესაბამის დიფერენცირებას განიცდის.

სავსებით ამგვარადვე, ყოველი კუნთი შედგება მრავალი კუნთოვანი ბოჭკოსაგან, რომელიც განვითარდნენ მიოტომური ნერვის შესაბამის მიღამოებში—მეზენეიმური (სისხლის ძარღვები და მათ ირგვლივ მდებარე ფაშარი შემაერთებელი ქსოვილი), აგრეთვე ნეირონული და გლიური ქსოვილოვანი



სურ. 5. G—ნეფროდერმული, H—მიოტომური, I—ქორდული ქსოვილოვანი სისტემები.

სისტემების ნერვების კომპონენტების ჩაზრდის შედეგად. უკანასკნელი ორი კომპონენტი გაერთიანებულია ნერვული ბოჭკოების და ნერვული დაბოლოებების სახით. ამგვარად, მიოტომური ნერვისაგან გითარდება ცალკე ორგანოები—კუნთები.

ორგანოს შემაღვენლობიდან ერთი რომელიმე ქსოვილოვანი კომპონენტის გამოთიშვა იწვევს ორგანოს ფუნქციისა და სტრუქტურის დარღვევას (ციროზი, იშემია და სხვა). ტ. გრიგორიევა (1957) ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად, ორგანოს დეაფერენტაცია იწვევს უკანასაკნელის მიერ დამახასიათებელი სტრუქტურის დაკარგვას.



3. ქსოვილის მესამე ნიშანია ის, რომ ქსოვილი არის ქსოვილური სისტემის ნაწილი. განვმარტოთ მაგალითთით. იმავე ლვიძლის ეპითელური ქსოვილი, რომელიც ლვიძლის უჯრედებისაგან შედგება, უშუალოდ გრძელდება ლვიძლის სადინარების, ნაღვის ბუშტისა და მისი სადინარების ეპითელურში, ხოლო შემდეგ უწყვეტლივ ნაწლავის ეპითელიურში, რომელიც რიგი საჭმლის მომნელებელი ორგანოს შემაღებელობაში შედის და თავის მხრივ გრძელდება პანკრეასის სადინარებისა და აცინუსების ეპითელიურში და ასე შემდეგ.

ყველა დასახელებული ორგანოს ეპითელური ქსოვილები ერთობლივ წარმოადგენს ენტეროდერმულ ქსოვილოვან სისტემას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღვიძლის ეპითელიური ქსოვილი წარმოადგენს ენტეროდერმულს.

სავსებით ამგვარადვე, მიოტომური ნერგიდან განვითარებული ქსოვილოვანი სისტემა შედის მრავალ ცალკე ორგანოს—კუნთების შემაღებელობაში, მაგრამ ენტეროდერმულ სისტემასთან შედარებით მიოტომური ნერგისაგან განვითარებულ ქსოვილებს შორის არ არის კონტინუური. ისინი ყველა შემთხვევაში დანაწევრებულია ერთიმეორისაგან იზოლირებულ ნაწილებად, ცალკე ორგანოების შესაბამისად და ერთი და იმავე ორგანოს შიგნითაც კი.

აგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველი ქსოვილი წარმოადგენს ერთიმეორესთან უწყვეტლივ დაკავშირებულ (მაგ., ენტეროდერმული სისტემა) ან ცალკე კომპონენტებად დანაწევრებულ (მაგ., მიოტომური სისტემა) ქსოვილური სისტემის ნაწილს.

4. როგორც ორგანიზმი მთლიანად, ისე მისი ორგანოების შემაღებელობაში შემავალი ქსოვილები განვითარების გარკვეულ ციკლს გაივლიან, ე.წ. ჩაისახებიან, განიცდიან დიფერენცირებას და, ადრე თუ გვიან, ბერდებიან და გადავარდებიან. სხვანაირად რომ ვთქვათ, ორგანოს ჩაისახვის მომენტიდანვე მისი შემაღებელი ქსოვილები, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული ფორმის წარმომქმნელი პოტენცია, მჟიდრო ურთიერთობის და დიფერენცირების შედეგად იცვლებიან ორგანოს ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

აღნიშნული ფორმისწარმომქმნელი პოტენცია უზრუნველყოფს აგრეთვე ქსოვილების შეგუებითს ცვლილებებს როგორც ორგანიზმის შიგნით, ე. ი. ორგანოების შემაღებელობაში, ისე მის გარეშე—ქსოვილის კულტურის პირობებში.

აქედან გამომდინარეობს ქსოვილის მეოთხე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც შეიძლება ფორმულირებული იყოს შემდეგნაირად: ყოველ ქსოვილს გააჩნია გარკვეული ფორმისწარმომქმნელი პოტენცია და იგი იმყოფება განუწყვეტლივი სტრუქტურული ცვლილებების პროცესში.

5. მეხუთე ნიშანი შეეხება ქსოვილის ფუნქციურ დახასიათებელას. როგორც აღნიშნული იყო, ორგანოების გარეშე მდებარე, ასე ვთქვათ, „თავისუფალი“ ქსოვილები არ არსებობს, ამიტომ მათ არა აქვთ დამოუკიდებელი ფუნქციაც. ყოველი ქსოვილი ასრულებს იმ ორგანოს ფუნქციას, რომლის შემაღებელობაშიც იგი იმყოფება.

ამგვარად, აღამიანისა და ცხოველთა სამყაროს უმაღლეს წარმომადგენელთა ქსოვილების მიმართ შეიძლება ცნება „ქსოვილის“ შემდეგი განსა-

ზღვრის მოცემა: ქსოვილი არის (ერთგვარი მიმართულებზე) უჯრედების ან უჯრედების და უჯრედში არის ნივთიერების კომპლექსი) ორგანოს კომპონენტი, სა-დაციგი წარმოდგენილია როგორც გარკვეული ფორმის წარმოქმნელი პოტენციის მქონე ნაწილი ქსოვილური სისტე-მისა, რომელიც იძყოფება სტრუქტურის განუწყვეტელი ცვალებადობის პროცესში და რომელსაც განსაზღვრავს ორგანოს ფუნქცია.

ამ შრომაში ჩვენ შევეცადეთ გაგვეშუქებინა ცხოველთა ორგანიზმების სტრუქტურათა ისტორიული განვითარებისა და ძირითად მორფოლოგიურ ცნებათა განსაზღვრასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, როგორც ისინი წარმოგვიღება თანამედროვე მონაცემებისა და აგრეთვე ჩვენი ხან-გრძლივი პედაგოგიური და კვლევითი გამოცდილების საფუძველზე.

თბილისის უნივერსიტეტის  
პისტოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 7. XII. 1960 წ.)

ЛЕЖАВА А. С.

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СТРУКТУРНОГО РАЗВИТИЯ ЖИВОТНЫХ ОРГАНИЗМОВ\*

Обобщенная характеристика структур организмов, находящихся на разных уровнях развития в историческом прошлом и в настоящее время,— задача весьма трудная. Трудность эта обусловливается нашей неполной осведомленностью о морфологических особенностях животных, населяющих землю, а также невозможностью воспроизведения последовательного ряда сменяющихся форм и структур животного мира и процессов их развития, длившегося много миллионов лет. Так, в отношении развития мягких тканей в прошлом мы оказываемся совершенно несведущими и филогенез того или иного животного, по существу, подменяем сравнительно-морфологическими данными. Поэтому, учитывая современное состояние науки, для представления отдельных этапов структурного развития организмов мы вынуждены строить рабочие схемы и гипотезы, а также дополнять их, на наш взгляд, наиболее вероятными предположениями.

ზმოაღნიშნული საკითხების გამოსარკვევად ჩვენ მიერ შესწავლილი იყო სხვადასხვა სახის ფრინველების (ლეგპორნის ჯიშის ქამის, პერინის იხვის, ფარშავანგის, ციცრის და მწვანე თუთიყუშის) ჩანასხები. მასალის ფიქსაციას ვახდენდით ინკუბაციის ყოველ საათში გაშლილი ნერვული ფირფიტის სტადიოდან ბროლის ჩამოყალიბებამდე (ინკუბაციის მე-5 დღე) კარნუას, ბჟენის და ჰელის სისტემებში, აგრეთვე სპირტ-ფორმალინში და 10 % ფორმალინში. პარაფინში ჩაყალიბების შემდეგ ობიექტი იჭრებოდა 4—5 მკ. სისქის ანათლებად. პრეპარატებს დღებავდით ჰა ი დენ ჰა ი ნ ი ს (ჰ), და ერლ ი ხ ი ს ჰემატოქსილინებით, მალორის და ფუტის მიხედვით. რიბონუკლეინის (რნმ) მეავს გამოსავლინებლად გამოყენებული იყო ბრაშეს, ხოლო დეზოქსირობინუკლეინის მეავს (დნმ)—ფ ე ლ გ ჟ ე ნ ი ს მეოთხი. უჯრედებში გლიკოგენს გამუღავნებდით ჰა ბადა ჟ ი ს წესის მიხედვით.

მასალის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ გაშლილი ნერვული ფირფაფი ტის სტადიაზი ქორდო-მეზოდერმის ნერგი უშუალოდ ეკვრის ამ ფირფაფის ტანის ვენტრალურ მხარეს. ნერვული ფირფაფი წარმოდგენილია მაღალი პრიზმული ერთშრიან—ერთრიგოვანი ეპითელით, რომელიც თანდათანობით გადადის.



სურ. 1. ინგის ნერვული ლილვაკების სტადიის ეპითელის განვი ანა-თალი ოპტიკურ არეში (ბარჯვენა ნაწევრი. 5 წყვილი სომიტის სტა-დია). a—თვალის ბუშტის ნერგი; b—ექტოდერმა; c—ნეირომეზენქიმის ნერგი; d—ნერვული ლულის დორსალური კედლის ნერგი. ფიქსაცია: ჰე-ლის სითბო, შეღებვა ჰა, მიკროფორმ, გადიდ. 15×40.


კუბური ფორმის ექტოდერმულ ეპითელში. ნერვული და ექტოდერმული ნერ-გის უჯრედებში დიდი რაოდენობით მოიპოვება რნმ და გლიკოგენი.

ნეირულაციის პროცესში (5—7 წყვილი სომიტის სტ.) ნერვული ღარის ლატერალურ კედლებს (თვალის ბუშტის ნერგები) და მფარავ ექტოდერმასა და ბარაქსიალურ მეზენქიმას შორის რჩება თავისუფალი არე (სურ. 1).

ნერვული ღარის ლილვაკების დორსალურ ნაწილში შესამჩნევია დი-ფერენციაციის საწყისი მომენტი, სახელდობრ, მკრთალად გამოსახული სა-ზღვარი ნერვული ღარის უჯრედულ მასალასა და იმ უჯრედებს შორის, რომ-ლებიც შემდეგში იძლევიან ნეირომეზენქიმას (სურ. 1, ც). ნერვული ლილვა-კების მასალიდან წარმოშობილ მეზენქიმას ნ. ხ ლ ო პ ი ნ ი (H. Г. Хлопин, 1946) უწოდებს ნეირომეზენქიმას (Landacre, 1921).

ნერვული ღარის, ისევე როგორც ნეირომეზენქიმის ნერგის უჯრედები წაგრძელებული ფორმისაა, შეიცავენ მრგვალ ნათელ ბირთვებს 1—2 ბირთ-ვაკით. ამ უჯრედების ციტოპლაზმაში დიდი რაოდენობით მოიპოვება გლი-კოგენი. გარდა ამისა, ციტოპლაზმაში და ბირთვებში გამოვლინებულია შესამჩნევი რაოდენობით რნმ, ხოლო ბირთვებში—ღნმ, რომელიც წარმო-გენილია წვრილი მარცვლების სახით.

ნერვული ლილვაკების ერთომეორესთან შეერთების შემდეგ (8—9 წელის შესახებ) სომიტის სტ.) ნეირომეზენჯიმის ნერგი (სურ. 2, e) უკვე მკაფიოდ გამოყოფილია მის ქვეშ მდებარე ნერვული ნერგის მასალიდან (სურ. 2, e).




სურ. 2. ქათმის ემბრიონის ნერვული ლულის განივი ანათალი ოპტიკურ არეში (ზემო მარჯვენა ნახევარი. 8 წყვილი სომიტის სტ.).

ა—თვალის ბუშტის ნერგი; ბ—ეპიტოლერმა; ც—ნეირომეზენჯიმის ნერგი; დ—საზღვარი ნეირომეზენჯიმასა და ნერვული ლულის დორსალურ კედელს შორის; ე—ნერვული ლულის დორსალური კედელი; ფ—თვალის ბუშტის ღრუ. ფიქსაცია: ჰელის სიოზე, შეღებვა: მალორის მიხედვით, გადიდ. 7×90 იმერს.

ნეირომეზენჯიმის ნერგის უჯრედები ჯერჯერობით ნერვული ლულის უჯრედებს გვანან. მსგავსება გამოიხატება როგორც უჯრედების კომპაქტურ განლაგებაში, ასევე მათ მორფოლოგიურ და ჰისტოგენეტიკურ თვისებებში.

ამ სტადიაში თვალის ბუშტის დორსალური კედელი უძველი დაფარულია ეპილერმული ეპითელიუმით (სურ. 2. a, b).



სურ. 3. იხვის ჩანასახის ნერვული ლულის განივი ანათალი ოპტიკურ არეში (ზემო მარცხენა ნახევარი. 10 წყვილი სომიტის სტ.).  
ა—თვალის ბუშტის დორსალური კედელი; ბ—თვალის ბუშტის მფარავი ეპითელიუმი; ც—ნეირომეზენჯიმის უჯრედები; დ—თვალის დორსალული ნაწილის ეპიტოლერმა; ე—ნერვული ლულის დორსალური კედელი ფიქსაცია: 10 % ფორმალინი, შეღებვა: ჰელის სიოზე, გადიდ. 7×90, იმერს.

განვითარების შემდგომ ეტაპზე (9—10 წყვილი სომიტის სტ.) ზემოაღნიშნული ნეირომეზენჯიმის ნერგი უკვე მდებარეობს ეპიტოლერმასა (სურ. 3, მ) და ნერვული ლულის დორსალურ კედლებს შორის (სურ. 3. e.). ნეირომეზენჯიმის ნერგის უჯრედები თანდათან გრძელდება და უფრო ფაშარად ლაგ-

დება (სურ. 3, c). მათ უნვითარდებათ ჯერ მსხვილი და მოქლე, ხოლო შემდგომში უფრო წვრილი და გრძელი მორჩები. ამ უჯრედებს შორის რად ვხვდებით მიტოზური გაყოფის ფიგურებს.

შემდგომში (11—14 წყვილი სომიტის სტ.) ნეირომეზენქიმის უჯრედები ტიპიური მეზენქიმური უჯრედების ფორმას ღებულობენ და ბოლოს ქმნიან მეზენქიმისათვის დამახასიათებელ წნულს (სურ. 4. c).



სურ. 4. ფარშავანგის ჩანასახის ნერვული ლულის განვითარების მატერიალური სტადიები (12 წყვილი სომიტის სტ.).

ა—თვალის ბუშტის დისტალური კედელი; ბ—თვალის არის ექტოდერმა; ც—ნეირომეზენქიმის უჯრედები; დ—ნერვული ლულის დორსალური კედელი. ე—თვალის ბუშტის ღრუ. ფიქსაცია: ჰელის სითხე, შეღებვა: ჰჰ. გადიდ. 7×90 იმერს.

წნულის შექმნის პროცესში ნეირომეზენქიმის ნერგის უჯრედები კარგავენ დიდი რაოდენობით გლიკოგენს, რაც, ალბათ, დაკავშირებულია ენერგიის ხარჯვასთან მათი გარდაქმნისა და დიფერენციაციისათვის. გარდა ამისა, ნეირომეზენქიმის უჯრედებში კლებულობს აგრეთვე რნმ რაოდენობა.

განვითარების მომდევნო სტადიებში (16—20 წყვილი სომიტის სტ.), როდესაც ადგილი აქვს თვალის ბუშტის ინტენსიურ ზრდას და დიფერენციაციას, ნეირომეზენქიმის უჯრედები იწყებენ მიგრაციას ნერვული ლულის დორსალური კედლიდან ლატერალური მიმართულებით და ბოლოს ავსებენ იმ სივრცეს, რომელიც მოსაზღვრულია თვალის ბუშტის დორსალური კედლით, თავის არის ექტოდერმით და ნერვული ლულის ლატერალური კედლით (სურ. 5. c.).


მაგრამ ნეირომეზენქიმის უჯრედები არ ფარავენ თვალის ბუშტის დისტალურ ნაწილს (სურ. 5, a), ვინაიდან მას მჭიდროდ ეკვირის ბროლის მომცემი ეპითელიუმი (სურ. 5, b). აღსანიშნავია, რომ თვალის ბუშტის გენტრალურ არეში ნეირომეზენქიმის უჯრედები ამ სტადიაში ჯერ არ მოიპოვებან.

ამ სტადიაში ნეირომეზენქიმა ქმნის ტიპიურ მეზენქიმურ ბადეს, რომლის მარყუჯებში მოიპოვება ძირითადი ნივთიერება. შეიმჩნევა, აგრეთვე სისხლის ძარღვების წარმოშობა.

თვალის ბუშტის და საბროლე პლაკოდის ინვაგინაციის პერიოდში (23—30 წყვილი სომიტის სტ.) ნეირომეზენქიმა უკვე ყოველი მხრიდან გარს ერტყმის თვალის ბუშტს, გარდა მისი დისტალური ნაწილისა. განსაკუთრებით მჭიდროდ არის განლაგებული ეს უჯრედები მომავალი პიგმენტური

გარსის ირგვლივ და ტვინის კედლის გახლობლად. იქვე შეინიშნება და რაოდენობით სისხლის ძარღვები. ამ მეზენჯიმისაგან შემდგომში ვითარდება თვალის სისხლძარღვოვანი გარსი და სკლერა.

ბროლის ბუშტუკის ექტოდერმისაგან გამოყოფის შემდეგ ნეირომეზენჯიმის უჯრედები იჭრება მომავალი წინა კამერის არეში იმ ნაპრალის მეზ-



სურ. 5. იშვის ჩანასახის ნერვული ლულის და თვალის ბუშტის განვითარები (18 წყვილი. სომიტის სტ.).

ა—თვალის ბუშტის დისტალური-ნაწილი, ხ—ბროლის მომცემი ეპითელიუმი; ც—ნეირომეზენჯიმია; დ—თვალის ბუშტის ლრუ. ფიქსაცია: 10 % ფირმალინი, შეღებვა—ჰადიდ. 7×40.

ვეობით, რომელიც რჩება თვალის ჯამის კიდეებსა და ეპიდერმისს. შორის, ლიტერატურაში მოიპოვება მონაცემები იმის შესახებ, რომ თვალის წინა კამერაში შეჭრილი მეზენჯიმური უჯრედები, უკავშირდებიან რა ეპიდერმისს, მონაწილეობას იღებენ რქოვანას შექმნაში (П. Н. Снегарев, 1939).

ამგვარად, ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, ფრინველების ოპტიკური არის მეზენჯიმია წარმოიშობა ნერვული ლილვაკების დორსალური ნაწილის უჯრედული მასალიდან, ე. ი. განგლიური ფირფატის უჯრედებისაგან. რეგიონალური განსხვავება ამ განგლიური ფირფატის მასალაში გამოიხატება იმაში, რომ ოპტიკურ არეში ის იძლევა მხოლოდ ნეირომეზენჯიმას. უფრო კაუდალურად კი, გარდა ნეირომეზენჯიმისა, აგრეთვე სიმბატიკური განგლიების უჯრედებს, ქრომაფინის და ბიგმენტურ უჯრედებს და სხვ. (Lanadacre, 1921; Holmdahl, 1928; Stone, 1929; Raven, 1933; H. Г. Хлопин, 1946; Hörstadius, 1950). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ნეირომეზენჯიმიდან განვითარებული ფრინველების თვალის სისხლძარღვოვანი და ფიბროზული გარსებიც გლიო-ეპენდიმური ჭარბოშობისაა. ეს მოსაზრება შეესატყვისება ქსოვილთა კულტურის მეთო-

დით მიღებულ მონაცემებს ტვინის რბილი გარსების გლიო-ეპენდიმული წარმოშობის შესახებ (Н. Каннигисер, 1938, 1940).

მაგრამ ფრინველების თვალის ბუშტის განვითარების პროცესში ჩვენ არ შეგვიმჩნევთ თვით ბუშტის უჯრედების გამოსვლა და მეზენქიმად ქცევა, როგორც ამას აღნიშნავს აღამიანის თვალის განვითარების დროს ბარ-ტელმეც (Vartelmez, 1954).

გარდა ამისა, ჩვენმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფრინველების თვალის ბუშტისა და მის გარემონტველ ნეირომეზენქიმას შორის ურთიერთდა-მოკიდებულება განიცდის ერთგვარ ხარისხობრივ ცვლას განვითარების სტა-დიების მიხედვით. ასე მაგალითად, თვალის ბუშტის ფორმირების აღრეულ პერიოდში მის ირგვლივ ნეირომეზენქიმა არ არის; უფრო გვიან მეზენქიმა ჩნდება და თავის ქსელში აქცევს თვალის ბუშტს. ამ დროისათვის შეიმჩნევა თვალის ბუშტის მკვეთრი დიფერენციაცია—წარმოიშობა პიგმენტური ეპი-თელიუმი. ეს მოვლენა სრულ დადასტურებას პოულობს ექსპერიმენტში, სა-ხელდობრ იმაში, რომ მეზენქიმის მოცილების შემთხვევაში პიგმენტური გარ-სის განვითარება არ ხდება (Г. В. Лопашов, 1948, 1960; Н. В. Да- ба г я н, 1958, О. Г. С т р о е в а, 1960). ამაში გამოიხატება მეზენქიმის ფორ-მატიული მოქმედება თვალის განვითარებაზე.

თვალის ბუშტის დისტალური ნაწილი კი გარკვეული წნის განმავლო-ბაში რჩება ნეირომეზენქიმის გარეშე, რაც პირველად აღნიშნა პ. ჭან ტუ-რი შვილმა (П. С. Чантurišvili, 1940) ამფიბიების მასალაზე.

ეს ფაქტიც ახსნას პოულობს ექსპერიმენტულ მონაცემებში. ასე მაგა-ლითად, გ. ლოპაშვილის (Г. В. Лопашов, 1948, 1960)—თვალის ნერ-გების ექსპლანტაციის პირობებში—და ბ. კანკავას მიერ (1958)—თვალის ჯამის ნაწილების სხვადასხვა გარემოცვაში ტრანსპლანტაციის დროს—ნაჩვენებია, რომ მეზენქიმის თანხლებით ამფიბიების თვალის სარეტინე ნაწი-ლის განვითარება ძლიერ ფერხდება.

მაშასადამე, ჩვენი მონაცემები ნეირომეზენქიმის და თვალის ბუშტის ურთიერდამოკიდებულების შესახებ ფრინველების თვალის ნორმალური გან-ვითარების პროცესში დასტურდება და ახსნას პოულობს სხვა მკვლევარების ექსპერიმენტულ გამოკვლევებში.

საქ. სსრ მც. აკად. ზოოლოგიის ინსტიტუტის  
ემბრიოლოგიის ლაბორატორია

(შემოვიდა რედაქციაში 28. VI. 1961)

КВИНИХИДЗЕ Г. С.

## НЕКОТОРЫЕ ДАННЫЕ О МЕЗЕНХИМЕ ОПТИЧЕСКОЙ ОБЛАСТИ ЭМБРИОНОВ ПТИЦ

Резюме

Исследовались источники происхождения, сроки возникновения и дифференциации мезенхимы оптической области птиц.

Изучение препаратов различных видов птиц показало, что в оптической области зародышей в периоднейронации (ст. 5—6 пар соми-

тов) между латеральными стенками нервного жолоба — зачатками глазных пузырей (рис. 1, а) — покровной эктодермой (рис. 1, в) и парасиальной мезодермой остается свободное от мезенхимы и заполненное тканевой жидкостью пространство.

В дорсальной части валиков, в области перехода материала нервного жолоба в покровную эктодерму, имеется группа клеток (рис. 1, с), отделенная едва заметной границей от остального нейрального клеточного материала.

Все клетки нервного жолоба содержат большое количество гликогена. В цитоплазме и ядрышках нейральных клеток имеется значительное количество РНК, в интеркинетических ядрах же в виде небольших зерен содержится ДНК.

После смыкания нервных валиков группа клеток в дорсальной части нервной трубы (рис. 2, с; ст. 8 пар сомитов) отделяется уже более заметной границей (рис. 2, д) от нижележащего нервного материала (рис. 2, е). Клетки эти еще сохраняют морфологическое и гистохимическое сходство с клетками нервной трубы. Дорсальная часть глазного пузыря (рис. 2, а) уже покрыта эктодермой (рис. 2, б).

В дальнейшем вышеуказанные клетки (рис. 3, с; ст. 10 пар сомитов) оказываются под покровной эктодермой (рис. 3, д) оптической области зародыша. Они постепенно теряют компактное расположение. Цитоплазма их приобретает отростки, вначале короткие, затем более длинные, и, в конце концов, эти клетки превращаются в мезенхимные. Образовавшиеся из материала нервных валиков, они названы, по терминологии Н. Г. Хлопина (1946), нейромезенхимными.

На следующей стадии развития (ст. 12 пар сомитов) клетки нейромезенхимы образуют типичную мезенхимную сеть (рис. 4, с). В процессе мезенхиматизации эти клетки теряют большое количество гликогена, что, очевидно, связано с энергетическими затратами на их перестройку и дифференцировку. Кроме того, наблюдается заметное уменьшение РНК в цитоплазме этих клеток.

Затем (ст. 18 пар сомитов) клетки нейромезенхимы мигрируют с дорсальной поверхности нервной трубы в латеральном направлении (рис. 5, с), заполняя пространство между латеральной стенкой головного мозга, дорсальной стенкой глазного пузыря и эпидермисом. Однако клетки нейромезенхимы не проникают между дистальной частью глазного пузыря (рис. 5, а) и покрывающим его эпителием (рис. 5, б), так как последний очень тесно прилегает к глазному пузырю.

Во время инвагинации глазного пузыря и линзевой плакоды (ст. 23—26 пар сомитов) нейромезенхима со всех сторон окружает глазную чашу. Особенно интенсивно она собирается вокруг будущей пигментной оболочки глаза, где наблюдается наибольшее количество кровеносных сосудов.

Только после отделения линзевого пузырька от эктодермы (ст. 32—34 пар сомитов) клетки нейромезенхимы проникают в будущую

переднюю камеру глаза через щель между краями глазной чаши и покровным эпителием. Вступая в связь с последним, клетки нейромезенхимы участвуют в формировании роговицы (П. Н. Снесарев, 1939).

Таким образом, результаты наших исследований показали, что мезенхима оптической области птиц возникает из материала заходящей сюда ганглионарной пластинки. Следовательно, не лишено основания предположение, что оболочки глаза, развившиеся из этой нейромезенхимы, имеют такое же глио-эпендимальное происхождение, как и оболочки головного мозга, что было показано работами Н. Каннингисер (1938, 1940). Наши исследования согласуются также с данными Л. Стоуна (Stone, 1929), Д. Гольмдаля (Holmdahl, 1928), Е. Равена (Raven, E., 1933) и Гёрстадиуса (Hörstadius, S., 1950) о многообразии формообразовательных потенций клеточного материала ганглионарной пластинки.

Явление усиленного разрастания нейромезенхимы вокруг формирующейся пигментной оболочки глаза птиц соответствует данным тех экспериментальных работ (Г. В. Лопашов, 1948, 1960; Н. Дабагян, 1958; О. Г. Строева, 1960), где показано, что лишь в присутствии мезенхимы и кровеносных сосудов наружный слой глазного бокала амфибий, рыб и млекопитающих дифференцируется в пигментную оболочку.

Развитие ретинообразующей части глаза птиц происходит вне контакта с нейромезенхимой. Этот факт также находит свое объяснение в работах Г. В. Лопашова (1948, 1960) и В. Л. Каикава (1958), показавших, что в присутствии мезенхимы развитие сетчатки заметно приостанавливается.

Следовательно, данные о формообразовательном значении нейромезенхимы при нормальном развитии глаза птиц полностью подтверждаются экспериментальными исследованиями, показавшими, что мезенхима имеет решающее значение в изучаемом органогенезе.

#### დამოუკიდებული ლიტერატურა

ბარტელმეზ ჯ., Bartelmez G. W., 1954. The formation of neural crest from the primary optic vesicle in man. Carnegie Inst. Wash. Publ. 603, Contribution to Embryol., 35.

დაბაგანი ნ. ვ., 1958. Роль мезенхимы в развитии пигментного эпителия глаза осетра. ДАН СССР, т. 119, №2.

ჰერკე პ. ი., 1960. Формативная функция мезенхимы человека. Вопросы цитол., гистол. и эмбр., Рига.

ჰერსტადიუს ს., Hörstadius S., 1950. The neural crest. Oxford.

ჰოლმდალ დ., Holmdahl D., 1923. Die Entstehung und weitere Entwicklung der Neuralleiste (ganglienleiste) bei Vogeln und Säugetieren. Zeitschrift für Mikroskopisch-Anatomische Forschung, Bd. 14, 1/2 Heft, Leipzig.

კანინგისერ ბ., 1958. უკუდო ამგიბიების საბროლე გვითელიუმის ფორმის წარმომქმნებლი შესაძლებლობის გამორკვევა. საქ. სსრ მეცნ. კად. ზოოლ. ინსტ. შრომები, ტ. XVI.

- Заборова Б., Каннегисер Н., 1938. Рост и превращение элементов мягких мозговых оболочек головного мозга вне организма. ДАН СССР, т. 18.
- Заборова Б., Каннегисер Н., 1940. Рост и превращение элементов мягких мозговых оболочек головного мозга вне организма. Арх. анат., гист., и эмбр., т. 23.
- Ландакре Ф., Landacre F., 1921. The fate of the neural crest in the head of urodeles. Journ. of comparative neurology, vol. 41, № 1.
- Лилли Ф., Lillie F., 1952. The development of the chick.
- Лопашов Г. В., Лопашов Г. В., 1948. Значение мезенхимных оболочек в развитии глаз у амфибий. ДАН СССР, т. 60, № 3.
- Лопашов Г. В., Лопашов Г. В., 1960. Механизмы расчленения зародышей глаз в эмбриогенезе позвоночных. Москва.
- Рэвен Л., Raven L., 1933. Zur Entwicklung der Ganglienleiste. I Die kinematik der Ganglienleisten Entwicklung bei der Urodelen. Arch. f. Entwickl.-mech. des Organes, Bd. 125, № 210.
- Рошон-Дювигнейи А., Rochon-Duvigneaud A., 1943. Les yeux et les visceraux vertébrés. Paris.
- Снесарев П. Н., Снесарев П. Н., 1939. О „построении“ роговицы в свете динамики межуточной волокнистой субстанции. Арх. анат., гист. и эмбр., т. 21, № 2.
- Стон Л., Stone L., 1929. Experimental showing the role of migrating neural crest (mesectoderm) in the formation of head skeleton and loose connective tissue in Rana palustris. Arch. f. Entwickl.-mech. des Organes, Bd. 118, № 40.
- Строева О. Г., Строева О. Г., 1960. Экспериментальное исследование морфогенетических свойств пигментного эпителия в эмбриогенезе млекопитающих. Журн. общ. биол., т. 21, № 2.
- Хлопин Н. Г., Хлопин Н. Г., 1946. Общебиологические и экспериментальные основы гистологии. Изд. АН СССР.
- Заборова З. З., Чантuriashvili P. S., 1940. Типичное развитие эмбрионального глаза (*Oculus embryonalis*) у некоторых Anura. Канд. дисс., Москва.

Лаборатория эмбриологии Института  
зоологии АН ГССР

(Поступила в редакцию 26. VI. 1961 г.)

ა. ლეჩაშვა და ე. ტოროტაძე

ეპითოლიუმის ჯაჭამოვანი უჯრედების ფიალის განვითარების  
ელემენტების გარღვევის შესახებ

სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია მსჯელობენ სხვადასხვა სა-  
ფარ ეპითოლიუმში ლორწოს გამომყოფი უჯრედების წამწამოვან ან ყაეთნო-  
ვან ელემენტებთან ურთიერთობის შესახებ. ამ მსჯელობას მეტ წილად ფორ-  
მალურ-სტატიკური მიდგომის ხასიათი აქვს. ხშირად იგტორები ანგარიშს  
არ უწევენ ქსოვილების დეტერმინაციას და სახეობრივ სპეციფიკურობას და  
მიღებულ შედეგებს, როგორც ამის შესახებ მართებულად მიუთითებს ნ. ჰოლ-  
შტეინი (1948), ფაქტებს აზოვადებენ საქმარისი დასაბუთების გარეშე.

ლიტერატურა ამ საკითხზე ძირითადად ეხება სასუნთქავი გზებისა და  
ნაწლავის ეპითოლიურ საფარველებს. ამასთანავე, ავტორთა ერთი რიგი ლორ-  
წოვან უჯრედებს თვლის ისეთ წარმონაქმნებად—*sui generis*, რომლებიც არ  
შეიძლება წარმოიშვას იმავე საფარველის სხვაგვარად დიფერენცირებულ  
უჯრედებიდან (ბიცოცერო\*, ს. საყვარელი იძე, 1927). ავტორთა მეო-  
რე რიგს, პირიქით, შესაძლებლად მიაჩნია ლორწოვანი უჯრედების წარმო-  
შობა სხვაგვარად დიფერენცირებულ ელემენტებისაგან—ნაწლავში ყაეთნოვან  
უჯრედებიდან (კლარა\*, პანეტი\*), ხოლო საჭმლის მომნელებელი მიღის  
წინა ნაწილში და სასულეული წამწამოვანი უჯრედებიდან (ა. პრენანი,  
1904—1905; ნ. ჰოლშტეინი, 1948; ს. ჩასოვნიკოვი, 1913).

ჩვენ მიერ შესწავლილი იყო ექვსი ბაყაყის [(*Rana ridibunda*) ზაფხულის ბაყაყში] საყ-  
ლაპავი მიღის ეპითოლური საფარველი.

მასალის ერთ ნაწილს ფიქსაციის მიზნით ვათვესებდით 10 %-იან ფორმალინში და  
ვაყალებებდით პარაფინში. 7—8 მიგრონის სისქის ანათლებს ვღებავდით ან მხოლოდ ჰა-  
დენზანის ჰემატოქსილინით (ჰჰ) ან ამ ჰემატოქსილინთან ერთად მუციკარმინითაც (ჰმჰ).

მასალის მეორე ნაწილისაგან ვამზადებდით იზოლირებული უჯრედების პრეპარატებს,  
რომლებსაც 96%-იან ალკოჰოლში ფიქსაციის შემდეგ ვღებავდით ჰაიდენზანის ჰემატოქსი-  
ლინით და, დამატებით, მუციკარმინით, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში.

პრეპარატების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგი წამწამოვანი  
უჯრედის ციტოპლაზმაში მოიპოვება ლორწო. გარდა ამისა, ბაყაყის საყლა-  
პავი მიღის წამწამოვანი უჯრედების ერთიმეორესთან შედარების შედეგად  
შესაძლებელი გახდა მათში ლორწოს თანდაონობითი დაგროვების პროცე-  
სის დადგენა.

თანდართულ სურათზე წარმოდგენილია სპეციალურად შერჩეული წამ-  
წამოვანი უჯრედების ორი მწყრივი, რომელზედაც ნაჩვენებია მათში ლორ-

\* ) ციტირებულია ს. საყვარელი იძე (1927) მიხდვით.

წოს თანდათანობითი დაგროვება და ამასთან დაკავშირებით წამშემოგვანი უჯრედის ლორწოვან-ფიალისებრ უჯრედად გარდაქმნა.


განვითარების საწყის სტადიაზე, როგორც ეს ნაჩენებია სურათზე (B,B<sub>1</sub>) ლორწოს წვეთები ჩნდება უჯრედის აპიკალურ—ბირთვისაკენ მიმართულ—მხარეზე. ჰაიდენჰაინის ჰემატოქსილინით და მუციკარმინით შეღებვისას ალნიშნული ლორწოს წვეთებს აქვთ მკრთალი გარდისფერი, შედარებით მკრთალად ღებვადი ფიჭისებრი სტრუქტურა და ღია შიგთავსი. ლორწოს წვეთების წარმოშობას თან ახლავს ბირთვის ღებვადობის შეცვლა, მოცულობის მომატება და რამდენიმედ გადანაცვლება უჯრედის ბაზალურ მხარეზე (B, B<sub>1</sub>). დასახელებულ ცვლილებებთან პარალელურად ხდება აგრეთვე უჯრედის მოცულობის გადიდება. ისეთ უჯრედში, რომელშიაც ლორწო მეტი რაოდენობითაა დაგროვილი, ბირთვი მკრთალი ფერისაა, საწინააღმდეგო მხარეზე კი, პირიქით, ჰაიდენჰაინის ჰემატოქსილინით ინტენსიურად იღებება. გარკვეული ცვლილებების შემდეგ უჯრედი ღებულობს შერეულ—ლორწოსებრ—წამწამოვანი ელემენტის შესახებობას (C,D,G,H).

სურათზე წარმოდგენილია ცილინდრული წამწმებიანი უჯრედისაგან ლორწოვანი უჯრედის განვითარების რამდენიმე მოგვიანებითი სტადია (E,T,K). ორ მათგანში (I,K) ლორწოს დაგროვების გამო უჯრედის მოცულობა გაზრდილია. მას ახასიათებს გაგანიერებული აპიკალური ბოლო, რამდენადმე შევიწროებული ყელი, გამობურცული სხეული და მეტნაკლებად მომრგვალებული ბაზალური ბოლო. უჯრედის გალორწოვნებულ მიდამის ფიჭისებრი სტრუქტურა ალაგ უფრო მკვეთრადაა გამოსახული. ისეთ მიღამებში ლორწოს გაფუქრებული წვეთების ცენტრალური ნაწილი მკრთალია, პერიფერული ნაწილი კი ინტენსიურადაა შეღებილი კარმინის ფერში.


ლორწოს დიდი რაოდენობით დაგროვებასთან დაკავშირებით უჯრედის წამწამები ირლვევა უჯრედის თავისუფალი ზედაპირის ცენტრალურ ნაწილში (F,I). წამწამები პირველ რიგში ირლვევა იქ, საღაც მათ ქვეშ მდებარე ციტოპლაზმა ლორწოსებრ გარდაქმნას განიცდის. პერიფერიულ ნაწილში შენარჩუნებული წამწამები კი შეღებვის უნარს თანდათან კარგავს და პატარა რავდება. ლორწოს დაგროვება იწვევს ბირთვის გადანაცვლებას უჯრედის ბაზალური ბოლოსკენ. ბირთვი, როგორც წესი, ძლიერ პიკნოზს და დეფორმაციას განიცდის. ბირთვის ინტენსიურად შეღებილი ნაწილი, როგორც წესი, მიმართული უჯრედის გაწვეტებული ან მომრგვალებული ბოლოს მხარეზე, შედარებით ნათელი და ამავე დროს ჩაზნექილი—საწინააღმდეგო მხარეზე.

ჩვენი აზრით, ლორწოს მიბჯენა უშუალოდ ბირთვის აპიკალურ ზედაპირთან, უკანასკნელის სუსტი ლებადობა, განსაკუთრებით ჩაზნექილ ნაწილში, რომელიც ზოგჯერ ლორწოს შემხებ მხარეზე ჩაზნექილია, აგრეთვე ლორწოს დაგროვებასთან პარალელურად მიმდინარე ბირთვის დეგნერაციული ცვლილებები უნდა იყოს ლორწოს წარმოშობაში ბირთვის აქტიური მონაცილეობის მომასწავებელი.

ქვედა მწერივის ბოლოში სურათზე წარმოდგენილი უჯრედი (I) იძლევა ლორწოსებრ—წამწამოვანი უჯრედის ცვლილებების ერთ-ერთი საბოლოო სტადიის წარმოდგენას. იგი მთლიანად ამოვსებულია ლორწოსებრი შიგთავსით და რკოსებრი ფორმა აქვს. ბაზალურ მხარეზე მოთავსებულია გაბრტყელებული და საქმარისად შეჭმუჭნილი, დაპატარავებული ბირთვი,



A B C D E F



A, B, G, H, I, K

რომლის გარშემო მდებარეობს ოდნავ შეცვლილი ციტოპლაზმის მცენერული დენობა. უჯრედის თავისუფალ ზედაპირთან, ლორწოს მოსაზღვრე მიღამო-ში შერჩენილია მეტნაკლებად დაშლილი წამწამების მცირე რაოდენობა, რომლებსაც ჰქმება უჯრედებილ პრეპარატებზე მკაფიოდ გამოხატული მოვარდის-ფრო შესახედაობა აქვთ.

დიფერენცირებული წამწამოვანი უჯრედების ლორწოვან უჯრედებად გარდაქმნის გარდა, ბაყაყის საყლაბავი მილის ეპითელში ადგილი აქვს ლორ-წოვანი უჯრედების წარმოშობას უშუალოდ ეპითელის ბაზალურ ნაწილში მდებარე მცირედ დიფერენცირებული ელემენტებისაგან. ეს კარგად ჩანს ბა-ყაყის საყლაბავი მილის ეპითელის იმ ნაწილში, სადაც კამბიალური ელემენ-ტები მომეტებული რაოდენობით მდებარეობენ ბაზალურ ფირფიტასთან კუნ-ძულების სახით. ეს კუნძულები ეპითელის ასეთ მიღამოებს მრავალშრიან შესახედაობას უქმნის. კუნძულების იმ ნაწილში, რომელიც ესაზღვრება მრა-ვალრიგოვან ეპითელს, ადგილი აქვს წამწამოვანი და ლორწოიანი უჯრედე-ბის დიფერენცირების საწყის სტადიებს.

უჯრედების ერთ ნაწილს, რომლებიც თავისუფალ ზედაპირთან მდება-რეობენ, უვითარდებათ ბაზალური სხეულაკები და წამწამები. წარმოშობილი წამწამები არათანაბრად არიან განაწილებული: ისინი მდებარეობენ განმხო-ლოებით, ან მცირე ოდენობის კონტაბად. წამწამები სხვადასხვა სიგრძისაა და სუსტად იღებება.

ეპითელიუმის კამბიუმის სისქეში მდებარე ზოგ უჯრედში წარმოიშობა სფეროსებრი ან კვერცხისებრი ფორმის ლორწოვანი წვეთების გროვა. ამ გზით კამბიალური ელემენტების ნაწილიდან პირდაპირ ვითარდებიან ფია-ლისებრი უჯრედები.

მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბაყაყის საყლაბავი მილის ეპითელში წამწამოვანი და ფიალისებრი უჯრედების გარ-და არსებობს მათი დამაკარიზებელი გარდამავალი ფორმები, რომელთა არსებობა გაპირობებულია წამწამოვანი უჯრედების თვისებით—დააგროვონ თავიანთ ციტოპლაზმაში ლორწო და შეაძლებარე ფორმის, ლორწოვან-წამწ-მოვანი უჯრედის საფეხურის გავლისას საბოლოოდ გარდაიქმნან ფიალისებრ უჯრედებად. ფიალისებრი უჯრედები წარმოიშობა აგრეთვე უშუალოდ მცი-რედ დიფერენცირებული ბაზალური ელემენტებისაგან.

ამგვარად, ბაყაყის საყლაბავი მილის ეპითელში ადგილი აქვს ლორწო-ვანი უჯრედების წარმოშობას ან უშუალოდ ბაზალური კამბიუმისაგან, რომე-ლიც ძირითადად წარმოდგენილია ჩართული ელემენტებით, ან დიფერენცი-რებული წამწამოვანი უჯრედებისაგან.

წამწამოვანი უჯრედების ფიალისებრ ელემენტებად გარდაქმნა აღწე-რილი აქვს ა. კელიკერს (1881)—ადამიანის ფილტვში, გ. ვალერსა და გ. ბიორკმანს (1882)—ადამიანის სასულებში, ი. ლისტს (1886)—ცხვ-რის სასულებში, ა. პრენანს (1904—1905)—ტრიტონის საყლაბავი მილის ეპითელში, ს. ჩასონიკოვს (1913)—თავკომბალას პირის ღრუს ეპითელში და ნ. ჰოლტრეინს—შინაური კურდლის სასულეს ეპითელში.

რაც შეეხება ერთგვარ შინაგან და გარეგან პირობებში მყოფ ერთი და იმავე ეპითელური საფარველის სხვადასხვა მიმართულებით დიფერენცი-რებული უჯრედების ერთომორებული გარდაქმნის უარყოფის, როგორც ამას

ამტკიცებენ ზემოთ აღნიშნული აფტორები, ჩვენი აზრით, არ არსებული რებელი. დასახელებულ ივტორთა თვალსაზრისწევ რომ დავდგეთ, ლოგიკურად უნდა დავუშვათ მოცემული ეპითელის კამბიალური ელემენტების სხვა-დასხვაგვარი დეტერმინირება, რაც ძნელი წარმოსადგენია.

თბილისის უნივერსიტეტის  
ჰისტოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 7. IV. 1960 წ.)

ЛЕЖАВА А. С. И ТОРОТАДЗЕ Э. Э.

## К ПРЕВРАЩЕНИЮ МЕРЦАТЕЛЬНЫХ КЛЕТОК ЭПИТЕЛИЯ В БОКАЛОВИДНЫЕ

### Резюме

Вопрос о взаимоотношении выделяющих слизь клеток с мерцательными или каемчатыми, в составе различных покровных тканей, давно обсуждается в специальной литературе. Это обсуждение, в большинстве случаев, несет на себе отпечаток формально-статического подхода оценки явлений. Авторы часто игнорируют детерминированность и видовую специфичность тканей, и полученные данные, как об этом справедливо указывает Н. И. Гольштейн (1948), обобщают без достаточных оснований.

Литература данного вопроса касается, главным образом, слизистых клеток кишечного и дыхательного эпителиев. При этом, одни авторы считают слизистые элементы за образования (*sui generis*), в которые не способны превращаться дифференцированные иным образом клеточные формы того же самого пласта (Биццоцеро \*), С. Е. Сакварелидзе (1927) и др. Другие авторы, наоборот, описывают образование слизистых клеток из дифференцированных элементов—в кишечнике из каемчатых (М. Клара, Панетти др \*.), а в переднем отделе пищеварительной трубки и дыхательном горле—из мерцательных (А. Пренан (1904—1905), Н. И. Гольштейн (1948), Часовников (1913).

Нами был изучен эпителиальный покров шестилетних лягушек (*Rana ridibunda*).

Часть материала фиксировалась в 10% формалине и заключалась в парафин. Серийные срезы толщиной 7—8 микрон окрашивались гематоксилином Гейденгайна (ГГ), некоторые срезы—дополнительно муцикармином (ГГ+МК). Из другой части материала приготавливались изолированные клетки, которые после фиксации в 96° спирте окрашивались ГГ или ГГ с докраской МК.

\* Цитиров. по С. Е. Сакварелидзе (1927).

На этих препаратах видно, что в цитоплазме части цилиндрических клеток, снабженных мерцательными волосками, имеется слизь, хорошо выражен процесс постепенного накопления слизи.

На приведенном рисунке, где даны два ряда специально подобранных клеток, показано постепенное превращение мерцательных клеток в бокаловидные.

В начальной стадии развития, как это видно на рисунке, ( $B, B_1$ ) слизистые капли появляются на апикальной, прилегающей к ядру стороне клетки. При окраске ГГ+МК указанные капли слизи имеют бледно-розовый цвет, относительно слабо окрашенную ячеистую структуру и светлое содержимое. Начало образования слизистых капель сопровождается некоторым просветлением и увеличением объема ядра, которое постепенно перемещается в базальную половину клетки ( $B, B_1$ ).

В дальнейшем ядро на стороне, обращенной к слизи, становится светлее, на противоположной же, наоборот, интенсивно окрашивается ГГ. Накопление слизи ведет к увеличению объема клетки. В определенный момент развития клетка приобретает своеобразный вид смешанного слизисто-мерцательного элемента ( $C, D, G, H$ ).

Далее на рисунке ( $E, F, I, K$ ) представлены более поздние стадии развития слизистой клетки из цилиндрической мерцательной. Вследствие накопления слизи объем клетки сильно увеличен, главным образом, в ширину. Ячеистая структура ослизленного участка клетки выступает резче, а размеры ячеек становятся крупнее. Разбухшие капли слизи окрашиваются МК более интенсивно—особенно их контур. Клетка принимает бокаловидную форму с расширенным апикальным концом, несколько суженной шейкой, объемистым выпуклым телом и относительно притупленным базальным концом.

Мерцательный аппарат первоначально распадается в центральной части у свободной поверхности клетки, то есть там, где подстилающая ее цитоплазма ослизняется. Сохранившиеся в краевых участках реснички слабо воспринимают окраску ГГ, а у основания ресничек видны базальные тельца. Ядро оттесняется накапливающейся слизью почти к самому базальному концу клетки и, как правило, сильно деформируется и пикнотизируется. Нам представляется, что непосредственное примыкание слизи к апикальной поверхности ядра, слабая окрашиваемость последнего, особенно вогнутой части ядра, имеющей иной раз кратерообразный вид на примыкающей к слизи стороне, указывают на активное участие ядра в образовании последней.

Представленная на рисунке клетка ( $F$ , или  $J$ ) характеризует одну из конечных стадий изменений описанного слизисто-мерцательного элемента. Она целиком наполнена слизистым содержимым, укорочена в длину и расширена. В базальной части располагается уплощенное и в значительной мере сморщенное и уменьшенное в размерах ядро, которое окружено небольшим количеством малоизмененной цитоплазмы, сохранившейся также в периферийных участках клетки. У свобод-

ной поверхности клетки, к примыкающим к слизи участкам, замечены небольшие пучки более или менее распавшихся ресничек, имеющиеся на окрашенных ГГ+МК препаратах ясно выраженный розовый цвет.

Кроме превращения дифференцированной мерцательной клетки в слизистую, в эпителиальном покрове пищевода лягушки имеет место образование слизистых клеток непосредственно из малодифференцированных элементов, расположенных у основания эпителиального покрова. Это хорошо выражено в тех участках покровного эпителия пищевода лягушки, где камбимальные элементы расположены у основания в виде островков. Названным участкам эпителия пищевода эти островки камбия придают многослойный характер. В примыкающих к соседним дифференцированным участкам многорядного эпителия местах этих островков наблюдаются начальные стадии дифференцировки мерцательных и слизистых клеток. У части клеток, расположенных у свободной поверхности, развиваются базальные тельца и реснички. Появляющиеся реснички распределены неравномерно: либо по отдельности, либо в виде небольших пучков. Они имеют неодинаковую длину и отличаются своей слабой окрашиваемостью.

На основании изложенного можно заключить, что в эпителии пищевода лягушки, наряду с мерцательными бокаловидными клетками, имеются переходные формы. Мерцательные клетки накапливают в своей цитоплазме слизь и через промежуточную форму—слизисто-мерцательную клетку окончательно превращаются в слизеотделяющие элементы—бокаловидные клетки. Эти последние образуются также непосредственно из малодифференцированных базальных элементов.

Следовательно, в эпителиальном покрове пищевода лягушки имеет место образование слизистых клеток, как непосредственно из базально-го камбия, представленного в виде вставочных элементов, так и из дифференцированных мерцательных элементов.

Превращение мерцательных клеток в бокаловидные описано рядом авторов: Келликер (1881)—в легком человека, Валлер и Биоркман (1882)—в трахее человека, Лист (1886)—в дыхательном горле овцы, Пренан (1904—1905)—в эпителии пищевода тритона, Часовников (1913)—в эпителии ротовой полости головастиков и Гольштейн (1948)—в эпителии трахеи кролика.

Отрицание возможности взаимного превращения дифференцированных в различном направлении клеточных элементов одного и того же эпителиального пластика, находящихся в одних и тех же внутренних и внешних условиях, как это утверждает ряд вышеотмеченных авторов, по нашему мнению, мало обосновано. Мнение авторов, стоящих на такой позиции, логически приводит к маловероятному допущению неодинаковой детерминированности камбимальных элементов, имеющихся в составе данного эпителия.

#### დამუშავებული ლიტერატურა

ვასიტონია, Васюточкин А. М. 1945. К проблеме гистологической рекапитуляции. Тр. Военно-морск. Мед. Акад. т. 5.

ვალერი გ. და ბიორკმანი გ., Waller G. und Björckmann G., 1882.  
Studien über den Bau der Tracheal-schleimhaut mit besonderer Berücksichtigung  
des Epithels. „Biologische Untersuchungen, Stockholm.

ჰოლშტეინ ჩ. 1948. Превращения многорядного эпителия  
трахеи при репаративной регенерации. Арх. Анат. Гист. и эмбр. т. 28.

კოლიკერ ა., Kölliker A., 1881. Zur Kenntnis des Baus der Lunge des  
Menschen, a. d. Verh. d. phys-med. gesellsch. zur Würzburg, N.F. Bd 17.

ლისტი ი., List J., 1886. „Über Becherzellen“ Arch. f. mikroskopischen  
Anatomie, Bd. 27.

პრენან ა., Prenan A., 1904—1905. Les cellules cilless et los cellules  
muqueuses dens l' epithelium oesophagien du Triton. Arch. d' anat. mic. T. 7.

საუვარელიძე ს., 1927. ადამიანის ემბრიონის ნაწლავის ეპითელია და კუნთოვა-  
ნი გარსის მოწყობილობისათვის, მბილისის უნივერსიტ. მუსხე, დისერტ.

ჩასონიკოვ ს., Часовников С., 1913. О бокаловидных и мерцатель-  
ных эпителиальных клетках и их взаимных отношениях. Изв. императ. томского  
университета, т. 53.

Кафедра гистологии  
Тбилисского университета

(Поступила в редакцию 7. IV. 1961 г.)

## გ. გორგოლაძე

გაყაყის ტონური და ტეტანური კუნთების ვასტულარიზაციისა  
და ინერგიაციის შესახებ

ბოლო წლებში პ. კრიუგერის (1952), ე. შუკოვის (1956) და სხვა-  
თა მიერ დადგენილ იქნა, რომ ხერხემლიანთა კუნთების უმრავლესობა შედ-  
გება ორგვარი სახის კუნთოვანი ბოჭკოებისაგან: ტონური ბოჭკოებისაგან, რომ-  
ლებიც განაპირობებენ კუნთის ხანგრძლივ ტონურ შეკუმშვას, და ტეტანური  
ბოჭკოებისაგან, რომლებიც იწვევენ კუნთის სწრაფ ფაზურ შეკუმშვებს.

იმავე ავტორების მიერ დადგენილია, რომ ტონურ კუნთოვან ბოჭკოებ-  
ში ნერვული დაბოლოებანი წარმოდგენილია „საბოლოო მტევნების სახით“  
(Endtrauben), ხოლო ტეტანურ ბოჭკოებში „საბოლოო ბუჩქების სახით“  
(Endbüschel).

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ლიტერატურაში არ არის მითითებული  
ტონური და ტეტანური კუნთების ვასკულარიზაციისა და კაპილარული ბა-  
დის და ნერვულ დაბოლოებათა ურთიერთგანლაგების თავისებურებათა შე-  
სახებ.

შესწავლითი იყო ტბის ბაყაყის (*R. ridibunda*) მამრების კუნთები მთელი წლის გან-  
მავლობაში.

ტეტანური კუნთების შაგალითად აღებული იყო თერძის კუნთი (*m. sartorius*) და  
თეძო—მცირე წვივის კუნთის (*m. ileofibularis*) გვერდითი ნაწილები. ტონური კუნთების  
შაგალითად აღებული იყო მუცელის სწორი კუნთი (*m. rectus abdominis*) და თეძო—მცირე  
წვივის კუნთის ცენტრალური ნაწილი.


პ. კრიუგერის (1952) მონაცემების მიხედვით ბაყაყის თერძის კუნთი  
და თეძო—მცირე წვივის კუნთის გვერდითი ნაწილები შედგება მხოლოდ ტე-  
ტანური კუნთოვანი ბოჭკოებისაგან. მუცელის სწორი კუნთი შეიცავს ტონური  
კუნთოვანი ბოჭკოების საკმაოდ დიდ რაოდენობას, ხოლო თეძო—მცირე წვი-  
ვის კუნთის ცენტრალური ნაწილი თითქმის მთლიანად ტონურია.

სისხლის ძარღების ინიექცია ხდებოდა კონტრასტული მასით (ჟელატინი—შავი ტუში)  
ოთახის ტემპერატურაზე. ინიექციისათვის გამოყენებულ იქნა სპეციალური მაწყობილობა  
(სურ. 1). ინიექცია წარმოებდა სურგის აორტიდან (*a. dorsalis*). მარჯვე ინიექციის კრიტ-  
რიუმად ითვლებოდა უკან კიდურების საცურავი აპკის გაშავება, საინიექციო მასის სწრაფი  
გამკვრიცხებისათვის ობიექტი თავსდებოდა მაცივარში, რის შემდეგ ამოიჭრებოდა შესაფერისი  
კუნთები და მზადდებოდა ტოტალური პრეპარატები საერთო წესით.

ფიქსირებული და ბალზამში ჩაყალიბებული ტოტალური პრეპარატები იძლევა კუნ-  
თის გასკულარიზაციის ზოგად სურათს, მაგრამ ისინი არ გამოდგება კაბილარული ბადის

აგებულების ზუსტი ანალიზისათვის, ამისათვის, ინიექციის შემდეგ, ამოჭრილი კუნთა-შესწავების ლილი იყო მიკროსკოპულად. შესაფერისი ადგილები ფოტოგრაფირდებოდა.

სისხლძარღვებისა და ნერვული დაბოლოებების ერთდროული გამოვლინებისათვის გამოსაკვლევი კუნთის ზემოთ მდებარე კანის ქვეშ შპრიცით შეგვარდა ფიზიოლოგიურ სწარ-ზე დამზადებული სუჟთა სამედიცინო მეთოლების სილურჯის  $1\%$ -იანი სწარი. კანზე მაგრ-დებოდა რკალისებრი ელექტროდები და კიდური ღიზინდებოდა წყვეტილად 10 წუთის გან-მავლობაში 10 ვოლტითა და 200–300 სიტშირით 1 სეკ.-ში. შაპიროს (1953) მონაცემებით



სურ. 1. საინიექციო აპარატი.

1. შტატიფი.
2. რეზინის ორმაგი ბალონი თანაბარი ჭრევისათვის,
3. გრადუირებული ბაპეტი საინიექციო მასისათვის,
4. მომჭრი, 5. საინიექციო ნემსი.

გალიზიანების დიდი სიხშირე იშვევს მამოძრავებელ ნერვულ დაბოლოებათა მიერ საღებავის გაძლიერებულ ადსორბირებას. ელექტროდების მოხსნის შემდეგ სისხლძარღვები ინიცირდებოდა კონტრასტული მასით. ამოჭრილი კუნთები თავსდებოდა სასაგნე მინაზე შეღებვის „გამოსავლინებლად“.

ყველა შემთხვევაში მიკროსკოპით შეისწავლებოდა კუნთის კანისმხრივი ზედაპირი.

### გამოკვლევის შედეგები

#### I. ტერანური კუნთები (თერმის კუნთი და თერმო-მცირე წვივის კუნთის გვერდითი ნაწილები)

თერმის კუნთის სისხლით მომარავება სეგმენტური ხასიათისაა. კუნთის მკვებავი არტერიები (რიცხვით ექვსამდე) შედიან კუნთში შიგნითა ზედაპირიდან; აქედან ერთი ყველაზე უფრო მსხვილი სისხლძარღვი შედის კუნთის შუა ნაწილში ნერვულ ლერნოსთან ერთად.



სისხლძარღვთა კაპილარები ურთიერთშეერთებისას წარმოქმნიან სხვა-დასხვა სირთულის მარყუებს.

ჩვენ გამოვყავით კაპილარებს შორის ანასტომოზების 5 ძირითადი ტიპი: ვერტიკალური, ირიბი, რკალისებრი, რვიანისმაგვარი, წაგრძელებულრვიანის მაგვარი (სურ. 2).

კაპილარულ მარყუებს სხვადასხვა ფორმა აქვთ: ოთხეუთხა, მრავალ-კუთხა, არასწორი წრეები და ელიფსები. აქედან ოთხკუთხა მარყუები ყვე-კუთხა, არასწორი წრეები და ელიფსები. აქედან ოთხკუთხა მარყუები ყვე-

ლაზე მეტი რაოდენობით და თითქმის მთელი კუნთის სიგრძეზეა წარმოდგენილი (სურ. 3).

თერძის კუნთის შუა ნაწილში, განსაკუთრებით მსხვილი სისხლძარღვების და ტოტიანების აღვილას და პროქსიმალურ ნაწილში, ოთხუთხა ფორმის



სურ. 2. კაპილარებს შორის ანასტომოზების სქემატური სურათი

1. ვერტიკალური ანასტომოზი, 2. ირიბი ანასტომოზი, 3. რკალისებრი ანასტომოზი,
4. რვიანისმაგვარი ანასტომოზი, 5. წაგრძელებულრვიანისმაგვარი ანასტომოზი.

მარყუჯების გარდა, გვხვდება აგრეთვე მცირე ზომის მრავალკუთხა მარყუჯები, ელიფსები, წრეები.


კუნთის დისტალურ ბოლოში მარყუჯები მეტად ფართო და დიდი ზომისაა.

მარყუჯების სიგრძე და სიგანე ძლიერ ვარიაციებს: სიგრძე—200 მიკრონიდან 1,5 მმ-მდე, სიგანე—50-დან 200 მიკრონამდე.

თერძის კუნთში და თეძო—მცირე წვივის კუნთის გვერდით ნაწილებში გვხვდება ძირითადად ისეთი სისხლძარღვები, რომლებიც მათვან გამომავალ გვერდით ტოტებთან ქმნან მახვილ კუთხეებს.

კაპილარული ბადის სიმჭიდროვის დასაღენად ჩვენ ვითვლიდით მარყუჯების რაოდენობას კუნთის 1 მმ<sup>2</sup>-ის ფართობზე ერთ სიბრტყეში. გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ ამ კუნთებში 1 მმ<sup>2</sup>-ზე საშუალოდ 10 მარყუჯია.

ამ კუნთების ინერვაციის შესწავლამ შემდეგი სურათი მოგვცა: მათვის ძირითადად დამახასიათებელია მამოძრავებელი ნერვული დაბოლოებანი „საბოლოო ბუჩქების“ სახით. თერძის კუნთის პროქსიმალური და დისტალური ბოლოები არ შეიცავენ ნერვულ დაბოლოებებს. კუნთის შუა ნაწილში, გარ-



სურ. 3. m. sartorius. მიკროფოტო.



გადაღებულია კუნთის შუა ნაწილი.

1. ვერტიკალური ანასტომოზი, 2. რკალისებრი ანასტომოზი,
3. ირიბი ანასტომოზი, 4. რვიანისმაგვარი ანასტომოზი.

გადიდებ. 120 X.

და ცალკეული ნერვული დაბოლოებებისა, გვხვდება მათი მთელი ჯგუფები; კუნთის გასწვრივ ან ირიბად მიიმართება ნერვული ბოჭქოების კონტრაქტომლები ბიც გზადაგზა იძლევიან ტოტებს, რომლებიც უკვე წარმოქმნიან ნერვულ დაბოლოებებს კუნთოვან ბოჭქოებში. როგორც წესი, ეს ტოტები მიიმართებიან კუნთის სიგრძივ, ბოჭქოების პარალელურად.

თერძის კუნთის გარეთა ზედაპირულ შრეში ჩვენ მიერ აღებული 80



სურ. 4. კაპილარებისა და ნერვულ დაბოლოებათა ურთიერთგანლაგების სქემა.


1. ნერვული დაბოლოება მარყუების გასწვრივ, 2. ნერვული დაბოლოება ანასტომოზთან,
3. ნერვული დაბოლოება მცირე ზომის მარყუებში, 4. ნერვული დაბოლოება სისხლძარღვის კაპილარებად დაშლის ადგილას.

ნერვული დაბოლოებიდან 50% ყველა დაბოლოებებისა გასდევს კაპილარებს და ხშირად ზუსტად იმეორებს მარყუების ფორმას; 25%—მოთავსებულია ანასტომოზებთან და სისხლძარღვთა კაპილარებად დაშლის ადგილას, 25% კი—ვიწრო ზარყუებში (სურ. 4, 5).

## II. ტონური კუნთები (მუცელის სწორი კუნთი და თებო—მცირე წვივის კუნთის ცენტრალური ნაწილი)

სეგმენტური აგებულების შესაბამისად, ბაყაყის მუცელის სწორი კუნთის სისხლით მომარაგება სეგმენტურ ხასიათს ატარებს. კუნთის ყოველი სეგმენტი მდებარეობს ორ მსხვილ სისხლძარღვს ზორის, რომლებიც განლაგებული არიან კუნთის გასწვრივ inscriptiones tendineae-ს ქვეშ. ამ სისხლძარღვებიდან კუნთის პარალელურად მის სიღრმეში მიიმართება ტოტები, რომლებიც ანასტომოზების საშუალებით წარმოქმნიან კაპილარულ ბადეს.

სისხლძარღვების კაპილარებად დაშლის ადგილას, ისევე როგორც ტეტანურ კუნთებში, გვხვდება მცირე ზომის მარყუები. მაგრამ ხშირად გვხვდება აგრეთვე ფართო და გრძელი მარყუები და მარყუები გიგანტები, რომლებიც თითქმის სეგმენტის ნახევრის სიგრძეს აღწევენ. ამ კუნთებში გვხვდე-



ბა ძირითადად ისეთი სისხლძარღვები, რომლებიც მათგან გამოსულ ტოტებზე თან ქმნიან სწორ ან ბლაგვ კუთხეებს (სურ. 6, 7).



ამ კუნთებში 1 მმ<sup>2</sup>-ის ფართობზე საშუალოდ 5—6 მარყუება.

მამოძრავებელი ნერვული დაბოლოებანი ამ კუნთებში წარმოდგენილია „საბოლოო მტევნების“ სახით. არის აგრეთვე საკმაო დიდი რაოდენობა „საბოლოო ბუჩქებისა“, რაც მიუთითებს ტეტანური კუნთოვანი ბოჭქოების არსებობაზე (განსაკუთრებით ბუცლის სწორ კუნთში). ჩვენ ვერ ვიპოვთ ამ კუნთებში რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ნერვულ დაბოლოებათა და კაპილარებს შორის ურთიერთგანლაგებაში ტეტანურ კუნთებთან შედარებით. აქაც ნერვულ დაბოლოებათა ძირითადი მასა თან სდევს კაპილარებს.

### შედეგების განხილვა

ბაყაყის ტონური და ტეტანური კუნთების კაპილარული ბადის აღნაგობის ანალიზის შედეგად გამოვლინებულია კაპილარებს შორის ანასტომოზების 5 ძირითადი სახე.

ტონური და ტეტანური კუნთების ვასკულარიზაციის შესწავლურ. 6. *m. ileofibularis*-ის ცენტრალური ნაწილისას ჩვენ მივიღეთ შემდეგი სურათი: ტონურ კუნთებში კაპილარული ბადე უფრო ფაშარია, 1 მმ<sup>2</sup> მოდის 5—6 მარყუებ წინააღმდეგ 10 მარყუებისა ტეტანურ კუნთებში. ხოლო



სურ. 7. *m. rectus abdominis*. მიკროფოტო. ერთი გიგანტური მარყუებ. 120 X.

კროვის\* მიხედვით უანგბადის გადატანა კაპილარებიდან კუთნოვანი ელემენტებისაკენ მით უფრო იოლია, რაც მეტია კაპილარების რაოდენობა მოცემულ აღგილზე.

\* ციტირებულია ი. მოვშოვიჩ (1953).

ზემოთ აღნიშნული იყო ფაქტი, რომ ტონურ კუნთებში სისტემურ და ბი მათგან გამოსულ ტოტებთან ქმნის ძირითადად სწორ ან ბლკურ ფორმებს, ხოლო ბის ტროვის, რუს და ლისიცინის \* მონაცემების მიხედვით ამ კუთხეთა გაზრდა სისხლის მიმოქცევის პირობებს აუარესებს.

საკუთარი და ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავსკვნათ, რომ ტონური კუნთები, ტეტანურთან შედარებით, სისხლით მომარაგების უარეს პირობებში იმყოფებიან. კაპილარებისა და მამოძრავებელ ნერვულ დაბოლოებათა შორის ურთიერთდამკიდებულება ემორჩილება ზოგად კანონზომიერებას: ნერვულ დაბოლოებათა მიდამოში კაპილარული ბადე უფრო წვრილმარყუჟოვანია, კომპაქტურია, ვიდრე კუნთის სხვა ნაწილებში. როგორც წესი, ნერვული დაბოლოებანი ზუსტად იმეორებენ კაპილარების მსვლელობას. ეს მონაცემები შეესაბამება ბ. ლავრენტიევის (1937) და ა. ლეჭავას (1939) მონაცემებს.

თბილისის უნივერსიტეტის  
ჰისტოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 26. VII. 1961 წ.)

ГОРИЛАДЗЕ Г. И.

## К ВАСКУЛЯРИЗАЦИИ И ИННЕРВАЦИИ ТОНИЧЕСКИХ И ТЕТАНИЧЕСКИХ МЫШЦ ЛЯГУШКИ

### Резюме

За последние годы работами Крюгера (1952), Жукова (1956) и др. установлено, что большинство мышц позвоночных животных состоит из двойного рода волокон: 1) тонических, обуславливающих медленные тонические сокращения мышц, и 2) тетанических, приспособленных для быстрых фазных сокращений.

Теми же авторами установлено, что в тонических волокнах имеют-ся нервные окончания типа „концевых гроздей“ (Endtrubben), а в тетанических — типа „концевых кустиков“ (Endbüschel).

Насколько нам известно, в литературе нет указаний об особенностях васкуляризации и взаиморасположения капиллярной сети и нервных окончаний в тонических и тетанических мышцах лягушки, учитывавших их морфо-физиологические своеобразия.

Были исследованы мышцы самцов озерной лягушки (*R. ridibunda*) во все времена года.

В качестве тетанических мышц, по данным Крюгера (1952), изучались портняжная мышца и боковые части подвздошно-малоберцовой мышцы. В качестве тонических — прямая мышца живота и центральный пучок подвздошно-малоберцовой мышцы.

Сосуды инъектировались контрастной массой (черная тушь — желатина) при комнатной температуре через спинную аорту. Для инъекции был сконструирован спе-

\* ვიტირებულია ი. მავრავიშვილი (1953).

циальный аппарат (рис. 1). Критерием удачной инъекции служило почернение плавательных перепонок лап задних конечностей. Объект охлаждался в холодильнике, после чего вырезывались соответствующие мышцы и приготавливались тотальные препараты.

Для одновременного выявления сосудов и нервных окончаний живой лягушке под кожу в области подлежащих исследованию мышц вводился 1% раствор химически чистой медицинской метиленовой сини на физиологическом растворе. Для лучшего связывания красителя нервыми окончаниями (Шапиро—1953) к коже прикладывались дугообразные электроды от релаксационного стимулятора с напряжением в 10 в и частотой 200—300 гц. Раздражение производилось прерывисто в течение 10 мин. После снятия электродов сосуды инфицировались контрастной массой. Вырезанные мышцы кладались на предметное стекло для "проявления" окраски и их подкожная сторона изучалась микроскопически.

### Результаты исследований

**1. Тетанические мышцы.** Кровоснабжение портняжной мышцы носит сегментарный характер. Питающие артерии (до шести) вступают в мышцу с внутренней стороны, одна же, наиболее крупная—в среднюю часть мышцы вместе с нервным стволом. От кровеносных сосудов отходят боковые ветви под острым углом, переходящие в капилляры, связанные между собой анастомозами.

Нами выделено пять основных типов анастомозов: вертикальный, косой, дугообразный, типа восьмерки и удлиненной восьмерки (рис. 2.).

Капиллярные петли мышцы имеют различную форму: четырехугольников, распространенных почти по всей длине мышцы (рис. 3), неправильных кругов, эллипсов и многоугольников. Сильно варьируют длина (200 мк—1,5 мк) и ширина (50—200 мк) петель. В дистальном конце, у места перехода мышцы в сухожилие имеются в основном наиболее широкие петли. В средней части мышцы на 1 мм<sup>2</sup> приходится по 8—10 капиллярных петель.

Поперек портняжной мышцы или в косом направлении тянутся попутно ветвящиеся пучки нервных волокон, от которых отходят отдельные волокна, заканчивающиеся двигательными нервными окончаниями типа "концевых кустиков". В средней части мышцы нервные окончания располагаются одиночно и группами.

Из подсчитанных в поверхностной части портняжной мышцы 80-ти нервных окончаний половина располагается вдоль капилляров, часто точно повторяя ход их петель. Четвертая часть лежит внутри узких капиллярных петель, остальные 25%—у анастомозов или в местах дихотомизации артериол на капилляры (рис. 4, 5).

В области нервных окончаний капиллярная сеть более узкоплетистая. Аналогичные результаты получены на боковых частях подвздошно-малоберцовой мышцы.

**2. Тонические мышцы.** Соответственно анатомическому строению, кровоснабжение прямой мышцы живота имеет также сегментарный характер. Каждый сегмент мышцы находится между относительно крупными артериями, расположенными поперек мышцы в области ius-

criptions tendineae. От этих стволов в толщу мышцы, параллельно ее длиннику, отходят сосуды, отдающие боковые ветви под прямым или большим углом (рис. 6). Последние переходят в капиллярную сеть.

Как и в тетанических мышцах, в области бифуркаций сосудов встречаются мелкие капиллярные петли, однако часто также широкие и длинные петли и петли-гиганты, тянувшиеся чуть ли не во всю половину сегмента (рис. 7). В прямой мышце живота и центральном пучке подвздошно-малоберцовой мышцы на 1  $\text{мм}^2$  приходится по 5—6 петель.

Рассматриваемые мышцы характеризуются нервными окончаниями типа „концевых грозьев“, но в них встречается довольно значительное количество „концевых кустиков“, что, очевидно, связано с наличием тетанических мышечных волокон, особенно в прямой мышце живота.

В этих мышцах мы не обнаружили существенной разницы во взаиморасположении нервных окончаний и капилляров по сравнению с тетаническими мышцами.

## Обсуждение результатов

Изучено строение капиллярной сети тонических и тетанических мышц лягушки. Выявлено 5 основных типов анастомозов между капиллярами. Капиллярные сети тетанических и тонических мышц отличаются друг от друга рядом особенностей: в тетанических мышцах капиллярная сеть развита сильнее (8—10 петель на 1  $\text{мм}^2$ ), чем в тонических (5—6 петель на 1  $\text{мм}^2$ ). Наряду с характерными для тетанических мышц узкими петлями капилляров, в тонических мышцах встречаются очень длинные и широкие петли.

Учитывая данные Крода\* о том, что перенос кислорода из капилляров к мышечным элементам тем легче, чем больше число капилляров в данной области, а также Быстрова, Ру и Лисицына\*\* с увеличением угла отхождения сосудистых ветвей условия кровотока ухудшаются, следует прийти к выводу, что тонические мышцы лягушки находятся в худших условиях кровоснабжения по сравнению с тетаническими.

В отношении взаиморасположения капилляров и двигательных нервных окончаний нет разницы между тетаническими и тоническими мышцами. В обоих случаях в области нервных окончаний капиллярная сеть более узкоплетиста и нервные окончания, как правило, прилегают к капиллярам. Эти положения совпадают с данными Б. И. Лаврентьева (1937) и А. С. Лежава (1939).

## ଭାରତୀୟ ଶାସନ ପାଇଁ

კრიუგერი, Krüger P., 1952. Tetanus und Tonus der Quer gestreiften Skelettmuskeln der Wirbeltiere und des Menschen. Leipzig.

\* Цитируется по Мовшовичу (1953).

- Лаврентьев Б. И., 1937. Некоторые вопросы теории строения нервной ткани. Арх. биол. наук, 48, 1—2, 194.
- Лежава А. С., 1939. К вопросу о кровоснабжении так называемых иннервационных зон скелетной мускулатуры. БЭБМ, 8, 40.
- Мовшович И. А., 1953. Особенности васкуляризации мышц. Врач. дело, 5, 421.
- Жуков Е. К., 1956. Исследование о тонусе скелетных мышц, Ленинград.
- Шапиро Е. А. 1953. Изменение сорбционных свойств окончаний и концевых разветвлений двигательного нерва позвоночных в условиях физиологического возбуждения. ДАН СССР, 88, 6, 1075.

Кафедра гистологии  
Тбилисского университета

(Поступила в редакцию 26. VI. 1961 г.)

---

მ. სიხარულიძე | და ა. ლეჩაშვილი

ზოგიერთი ამფიბიის, რეპტილიის და გინერალის შათმის  
ეპითელიუმებს შორის შესაყარი კლოაკაში

ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა (მ. სიხარულიძე, 1954) დაწვრილებით შეისწავლა ზოგიერთი ამფიბიის, რეპტილიის და ფრინველის კლოაკის ლორწოვანი გარსი. ამ შრომაში კი სპეციალურად განხილულია, მტრედის გამოკლებით, იმავე ცხოველების (ტბის ბაყაყი, მცირე აზის ტრიტონი, ზოლიანი ხვლიერი, კავკასიის ჯოჯო, კავკასიის კუ, შინაური ქათამი) და წყნარი კონტიის ეპითელიუმების ანალური შესაყარი.

ცნობები დასახელებულ ცხოველთა კლოაკაში კანის ტიპისა და ნაწლავის ტიპის ეპითელიუმების ურთიერთობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მეტად მცირეა და არათანხმოვანი.

კულიან ამ ფიბიებში, კერძოდ ტრიტონში, ჰაიდენ ჰაიდენის (1890) მიხედვით პროქტოდეუმის ეპითელური საფარველის უჯრედები ექტოდერმაში გადასვლის მიღამოში ლორწოს არ შეიცავს.

კ. ფილდი (1895), რომელსაც ეთანხმება ა. სერგეევი (1943), ფიქრობს, რომ ჰიმნოფიონებში ენტოდერმულ და ექტოდერმულ ეპითელიუმებს შორის საზღვრის აღმოჩენა კლოაკაში შესაძლებელია მხოლოდ აღრეულ ებბიონულ პერიოდში, ენტოდერმულ უჯრედებში ყვითრის, მარცვლების არსებობის მიხედვით. უფრო მოვინანებით კი, ყვითრის რეზორბციის გამო, ეს კრიტერიუმი არ არის გამოსადევი და საზღვრის შემჩნევაც შეუძლებელია.

უკუდო ამ ფიბიების კლოაკის მრავალშრიანი ცილინდრული ეპითელიუმის ზედაპირული შრე, გ. ოზავას (1915) თანახმად, ლორწოს დიდ რაოდენობას შეიცავს და შესამჩნევ მსგავსებას იჩენს კუჭის ეპითელიუმთან. ავტორის თანახმად, კაუდალურ ნაწილში ეს საფარველი ისეთივე მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმითაა წარმოდგენილი, როგორც კანი.

რ. კრაუზეს (1922), ა. ეკერისა და რ. ვიდერსკამის (1904) ჰანდბუქში არსებული ცნობების თანახმად, 2—3-შრიანი ან ჰაიდენ ჰაიდენით (1890) უფრო მრავალშრიანი (ხუთამდე შრე) ბაყაყის კლოაკის ეპითელიუმის ზედაპირული შრე ფიალისგბრი უჯრედების დიდ რიცხვს შეიცავს. კაუდალური მიმართულებით ეს საფარველი თანდათან კარგავს ფიალისებრ უჯრედებს და ჩვეულებრივ მრავალშრიან ბრტყელ ეპითელიუმად გადაიქცევა.

რეპტილიების ზოგიერთ წარმომადგენელში გ. ოზავას (1915) ხედვით, კლოკის მრავალშრიანი პრიზმული ეპითელიუმი კაუდალური მიმართულებით კარგავს ფიალისებრ უჯრედებს და თანდათანობით გადადის მრავალშრიან ბრტყელ ეპითელიუმში. ამავე ავტორის გამოკვლევებით (1897), ჰატერიიებში პროქტოდეუმის მრავალშრიანი ბრტყელი საფარველი ანალურ მიდამოში ეპიდერმული ეპითელიუმის შესახედაობისა და კანში გადადის.

რ. კრაუზეს (1923) თანახმად, ხელიკების კლოკის როსტროალური ნაწილის ეპითელიუმი მდიდარია ფიალისებრი უჯრედებით, კაუდალური მიმართულებით კი, შარლის ბუშტის კლოკაში გახსნის დონის უკან, ეს ეპითელიუმი გადადის მრავალშრიან ბრტყელში, რომელიც ანალურ მიდამოში გარქვანებულია.

ნიანგების უროდეუმის მაღალი პრიზმული ორჩიგოვანი ეპითელიუმი, ტაგუხის (1920)\* თანახმად, ძლიერ მდიდარია ფიალისებრი უჯრედებით. პროქტოდეუმის სიახლოვით იგი მრავალრიგოვანი ხდება, ხოლო ანალურ მიდამოში, მკვეთრი საზღვრის გარეშე, გადადის მრავალშრიან ბრტყელი ეპითელიუმში.

ფრინველების, კერძოდ, მტრედის კოპროდეუმისა და უროდეუმის პრიზმული ეპითელიუმი, მ. კლარას (1926) მიხედვით, პროქტოდეუმში მრავალშრიან ბრტყელ ეპითელიუმში გადადის, ხოლო ანალურ მიდამოში გარქვანებას განიცდის.

ჩვენს ლაბორატორიაში, უკანასკნელ პერიოდში ფრინველთა კლოკის ეპითელიუმების შესაყარზე შესრულებულ იქნა ორი შრომა. ერთ მათგანში ა. ლეგავამ და მ. კოლეგვარი - მარკინამ (1959, 1963) შეძლეს ენტროდერმული და კანის ეპითელიუმებს შორის კარგზდ გამოხატული შესაყარის გამოვლინება კვერცხის ინკუბაციის მე-14 დღეზე. უფრო მოვგიანებით კვერცხიდან წიწილის გამოჩეკვამდე ეს შესაყარი მეტნაკლები ხარისხით მასკირებული იყო, მაგრამ ნიშნების ერთობლიობით მისი პოვნა მაინც შეიძლებოდა.

მეორე შრომაში, ე. არზიანის მიერ (1959) სპეციალურად იყო შესწავლილი ეპითელიუმების შესაყარი სხვადასხვა ფრინველის (შინაური ბატის, გარეული იხვის, მწყერის, შინაური მტრედის, სახლის ბელურის, ხუჭუჭა თუთიყუშის, წყლის პატარა ბუღას) კლოკაში. ავტორის თანახმად, ამ ფრინველთა კლოკაში ეპიდერმულ და ენტროდერმულ ეპითელიუმებს შორის შესაყარი სხვადასხვა ხარისხითაა გამოსახული; იგი მკვეთრად აქვს გამოხატული ბატის, იხვის, თუთიყუშს და წყლის ბუღას, შედარებით ნაკლებად — მწყერს, ბელურას და ყველაზე უფრო სუსტად — მტრედს.

წარმოდგენილი მომკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ზოგი ამფიბიის, რეპტილიის და შინაური ქათმის ანალურ მიდამოში კანის და ნაწლავის ტიპის ეპითელიუმების ურთიერთობა არ არის საკმარისად შესწავლილი. ჩვენს ლაბორატორიაში შესრულებული შრომების მეშვეობით შედარებით მეტი ცნობა მოიპოვება ფრინველების შესახებ, მაგრამ აქც მუშაობა ჯერ კიდევ გაგრძელებას და სისტემატიზაციას მოითხოვს. გარდა ამისა, დასახელებული წყაროების მეტ ნაწილში (ჰაიდენკაინი, ოზავა, რ. კრაუზე, ა. ეკერი და რ. ვიდერსპაიმი, მ. კლარა) არ არის მოცემული ერთომეორესთან მომიჯნავე ეპითელიური ქსოვილების, განსაკუთრებით ნაწლავის ტიპის ეპი-

\* ციტირებულია გ. პატოვლის მიხედვით.

თელიუმის სტრუქტურული ანალიზი. მხოლოდ ტ. აბუ ხი მოკლედ აღნიშნავს უმცირეს რომ უროდეუმის ორჩივობანი მაღალი პრიზმული საფარველი მრავალრიგოვანი ხდება და ანალურ მიდამოში მკვეთრი საზღვრის გარეშე გადადის მრავალშრიან ბრტყელ ეპითელიუმში. სხვა ავტორები კი, ძირითადად ფიალი-სებრი უჯრედების გაიშვიათებაზე და მათ გაქრობაზე მოგვითხრობენ.

გამოკვლეული ცხოველების კლაკაში მეტ-ნაკლები სიმკვეთრით გამოხატული შესაყარის არსებობის შესახებ ლაპარაკია მხოლოდ ჩევნი ლაბორატორიიდან გამოსულ შრომებში (მ. სიხარული და ა. ლეჟავა და მ. კოლოჟვარი-მარკინა, ე. არზიანი). გარდა ამისა, ჰ. ფილდი და ა. სერგეევი მიგვითოთებენ შესაყარის გამოვლინების შესაძლებლობის შესახებ გიმნოფიონებში, მაგრამ მხოლოდ აღრეულ ემბრიონულ პერიოდში.

ჩვენს მიერ ჰისტოლოგიურად შესწავლილია დასახელებული ცხოველების (3-ტრიტონი, 7-ბაყაყი, 4-ჯოჯი, 4-კონტია, 5-კუ და 7-შინაური ქათმი) კლაკიდან ამოკვეთილი ნაჭრები კანის და ნაწლავის ტიპის ეპითელიუმების შესაყარის მიდამოდან. დამზადებული იყო ჰამენტანის ჰემატოქსილინით და დამატებით მუციკარმინით შეღებილი 7-8 მიკრონის სისქის, ძირითადად გასწროვი ანათლებისაგან შემდგარი სერიები. პრეპარატების ნაწილი შეღებილი იყო აგრეთვე მაღლობის ხსნარით და ფუტის მეოთვით.

### მცირე აზიური ტრიტონი (*Triturus vittatus*)

მცირე აზიის ტრიტონის ეპითელიუმების ანალური შესაყარი ერთგვარად მასკირებულია და მისი დადგენისათვის საჭიროა გათვალისწინებული იქნება ნიშნების ერთობლიობა: შეღებვის ხასიათი, უჯრედების და ბირთვების ორიენტაცია, ლორწოს შემცველობა და სხვა (სურ. 1).

კლაკის კაუდალურ ნაწილში ეპითელურ საფარველს პორიზონტალური მდებარეობა აქვს, ე. ი. მისი საზღვარი ქვეშმდებარე შემაერთებელ ქსოვილთან სწორხაზოვანია. შესაყარის მახლობელ მიდამოში კანის საფარველი არ შეიცავს შემაერთებელ ქსოვილოვან დარილებს, ხოლო მოსაზღვრე ნაწლავის ტიპის ეპითელიუმი—კრიპტებს. ამავე დროს, შემხვედრი მიმართულებით ორივე საფარველის სისქე თანდათან მცირდება.

ეპიდერმისი კანიდან გადადის რა კლაკაში, შესაყარის მიმართულებით თანდათან კარგად გარეონანებული უჯრედების განუწყვეტელ ფენებს და წარმოდგენილია ოთხ-ხუთშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით, რომელთა შორის უჯრედშორისი საზღვრები ძნელი შესამჩნევია. საფარველის ბაზალური ნაწილი წარმოდგენილია უსწორმასწორო, პოლიგონალური ფორმის მჭიდროდ განლაგებული უჯრედების ორი შრით. მომდევნო შრეში უჯრედები მეტ-ნაკლებად გაბრტყელებულია. ზედაპირული ბრტყელი უჯრედების ნაწილი კი გარეონანების ნიშნებს ამჟღავნებს.

მოსაზღვრე უბანში ნაწლავის ეპითელიუმი მრავალრიგოვანია, ხოლო უშუალოდ შესაყართან—ერთშრიანი ორჩივოვანი. უჯრედშორისი საზღვრები აქაც სუსტადა გამოხატული. ზედაპირული პრიზმული უჯრედები შეიცავენ ოვალურ, მეტწილად ვერტიკალურად ორიენტირებულ, წაგრძელებული ფორმის და ინტენსიურად ღებგად ბირთვებს. ციტოპლაზმაში ეხვდებით ლორწოს წვეთებს. ეს უკანასკნელი უჯრედთა აპიკალურ ნაწილში ყაეთნის მაგვარ შესქელებას იძლევა. ბაზალურად მდებარე უჯრედები პოლიგონალური ფორმისაა და შეიცავენ მრგვალი ან ოვალური ფორმის ბირთვებს. ეპითელიუმის სისქეში გვხვდება მუქად შეღებილი სხვადასხვა სიდიდის მარცვლები.

კრანიალური მიმართულებით ეპითელიუმში თანდათან ქრება შეზღუდული უჯრედები, ხოლო საფარველის მაღალ პრიზმულ უჯრედებში დაანლოებით ზემო ორი მესამედი ლორწოს უჭირავს. ამავე დროს, ამ უჯრედების ბირთვებს უკიდურესი ბაზალური მდებარეობა აქვთ. შესაყარიდან უფრო მოშორებით ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის პრიზმულ უჯრედთა შორის გვხვდება ერთეული ფიალისებრი უჯრედები.

ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე კლოაჟის ამ უბანში წარმოდგენილია უჯრედებით შედარებით ღარიბი ფაშარი შემაერთებელი ქსოვილით, რომლის ბოჭკოვან ელემენტებს ეპითელიუმის მიმართ პარალელური განლაგება აქვთ.

### ტბის ბაყაყი (*Rana ridibunda*)

ბაყაყში ეპითელიუმების ანალური შესაყარი რამდენადმე მასკირებულია. მისი ნახევა მოითხოვს ეპითელიუმების უყრადღებით დათვალიერებას (სურ. 2).

ეპიდერმული კომპონენტი შესაყარის მიღამოში წარმოდგენილია დედიფერენცირებული მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით. იგი შედგება სხვადასხვა ფორმის უჯრედებისაგან, რომლებიც დალაგებული არიან სამ შრედ. ეს შრეებია: დაბალი პრიზმული უჯრედებისაგან შემდგარი ბაზალური შრე მდგრად და მეტ-ნაკლებად გაბრტყელებული უჯრედებისაგან შემდგარი საფარველი შრე.

შესაყარიდან ანალურ ხერელისაკენ ეპიდერმალურ ეპითელიუმს ზედაპირულად ემატება კიდევ ერთი შრე. გარდა ამისა, ზედაპირული უჯრედები უფრო ბრტყელდება და გარქოვანებას განიცდის.


ნაწლავის ტიპის ეპითელიუმი შესაყარის მიღამოში ძირითადად წარმოდგენილია იზოპრიზმული უჯრედების ორი შრით. ბაზალური უჯრედები, ზედაპირულთან შედარებით, მცირე ზომისაა და მათ პრიზმული ან მომრგვალო-პოლიგონალური ფორმა აქვთ. ამ ელემენტების ციტოპლაზმა შედარებით ნათელია. ზედაპირული უჯრედები სხვადასხვა სიმაღლის პრიზმული უჯრედებითაა წარმოდგენილი. ეს უჯრედები პოლარულად დიფერენცირებულია და აპიკალურ ბოლოებთან ლორწოს შეიცავს, რომელსაც სქელიყაეთნისმაგვარი შესახედაობა აქვს. ზედაპირული უჯრედები შესაყარიდან დაშორებით თანდათან მაღალი პრიზმული ფორმის ხდებიან და მათში ლორწოს რაოდენობაც მატულობს. ამავე დროს, ეპითელიუმის სისქეში გვხვდება ერთეული ფიალისებრი უჯრედი.

შესაყართან მდებარე ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის ზედაპირულ უჯრედებს ახასიათებთ ინტენსიურად ღებგადი და ვერტიკალურად ორიენტირებული შედარებით დიდი ბირთვები. ამის გამო ეს ეპითელიუმი მკვეთრად გამოირჩევა მომიჯნავე ბაცი ბირთვების შემცველ ეპიდერმულ უჯრედებისაგან. ეს დამახასიათებელი ნიშანი ლორწოსთან ერთად შესაყარის დაღვენისათვის მნიშვნელოვან ორიენტირს წარმოადგენს.

კრანიალური მიმართულებით, ნაწლავის ტიპის საფარველი თანდათან იცვლება და გვევლინება ერთშრიანი, ფიალისებრი უჯრედებით მდიდარი, მაღალი პრიზმული ეპითელიუმის სახით.



სურ. 1. ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმების შესაყარი მცირე აზის ტრიტონის სურ. ა—ოდნა გალორწოვანებული პრიზმული უჯრედების ზედაპირული შრე; ბ—პოლიგონალური ფორმის ბაზალური უჯრედების შრე; ც—ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე; დ—ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმების შესაყარი; ე—კანის ტიპის, ნაწილობრივ დედიფერენცირებული, ეპითელიუმი. ფიქსაცია—10% ფორმალინი; შეღება—ჰეიდენკაინის ჰემატოქსილინი და მუციკარმინი; გადიდება—720-ჯერ.



სურ. 2. ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმების შესაყარი ტბის ბაყაყის ანალურ მიდამოში. ა—მცირედ გალორწოვანებული პრიზმული უჯრედების ზედაპირული შრე; ბ—პრიზმული და პოლიგონალური ფორმის ბაზალური უჯრედების შრე; ც—ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე; დ—ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმების შესაყარი; ე—კანის ტიპის ნაწილობრივ დედიფერენცირებული მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმი. ფიქსაცია—10% ფორმალინი; შეღება—ჰეიდენკაინის ჰემატოქსილინი და მუციკარმინი; გადიდება—600-ჯერ.

ტბის ბაყაყის კლოაკაში ეპითელიუმების შესაყარის მიღამოს ლორწოვანები ნი გარსის საკუთარი შრე წარმოდგენილია ფაშარი შემაერთებელი უსოვეტების ლით და პიგმენტური უჯრედებით გარშემოხეული კაპილარული სისხლის ძარღვებით.

### ზოლებიანი ხვლიკი (*Lacerta strigata*)

ზოლებიანი ხვლიკის ეპითელიუმების ანალური შესაყარი კარგადაა გამოხატული. ეპიდერმისი წარმოდგენილია მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით, ნაწლავის ტიპის საფარველი კი ორრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმით. ორივე დასახელებული საფარველი შესაყარის მიღამოში დაახლოებით ერთი და იგივე სისქისაა (სურ. 3).

შესაყარის ხაზი ანათალზე დახრილია კრანიალური მიმართულებით დაახლოებით  $45^{\circ}$ -ით.

ეპიდერმული ეპითელიუმი შესაყართან 4-შრიანია. გარდა ამისა, მის ზედაპირთან მოიპოვება გადაგვარებული ეპიდერმული ელემენტების ერთიმეორესთან შეწებებული, მთლიანი, ნაწილობრივ გარქოვანებული ფირფიტა. ამ ფირფიტას კარგად ეტყობა ზედაპირის პარალელური შრიანობა და შრეებს შორის ჰაიდრონანის ჰემატოქსილინით ინტენსიურად ლებვადი მუჭი ზოლები.

ეპიდერმული ეპითელიუმის ბაზალური შრე ძირითადად შედგება პრიზმული უჯრედებისაგან, რომელთა შორის საზღვრები მეტწილად ძნელი გასარჩევია. ამ უჯრედების აპიკალური ბოლოები რამდენადმე შევიწროვებულია და შეჭრილია უჯრედების მომდევნო შრეში. ეპითელიუმის დანარჩენი სამი შრე შედგება შედარებით უფრო დიდი ზომის ელემენტებისაგან, რომლებიც ღრმად მდებარე ნაწილში პოლიგონალური ფორმისაა, ხოლო ეპითელიუმის თავისუფალი ზედაპირის მიმართულებით თანდათან ბრტყელდებიან.

ნაწლავის ტიპის ეპითელიუმი წარმოდგენილია ბაზალური და ზედაპირული უჯრედებით. ბაზალურად მდებარეობს სხვადასხვა სიმაღლის, კონუსისებრი ფორმის უჯრედები. მათი მწვერვალები მიმართულია საფარველის თავისუფალი ზედაპირისაკენ და შეჭრილია მომდევნო, მაღალი პრიზმული უჯრედების ბაზალურ ბოლოებს შორის. ამ უჯრედებს გააჩნია მრგვალი ან ოვალური, უჯრედის ლერძის გასწვრივ მდებარე, ზომიერად ლებვადი ბირთვები.

მეორე, ზედაპირული შრის მაღალი პრიზმული უჯრედები აღწევენ ეპითელიუმის ორივე ზედაპირს. მათი ციტოპლაზმის ზედაპირთან მდებარე, დაახლოებით  $1/6$  ნაწილი სავსებით გალორწოვანებულია. უჯრედების გალორწოვანებული ნაწილები ერთ დონეზე მდებარეობენ და ქვეშმდებარე ციტოპლაზმისაგან მკვეთრად არიან გამოყოფილი. ლორწოს მომიჯნავე ციტოპლაზმა წვრილმარცვლოვანია და ჰაიდრონანის ჰემატოქსილინით შეღებილ პრეპარატებზე გამოიჩევა მომეტებული ლებვადობით. პრიზმული უჯრედების ბირთვები გაგრძელებული ფორმისაა და პიკნოტიზირებული არიან სხვადასხვა ხარისხით.

თავისუფალ ზედაპირთან ნაწლავის ტიპის ეპითელიუმს დართული აქვთ დამხმეველი ფირფიტა.

კრანიალური მიმართულებით ბაზალური უჯრედების რაოდენობა თანდათან კლებულობს და ეპითელიუმი ერთშრიანი პრიზმული ხდება. ამ უჯრე-

დებს შორის დიდი რაოდენობით გვხვდება ფიალისებრი უჯრედებით უჯრედებით წოს შემცველი გაგანიერებული აპიკალური ნაწილით და ვიწრო ფენით.

ეპითელიუმის ქვეშ მდებარე ბაზალური ფირფიტა კარგადაა გამოხატული და ორივე მომიჯნავე მიდამოში ერთი და იმავე სისქისაა.

ეპითელიუმების ქვეშ მდებარე შემაერთებელი ქსოვილიც შესაყართან ერთი და იგივე ელემენტებითაა წარმოდგენილი. მასში მოიპოვება თითო-ოროლა ეოზინოფილი და მრგვალი ლიმფოიდური უჯრედი. უკანასკნელი შეჭრილი არიან ძირითადად ნაწლავის ტიპის ეპითელიუმში.

### კავკასიური ჯოჯო (*Agama caucasica*)


კავკასიის ჯოჯოს ეპითელიუმების ანალური შესაყარი კარგად არის გა-მოხატული. შესაყარის მიღამოში ორივე მომიჯნავე ეპითელიუმი თანაბარი სისქისაა, სოლისებრ გაწვეტიანებულია და ერთიმეორეს ფარავს. ეპიდერმული ეპითელიუმის გაწვეტიანებული ბოლო მდებარეობს ბაზალურად, ხოლო ნაწ-ლავის ეპითელიუმის—ზედაპირულად (სურ. 4).

ეპიდერმული საფარველი შესაყართან წარმოდგენილია თანაბარი. სისქის შრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით, რომელიც შედგება უჯრედების 5-6 შრისაგან. ბაზალურად მდებარეობს პრიზმული ეპითელიუმის ერთი შრე, მის ზემოთ პოლიგონალური უჯრედებია დალაგებული, რომელიც ეპითელიუმის თავისუფალი ზედაპირისაკენ თანდათან ბრტყელდებიან. ზედაპირულ უჯრე-დებს ეტყობათ სუსტად გამოხატული გარქოვანება. შესაყარიდან დაშორებით ეპიდერმულ საფარველში შემაერთებელქსოვილოვანი დვრილების შეჭრის გამო ეპითელიუმი არათანაბარი სისქისაა და მისი გარქოვანების ხარისხიც ძლიერ მატულობს.


ნაწლავის ტიპის საფარველი შესაყართან წარმოდგენილია ერთშრიანი, ერთიან ორიგოვანი მაღალი პრიზმული ეპითელიუმით. ბაზალურად ზო-გიერთ მიღამოში მოიპოვება ანათალზე კონუსისმაგვარი ფორმის მოადგილე უჯრედები. მათი გაწვეტიანებული ბოლოები მიმართულია საფარველის თავი-სუფალი ზედაპირისაკენ. ეპითელიუმი ძირითადად შედგება მაღალი პრიზმუ-ლი უჯრედებისაგან. ამ უჯრედების დაახლოებით ზემო ნახევარი სავსებით გალოორწოვანებულია, ხოლო ბაზალური—ლორწოს არ შეიცავს. ამ ნაწილში მდებარეობს, როგორც წესი, ინტენსიურად ღებვადი ბირთვი. უჯრედების სიმჭიდროვის გამო, ბირთვები განლაგებულია ორ რიგად. შესაყართან ლორ-წოს შემცველი პრიზმული უჯრედები დახრილია ეპიდერმული ეპითელიუმი-საკენ და მარაოსებრი განლაგების სურათს იძლევიან. უზუალოდ ეპიდერ-მისთან მომიჯნავე უჯრედების ბირთვები დალაგებულია შესაყარის ხაზის გასწვრივ.

შესაყარისაგან დაშორებით, ნაწლავის ტიპის საფარველი წარმოდგენი-ლია ერთ შრედ დალაგებული მაღალი პრიზმული ლორწოს შემცველი უჯრე-დებით, რომლებსაც თავისუფალ ზედაპირთან აქვთ კარვად გამოხატული დამხმეველი ფირფიტა. პრიზმულ ლორწოვან უჯრედებს კრანიალურად თან-დათან ცვლის ჯერ ერთეული, ხოლო შემდეგ ფიალისებრი უჯრედების გა-ნუტყვეტელი შრე.


ნაწლავის ტიპის საფარველის უჯრედებში, ლორწოს დიდი რაოდენო-ბით შემცველობის გამო, შესაყარის მდებარეობის დადგენა ადგილია მუცი-კარმინით შეღებილ პრეპარატებზე.



სურ. 3. ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმების შესაყარი ზოლიანი ხელიკის ანალურ მიღამოში. a—ნაწილობრივ გალორწოვანებული, პრიზმული ფორმის ზედაპირული უჯრედების შრე; b—ბაზალური უჯრედების შრე; c—ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე; d—ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმების შესაყარი; e—ნაწილობრივ დედიფერენცირებული, კანის ტიპის მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმი. ფიქსაცია—10% ფორმაციონებული; კანის ტიპის მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმი. ფიქსაცია—10% ფორმაციონი; შეღებვა—ჰეიდენზაინის ჰემატოქსილინი და მუციკარმინი; გადიდება—720-ჯერ.



სურ. 4. ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმების შესაყარი კავკასიის ჯოჯოს ანალურ მიღამოში. a—ნახევრად გალორწოვანებული პრიზმული უჯრედების შრე; b—კონკისიებრივ ფორმის ბაზალური უჯრედების წყვეტილი შრე; c—ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე; d—ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმების შესაყარი; e—ნაწილობრივ დედიფერენცირებული კანის ტიპის მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმი. ფიქსაცია—10% ფორმაციონი; შეღებვა—ჰეიდენზაინის ჰემატოქსილინი და მუციკარმინი; გადიდება—600-ჯერ.



სურ. 5. ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმების შესაყარი ჭყანარი კონტიის ანალურ მიღამოში. ალნიშვნები, ფიქსაცია, შეღებვა, გადიდება იგივეა რაც მე-3 სურათზე.

კავკასიის ჯოჯოს კლოაკაში მომიჯნავე ეპითელიუმების მიღამოში უფრო უძველესი წოდები გარსის საკუთარი შრე წარმოდგენილია ფაშარი შემაერთებული უსაკული ცილით, რომლის უჯრედშორის ნივთიერებაში, გარდა ფიბროციტებისა, საკმარისი რაოდენობით მოიპოვება მრგვალი ლიმფოიდური უჯრედები.

### წყნარი კონტია (*Contia modesta*)

წყნარი კონტიის ანალური შესაყარი შეაფიოდაა გამოხატული (სურ. 5). ეპიდერმისი წარმოდგენილია კანის ტიპის სუსტად დიფერენცირებული მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით, ნაწლავის ტიპის საფარველი კი ორრიგოვანი ან ორშრიანი პრიზმული ეპითელიუმით (სურ. 5).

ეპიდერმული ეპითელიუმი შესაყარის მიღამოში შედგება 7—8 შრედ დალაგებული უჯრედებისაგან. ბაზალურად მდებარეობს ჰაიდენპაინის ჰემატოქსილინით შედარებით მომეტებულად ლებგადი არაერთნაირი სიმაღლის პრიზმული უჯრედები მრგვალი ან ოვალური ბირთვებით. მის ზემოთ მოთავსებულია ძირითადად სხვადასხვა ხარისხით გაბრტყელებული უჯრედების 5-6 შრე. ბაზალურ უჯრედებთან შედარებით ეს უჯრედები გამოიჩინება ლებგადობის ნაკლები ხარისხით. მათ შორის ზედაპირის მახლობლად მდებარე ზოგი უჯრედის მრგვალი ან ოვალური ბირთვი მეტისმეტად არის შელებილი. თავისუფალ ზედაპირთან მდებარეობს ძლიერ გაბრტყელებული, ოდნავ გარქოვანებული ელემენტები, რომელთა ციტოპლაზმა და განსაკუთრებით ბირთვები გარქოვანების პროცესთან დაკავშირებით უსტრუქტურონი არიან და ჰაიდენპაინის ჰემატოქსილინით ინტენსიურად იღებებიან.

ეპიდერმული ეპითელიუმის ნაწლავისმხრივი ბოლო კონუსისებრ ან ბლაგვი ნისკარტის მაგვარად ვიწროვდება და მწვერვალით ებჯინება საფარველის ბაზალურ მხარეს. ეპიდერმული ეპითელიუმის ნაპირის დავიწროვებასთან დაკავშირებით მისი შუამდებარე, სხვადასხვა ხარისხით გაბრტყელებული, ვერტიკალურ განაკვეთში თითისტარისებრი ფორმის უჯრედების ბოლოები ერთომეორესთანაა მიახლოებული.

ნაწლავის ტიპის ეპითელიუმში განიჩინება ორი შრე: ჰაიდენპაინის ჰემატოქსილინით შედარებით ინტენსიურად ლებგადი ბაზალურად მდებარე შრე და უმეტესად მრგვალი ბირთვების შემცველი ბოლიგონალური უჯრედების შრე. ამ უჯრედებს შორის ზოგჯერ გვხვდება მრგვალი, ნათელი მუქბირთვიანი უჯრედები. ბაზალური უჯრედები სხვადასხვა ხარისხით გაწვეტიანებული წანაზარდით შეჭრილი არიან ზედაპირის მხარეზე მდებარე პრიზმულ უჯრედთა შორის.

მეორე, ზედაპირული შრე წარმოდგენილია მაღალი პრიზმული ლორწოვანი უჯრედებით. ამ უჯრედების ბოლოები ზოგჯერ შეჭრილია ბაზალურ უჯრედებს შორის და აღწევს ძირითად მემბრანას. პრიზმული უჯრედების ზედაპირის მხარეზე ციტოპლაზმის ნახევარზე მეტი ნაწილი ავსებულია ლორწოთი, რომელიც თავისუფალ ზედაპირთან უფრო ინტენსიურად იღებება მუციკარმინით. მას ვიწრო, ყაეთნისმაგვარი შესახედაობა აქვს. უჯრედის ბაზალურ ნახევარში მდებარეობს სხვადასხვა ხარისხით მეტწილად ინტენსიურად ლებგადი ავალური ან გაგრძელებული ფორმის ბირთვი.

ლორწოს შემცველი პრიზმული უჯრედები, როგორც კავკასიის ჯოჯოს შემთხვევაში, შესაყართან დახრილი არიან ეპიდერმული ეპითელიუმისაკენ და-

მარაოსებრი განლაგების სურათს იძლევინ. უშუალოდ ეპიდერმისთვის მიზანი უჯრედები მეტისმეტად გაწვრილებული არიან და შეიცავენ ჩინკისებრი ფორმის ინტენსიურად ღებვად უსტრუქტურო ბირთვებს.

კრანიილური მიმართულებით ბაზალური უჯრედები თანდათან ქრებიან, ხოლო ეპითელიუმი ორიგოვანი ხდება. შესაყარისაგან უფრო მოშორებით აქა-იქ ვხვდებით ფიალისებრ უჯრედებს. შემდეგ მათი რაოდენობა ძლიერ მატულობს.

ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე წყნარი კონტიის კლოაკაში, ეპითელიუმების შესაყარის მიდამოში, წარმოლგენილია ფიბრილარული შემაერთებელი ქსოვილით, რომლის უჯრედები და ბოჭკოები ორიენტირებულია საფარველი ეპითელიუმის პარალელურად. ამ ქსოვილში ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის ქვეშ ვხვდება თითო-ოროლა მრგვალი ლიმფოიდური უჯრედი.

### ბერძნული კუ (*Testudo graeca*)

კავკასიის კუს ანალური შესაყარი მკვეთრადაა გამოხატული და ორიენტირებულია ვერტიკალურად. ეპიდერმისმალური კომპონენტი რამდენადმე უფრო მეტი სისქისაა ენტეროდერმალურთან შედარებით (სურ. 6).

ეპიდერმისი შესაყარის მიდამოში წარმოლგენილია ერთგვარად შეცვლილი მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით. მასში კარგად გამოირჩევა: 1. ცილინდრული უჯრედების ბაზალური შრე, 2. პოლიგონალური ფორმის წვეტიანი უჯრედების 7—8 შრე, რომლებიც ეპითელიუმის თავისუფალი ზედაპირის მიმართულებით თანდათან ბრტყელდებიან და 3. გარქოვანებული ელემენტებისაგან შემდგარი ჰაიდენჰაინის ჰემატოქსილინით ინტენსიურად ღებვადი ფირფიტა, რომელსაც ვერტიკალურ ანათალზე შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოების კონების შესახედაობა აქვს. ამ კონების შემადგენელი „ბოჭკოები“ ჰომოგენური ხსიათისაა და განლაგებულია ეპითელიუმის თავისუფალი ზედაპირის პარალელურად.



უშუალოდ ნაწლავის ეპითელიუმთან მომიჯნავე მიდამოში ეპიდერმული საფარველის მეტ-ნაკლები ნაწილი დედიფერენცირებულია და ზოგჯერ გამოდრეკილია ქვეშმდებარე შემაერთებელ ქსოვილში.

ნაწლავის საფარველი შესაყართან წარმოლგენილია მრავალშრიანი ცილინდრული ეპითელიუმით, რომელშიაც შეიძლება გარჩეულ იქნეს სამი ზონა: ბაზალური, შუამდებარე და საფარველი.

ბაზალური ზონა შედგება მცირე ზომის ოვალური და პოლიგონალური ფორმის ჰაიდენჰაინის ჰემატოქსილინით ძლიერ ღებვადი უჯრედების 2-3 შრისაგან.

შუამდებარე ზონა შედგება უფრო ღიღი ზომის და პოლიგონალური ფორმის უჯრედების 2-3 შრისაგან, რომელთა ციტოპლაზმის აბიკალური ნაწილი გალორწოვანებულია, ხოლო ბირთვები გამოირჩევა ჰაიდენჰაინის ჰემატოქსილინით ღებვადობის მეტი ხარისხით.

საფარველი ზონა შედგება ერთ შრედ დალაგებული მაღალი პრიზმული, განიერი უჯრედებისაგან. ამ უჯრედების ციტოპლაზმა მთლიანად გალორწოვანებულია, ხოლო მათი პიგმენტიზირებული და მეტად თუ ნაკლებად დეფორმირებული ბირთვები განლაგებულია უჯრედის ბაზალურ ზედაპირთან. გა-



ლორწოვანებული პრიზმული უჯრედების თავისუფალი ზედაპირი დაუკავშირდება დამხმარელი ფირფიტით.

უშუალოდ ეპიდერმულ ეპითელიუმთან მომიჯნავე, შესაყარის გასწროვ მდებარე ნაწლავის ტიპის საფარველის ვიწრო ზოლი წარმოდგენილია დეგენერირებული უჯრედების ვიწრო წყებით. ამ ელემენტების დეგენერირების ხარისხი სხვადასხვა შემთხვევაში და მიღამოში არათანაბრადაა გამოხატული.

აღნიშნული ნაწლავის ტიპის მრავალშრიანი პრიზმული საფარველი ვრცელდება დიდ მანძილზე, თითქმის ზარდის ბუშტის კლოკასთან შეერთების დონემდე და ესაზღვრება ფიალისებრი უჯრედებით მდიდარ ნაწლავის ერთშრიან პრიზმულ ეპითელიუმს.

ბაზალური ფირფიტა ეპიდერმული ეპითელიუმის ქვეშ უქეთა გამოხატული, ვიდრე ნაწლავის ტიპის საფარველის ქვეშ.

შესაყარის მიღამოში ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე წარმოდგენილია ფაშარი შემაერთებელი ქსოვილით, რომელშიც უჯრედები და ბოჭკოებიც ორიენტირებულია საფარველი ეპითელიუმის ზედაპირის პარალელურად. ეპიდერმული ეპითელიუმის ქვეშ შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოები რამდენადმე უფრო შემჭიდროებულია, ვიდრე ენტეროდერმული ეპითელიუმის მიღამოში.

### შინაური ქათმი (*Gallus domesticus*)

შინაური ქათმის ანალური ეპითელიური შესაყარი კარგადაა გამოხატული. ეპიდერმისი წარმოდგენილია დიფერენცირებული მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით. ნაწლავის ტიპის ეპითელიუმი კი ერთშრიანი ორრიგოვანი ეპითელიუმით. უშუალოდ შესაყართან ორივე ეპითელიუმი რამდენადმე დედიფერენცირებულია და მეტ-ნაკლებად ინფილტრირებულია ლიმფოიდური ელემენტებით (სურ. 7).

ეპიდერმისის ნაპირი ანათალზე კონუსისებრ გაწვეტიანებულია და მწვერვალით მიბჯენილია ბაზალურ ფირფიტაზე. ამგვარივე კონუსისებრი ფორმა აქვს ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის ნაპირს. იგი შედარებით პირველთან განიერი და ბლაგვად და საწინააღმდეგო მხარეზეა მიმართული. ამგვარად, დასახელებული ორი ტიპის საფარველს შორის საზღვარი დახრილია ირიბად. თავისუფალი ზედაპირიდან იგი მიმართება კაუდალურად და ბაზალურად.

ეპიდერმული ეპითელიუმი შედგება უჯრედების დაახლოებით 8-9 შრისაგან. ბაზალური უჯრედები იზოპრიზმული ფორმისაა და მრგვალ ბირთვებს შეიცავს. მიმდევნო შრები წარმოდგენილია თავისუფალი ზედაპირისაკენ თანდათანობით უფრო გრძელ გაბრტყელებული უჯრედებით. ეს ელემენტები შეიცავს უჯრედის ფორმის შესაბამისად მეტ-ნაკლებად გაბრტყელებულ ბირთვებს. უშუალოდ ზედაპირთან მდებარე ბრტყელი უჯრედების ბირთვები პიკოტირებულია სხვადასხვა ხარისხით.

ნაწლავის ტიპის ეპითელიუმში ბაზალურად მდებარეობს პოლიგონალური და კონუსისებრი ფორმის უჯრედები, რომლებიც მწვერვალებით მიმართული არიან ეპითელიუმის ზედაპირისაკენ, ხოლო განიერი ფუქით მდებარეობენ ბაზალურ ფირფიტაზე. ბაზალურ უჯრედებს გააჩნია ზომიერად ღებული და მრგვალი ან თვალური ფორმის ბირთვები.

ზედაპირთან მდებარე უჯრედები მაღალი პრიზმული ფორმისა და მდგრადასხვა ხარისხით შევიწროებული ბოლოები თავსდება ქვეშმდებრებული უჯრედებს შორის და აღწევს ბაზალურ მემბრანას. ეს უჯრედები, როგორც წესი, შეიცავს ოდნავ გავრძელებულ ოვალური ფორმის ბირთვებს. ზოგი ბირთვი პიკნტიზირებულია მეტ-ნაკლები ხარისხით. შესაყარიდან უფრო მოშორებით ნაწლავის ტიპის საფარველი აღავ არათანაბარი სისქისაა. ამის გამო ეპითელიუმში მოიპოვება ფესტონისებრი ფორმის ჩაღრმავებები.

ამ საფარველის პრიზმულ უჯრედთა ციტოპლაზმის ბირთვის ზემოთ მდებარე ნაწილი გალორწოვანებულია. მუციკარმინით უფრო ინტენსიურად იღებება ამ უჯრედების ზედაპირთან მდებარე მიდამო, რომელსაც ერთობლივ ყავთნისმაგრარი შესახედაობა აქვს.

ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე ორივე მომიჯნავე ეპითელიუმების ქვეშ დაახლოებით ერთი და იმავე აგებულებისაა. შემაერთებელქსოვილოვან ბოჭკოებთან შედარებით ეს ქსოვილი უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს უჯრედებს. როგორც უჯრედები, ისე ბოჭკოები თარიენტიზრებული არიან ეპითელიუმის თავისუფალი ზედაპირის პარალელურად. შემაერთებელი ქსოვილის სისქეში მოიპოვება ჰემატოქსილინით ინტენსიურად ლებვადი მრგვალი უჯრედების საკმარისი რაოდენობა.

### მიღებული შედეგების შეჯამება

განხილული მასალიდან ჩანს, რომ ორი სხვადასხვა წარმოშობის და სტრუქტურის მქონე საფარველი ეპითელიუმებს შორის არსებობს შესაყარი, რომელსაც სხვადასხვა წარმომაღენერებულში არაერთნაირად მევეთრი ხასიათი აქვს. კერძოდ, ტრიტონში მისი აღმოჩენა საფარველის სათანადო ნაწილის ზედომწევნით ანალიზს მოითხოვს და მისი გამოვლინება შესაძლებელია რიგი ნიშნების მიხედვით: უჯრედთა შელებების ხარისხით, ბირთვების ორიენტაციით, ლორწოს არსებობით და სხვა. რაც შეეხება ტბის ბაყაყს და შესწავლილ სხვა ცხოველებს—მათი ეპითელიუმების ანალური შესაყარი მევეთრადაა გამოხატული. ამასთანავე, შესაყარის სასახლვრე ხაზი მიემართება ირიბად კუს გამოკლებით, საღაც მოსახლვრე ქსოვილებს შორის საზღვარი მდებარეობს ვერტიკალურ სიბრტყეში.

გადალის რა კანიდან კლოაკაში, ეპიდერმული ეპითელიუმი თანდათან კარგავს გარქოვანებულ შრეებს და ნაკლებად დიფერენცირებული ხდება. შესაყარის ფარგალში იგი ყველა განხილულ შემთხვევაში მრავალშრიანია (4 და მეტი შრე) და დედიფერენცირებულია მეტ-ნაკლები ხარისხით. შესაყართან იგი ან სრულიად არ შეიცავს გარქოვანებულ ელემენტებს, ან მისი რქოვანი შრე სუსტადაა განვითარებული (ჯოჯო, ქათამი, ხვლიკი, წყნარი კონტია). ენტეროდერმულ ეპითელიუმთან მომიჯნავე უბანში კანის ტიპის საფარველის ნაბირი სოლისებრ ვიწროვდება და თავისი მწვერვალით მიმართულია კრანიობაზალურად. იგი ყოველთვის შეიცავს სუსტად დიფერენცირებული უჯრედების მეტ-ნაკლებ რაოდენობას.

კუს კლოაკაში, ვერტიკალურ სიბრტყეში მომიჯნავე ეპითელიუმების შესაყართან, კანის ტიპის საფარველი კამბიალური უჯრედების მომეტებული რიცხვითაა წარმოდგენილი და ეს ადგილი რამდენადმე გამობურცულიცაა ქვეშმდებარე შემაერთებელ ქსოვილში. ამ მხრივ, ბაზალური, ზოგჯერ აგრეთ-

ვე მათთან ახლომდებარე უჯრედების დედიფერენციების ხარისხის მატერიალური მიხედვით შემდეგი მწკრივი იქმნება: ტრიტონი, ბაყაყი, ხვლიკი, ჯოჯო, წყნარი კონტია, ქათამი და კუ.

საფარეველის ამ ნაწილში ეპითელიული ეპითელიუმის შრიანობაც თანდათან მატულობს და შემდეგ მწკრივს იძლევა: ტრიტონი, ბაყაყი, ხვლიკი, ჯოჯო, წყნარი კონტია, ქათამი და კუ.

ეპითელიულთან შედარებით ნაწლავის ტიპის ეპითელიუმი უფრო ძლიერაა შეცვლილი შესაყარიდან შედარებით დიდ მანძილზე. ჯერ ერთი, განხილული ცხოველების ყველა წარმომადგენელში ნაწლავის ტიპის ერთშრიანი ცილინდრული ეპითელიუმში შესაყარის მიმართულებით უჯრედთა რიგები და შრები თანდათან მატულობს მეტ-ნაკლები ხარისხით. მარტივ შემთხვევაში მის შემაღლენლობაში ვხვდებით ბაზალურად მდებარე კონუსისებრი ფორმის ე. წ. შემცვლელ უჯრედებს. ასეთია მაგ., ბაყაყის, ხვლიკის, ჯოჯოს და ქათმის ენტეროდერმული ეპითელიუმი. უფრო გართულებულია შესაყართან ამ ეპითელიუმის აგებულება წყნარ კონტიაში, ხოლო ყველაზე მეტად გართულებულ აგებულებას ნაწლავის ტიპის ეპითელიუმი აღწევს კუს ანალურ შესაყარში. ასეთი ცვლილებების გამო ნაწლავის ტიპის ეპითელიუმი შესაყართან თანდათანობით უფრო მკვეთრად გამოხატულ ვერტიკალურად ანიზომორფული ხასიათისა ხდება.

გარდა ამისა, ეპითელიუმის სტრუქტურის გართულების პარალელურად ადგილი აქვს ლორწოვანი უჯრედების სახეცვლილებას და შემდეგ ლორწოს გამოყოფის ინტენსიფიკაციას. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ნაწლავის ტიპის ეპითელიუმში შესაყარის მიმართულებით თანდათანობით მცირდება ფიალისებრი უჯრედების რაოდენობა და ბოლოს შესაყარიდან სხვადასხვა მანძილის დაშორებით, შესწავლილი ცხოველის ამა თუ იმ წარმომადგენელში, ეს უჯრედები სრულიად ქრება. მათ ნაცვლად შესაყარის მახლობელი უბანი ყოველთვის წარმოდგენილია მაღალი პრიზმული უჯრედებით, რომლებშიც ვხვდებით სხვადასხვა სისქის გალორწოვანებულ აპიკალურ ნაწილს. ბაყაყის ენტეროდერმულ უჯრედებში ასეთი გალორწოვანებული შრე ყველაზე თხელია და მას ყაეთნისმაგვარი შესახედაობა აქვს. ბაყაყითან შედარებით, უფრო სქელ და ყველა მეზობელ უჯრედში თანაბარი ზომით ლორწოს ფენას შეიცავს ხვლიკის ენტეროდერმული ეპითელიუმი, შემდეგ ჯოჯოსი, წყნარი კონტიასი და ბოლოს კუს მრავალშრიანი ეპითელიუმი. უკანასკნელში ლორწოთი გადატვირთულ ზედაპირულად მდებარე მაღალ და განიერ პრიზმულ უჯრედებს გარდა, ლორწო გვხვდება ქვეშმდებარე უჯრედებშიაც, რომლებიც ამ მრავალშრიანი საფარეველის ზემო ნახევარს შეადგენენ. დასახელებულ ცხოველებთან შედარებით, რომელთა ენტეროდერმულ ეპითელიუმში შესაყარის მახლობლად ლორწოს რაოდენობა თანდათან მატულობს და მას საფარეველში გარკვეული თანაბარი დონე უჭირავს, ქათამი გამონაკლისს შეაღენს. უკანასკნელის ენტეროდერმულ ეპითელიუმში ლორწო განაწილებულია ზედაპირულ უჯრედებში არათანაბრად.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მომიჯნავე საფარეველს შორის ირიბი საზღვრის არსებობის პირობებში, ე. ი. ყველა შემთხვევაში კუს გამოკლებით, ენტეროდერმული ეპითელიუმი ნაწილობრივ გადაზრდილია ეპიდერმული ეპითელიუმის ზედაპირზე. როგორც ცნობილია, ყოველი საფარეველი ეპითელიუმი საკვებს ქვეშმდებარე შემაერთებელი ქსოვილის მხრივ ღებულობს.

ამიტომ ცხადია, რომ ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის ის ნაწილი, რომელიც ეპითერმისზეა გადაფარებული, მოკლებულია კვების ნორმალურ რეჟიმისაში ზალურ ფირფიტაზე გაშლილი ეპითერმული ეპითელიუმის სოლისებრ გაწვეტიანებული ნაწილი კი, პირიქით, კვების უკეთეს პირობებში იმყოფება. აქედან გამომდინარე, ორი მომიჯნავე ეპითელიუმების ურთიერთობაში საინტერესო მომენტს შეადგენს ის ფაქტი, რომ უშუალოდ შესაყართან ენტეროდერმული ეპითელიუმის ერთი ან ხშირად რამდენიმე უჯრედი ნეკროზს განიცდის, მაშინ როდესაც ეპითერმული ეპითელიუმი ამ აღვილას ყოველთვის საღად გამოიყურება. უფრო მეტიც, ნაპირთან იგი ამა თუ იმ ხარისხით დედიფერენცირებულია.

ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის ელემენტების ნეკროზს ძუძუმწოვარი ცხოველების ეპითელიუმების შესაყარებშიაც (როგორც ანალურ მიღამოში, ისე კუჭ-სა და საყლაპავ მიღს შორისაც) მრავალი აგტორი აღნიშნავს (ნ. ბლობინი—1935; ე. არზიანი—1947, 1948; მ. სიხარული იძე—1954; ა. ბლუბე რგი—1955). ეს გარემოება უდაოდ მოწმობს, რომ ამ ორი მომიჯნავე საფარველის უშუალო ურთიერთობის პირობებში ენტეროდერმული კომპონენტი ნაკლებ გამდლება და დაშლას განიცდის, მაშინ როდესაც ეპითერმული საფარველი, პირიქით, მომეტებულ ცხოველმყოფელბას იჩენს.

მოსაზღვრე ეპითელიუმებს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ განსხვავებული შრიანობის და სისქის ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის საფარველები შესაყარის მიღამოში თითქმის თანაბრდებიან სისქეში. როგორც წესი, ეს ხდება, ერთი მხრივ, ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის უჯრედთა რიგებისა და შრების, აგრეთვე სისქეში მომატების ხარჯზე, ხოლო, მეორე მხრივ, კანის ტიპის ეპითელიუმის მიერ გარეოვანებული შრების დაკარვვისა და ამის გამო სისქეში შემცირების შედეგად. ამ მხრივ გამონაკლის შეადგენს ძირი აზიის ტრიტონის ეპითელიუმების შესაყარი, სადაც ორი მოპირისპირე ეპითელიუმი ერთიმეორესთან შეხვედრის მიღამოში თვალსაჩინოდ თხელდება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ორივე კომპონენტის სისქე გათანაბრებულია.

უდავოა, რომ კლოაკის ორივე ეპითელიუმმა განიცადა გარემოსაღმი შეგუებითი ხასიათის ცვლილებები, რომელთა გავლენით განსხვავებულმა სტრუქტურებმა რამდენადმე ნიველირება და კონვერგენტული მიმართულებით განვითარება განიცადეს. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, საფარველის ორივე კომპონენტმა შეინარჩუნა განსხვავებული, მისთვის დამახასიათებელი დეტერმინაცია და პისტოლოგიური აგებულების სპეციფიური ნიშნები.

რაც შეეხება ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეს, იგი როგორც ეპიდერმული, ისე ენტეროდერმული ეპითელიუმის ქვეშ არსებითად ერთი და იმავე აგებულებისა და რაიმე სპეციფიურ განსხვავებას არ იჩენს. იგი უკელა შემთხვევაში წარმოდგენილია ფაშარი შემაერთებელი ქსოვილით, რომელშიაც რამდენადმე იცვლება მხოლოდ უჯრედებისა და შემაერთებელქსოვილოვანი ელემენტების შეფარდება. ჩვენს მიერ შესწავლილ ყველა წარმომადგენელში შემაერთებელქსოვილოვანი უჯრედები და ბოჭკოები ორიენტირებულია ეპითელიუმის ზედაპირის პარალელურად.

ზოგიერთ წარმომადგენელში ფაშარი შემაერთებელი ქსოვილის სისქეზი მოვალეობა გვხდება მეტ-ნაკლები რაოდენობა ინტენსიურად ღებგადი მრგვალი უჯრე-დებისა (კავკასიური ჭოჭო, შინაური ქათამი) ან თითო-ორთოლა ეოზინოფილი (ზოლებიანი ხვლიკი).

თბილისის უნივერსიტეტის  
პისტოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 26. VI. 1961 წ.)

СИХАРУЛИДЗЕ М. М. И ЛЕЖАВА А. С.

## МЕЖЭПИТЕЛИАЛЬНЫЙ СТЫК В КЛОАКЕ НЕКОТОРЫХ АМФИБИЙ, РЕПТИЛИЙ И ДОМАШНЕЙ КУРИЦЫ

### Р е з ю м е

Сведения относительно межэпителиального стыка в клоаке амфибий, рептилий и птиц в специальной литературе весьма скучны и разноречивы.

У хвостатых амфибий, в частности у тритона, по Гейденгайну (1890), клетки эпителиального покрова проктодеума в области перехода в эктодерму слизи не содержат.

Фильд (1895), с которым солидаризуется Сергеев (1943), считает, что у гимнофиионов граница между эпителиями энтодермы и эктодермы может быть обнаружена только лишь в ранней эмбриональной стадии, на основании присутствия в энтодермальных клетках желточных зерен. Однако позднее этот критерий, ввиду рассасывания желтка, оказывается непригодным и граница остается незаметной.

У бесхвостых амфибий, по данным Озава (1915), поверхностный слой многослойного цилиндрического эпителия клоаки содержит большое количество слизи и обнаруживает заметное сходство с желудочным эпителием. По мнению автора, этот покров в каудальной части клоаки представлен таким же многослойным плоским эпителем, как и в коже.

Согласно сведениям, имеющимся в руководствах Краузе (1922), Экера и Видерсгейма (1904), 2—3-слойный, либо, по Гейденгайну (1890), более многослойный (до 5-ти слоев) эпителий клоаки лягушки в поверхностном слое содержит большое количество бокаловидных клеток. В каудальном направлении этот эпителий постепенно теряет бокаловидные клетки и становится многослойным плоским.

У некоторых рептилий, как указывает Озава (1915), многослойный призматический эпителий клоаки в каудальном направлении утрачивает бокаловидные клетки и постепенно переходит в многослойный плоский.

У гаттерий, по исследованию Озава (1897), многослойный плоский покров проктодеума в анальной области приобретает вид эпидермального и переходит в кожу.

Согласно Краузе (1923), эпителий ростральной части клоаки ящериц богат бокаловидными клетками. В каудальном же направлении переходит в многослойный плоский, который в анальной области ороговевает.

Двурядный высокопризматический эпителий уродеума крокодилов, согласно Тагухи (1920), очень богат бокаловидными клетками. Вблизи проктодеума он становится многорядным, а в анальной области без резких границ переходит в многослойный плоский.

У птиц, в частности у голубя, по Клара (1926), призматический эпителий копро-уродеума в проктодеуме переходит в многослойный плоский, который в анальной области ороговевает.

Лежава и Коложвари-Маркина (1959, 1963) у домашней курицы обнаружили хорошо выраженный стык между энтеродермальным и кожным эпителиями лишь на 14 день инкубации. Позднее вплоть до вылупления цыплят этот стык маскировался в большей или меньшей степени. Однако по совокупности признаков все же удавалось его обнаружить.

Арзиани (1959) изучила межэпителиальный стык анальной области домашнего гуся, дикой утки, перепелки, домашнего голубя, домашнего воробья, волнистого попугайчика и выпи, или волчка. Согласно мнению автора, стык между эпидермальным и энтеродермальным эпителиями в клоаке изученных птиц определяется в разной степени. Он выражен резко у гуся, утки, попугайчика и выпи; несколько слабее — у перепелки и воробья и, наконец, слабее всего у голубя.

Изученный нами материал показывает, что между различными по структуре и происхождению покровами клоаки существует стык, имеющий у разных представителей неодинаково резко выраженный характер. В частности, у малоазиатского тритона (рис. 1) его обнаружение требует тщательного анализа и учета ряда признаков: степени окраски клеток, ориентации ядер, присутствия слизи и т. д.

У лягушки (рис. 2), изученных рептилий (рис. 3, 4, 5, 6) и домашней курицы (рис. 7), вследствие перекрытия встречных концов эпителиев, стык замаскирован в большей или меньшей степени, но он хорошо выявляется при дополнительной окраске покрова на слизь. Наконец, у черепахи стык выражен четко.

За исключением черепахи в области стыка край эпидермального эпителия утончается и вклинивается под эпителий кишечного типа, при этом линия границы ориентирована наклонно. У черепахи же пограничные участки непосредственно соприкасаются между собой в вертикальной плоскости.

При переходе из кожи в клоаку эпидермальный эпителий, оставаясь многослойным (4 и более слоев), постепенно теряет ороговевшие слои и у стыка с эпителием кишечного типа становится малодифферен-

цированным в разной степени. Приближаясь непосредственно к пограничной области, он либо вовсе не содержит ороговевших элементов, либо его роговой слой развит очень слабо (кавказская агама, домашняя курица, полосатая ящерица, смирная контия).

В смежном с энтеродермальным эпителием участке край эпителия кожного типа клинообразно заострен и своим концом направлен в краино-базальном направлении. Он всегда содержит малодифференцированные элементы в большей или меньшей степени. В клоаке же черепах на месте стыка эпителиев (здесь линия границы лежит в вертикальной плоскости) камбимальные клетки эпидерmalного покрова представлены в большем количестве, и этот участок пласта несколько выступает в соединительную ткань. В ряду — тритон, лягушка, ящерица, агама, смирная контия, курица — степень дифференцировки и параллельно с ней количество клеточных слоев в эпидермальном покрове постепенно нарастают.

По сравнению с эпидермальным, эпителий кишечного типа видоизменен в большей степени и на большем расстоянии от стыка. Количество клеточных рядов и слоев в направлении к стыку в нем постепенно нарастает. В простом случае он содержит большое или меньшее количество базально расположенных, т. н. замещающих клеток конусовидной формы. Таков, напр., энтеродермальный эпителий лягушки, ящерицы, агамы и курицы. Энтеродермальный эпителий смирной контии у стыка местами уже имеет двуслойное строение. Наиболее сложно устроен этот эпителий у черепахи — здесь он многослойный. В результате такого усложнения вертикальная анизоморфность эпителия кишечного типа выражена резко.

Параллельно с усложнением структуры энтеродермального эпителия в нем имеет место также изменение формы клеток и интенсификация отделения слизи. В первую очередь следует отметить, что количество бокаловидных клеток в сторону стыка постепенно уменьшается. На некотором же расстоянии от стыка они совершенно исчезают. Однако покровные клетки энтеродермального эпителия у стыка всегда имеют высокопризматическую форму и содержат ослизневшую апикальную часть разной толщины. В энтеродермальном покрове тритона и лягушки такой слой наиболее тонок и имеет форму ободка. По сравнению с лягушкой более толстый слой слизи, содержащийся во всех поверхностных клетках на одном и том же уровне, имеется в эпителии кишечного типа ящерицы, затем толщина слоя слизи постепенно нарастает у агамы, контии и, наконец, более всего у черепахи. У последней, кроме перегруженных слизью поверхностных высоких и широких призматических клеток, слизь содержит и *нижележащие* элементы верхней половины покрова. По сравнению с рассмотренными животными, курица составляет исключение. В поверхностных энтеродермальных клетках последней слизь распределена неравномерно.

Во всех случаях, кроме черепахи, край энтеродермального эпителия перекрывается эпителием кожного типа. Как известно, каждый покровный эпителий снабжается питательными веществами со стороны соединительной ткани, поэтому ясно, что в той части энтеродермального эпителия, которая перекрывает край эпидермального эпителия, нормальный режим питания нарушен. Наоборот, край эпителия кожного типа, расположенный здесь же у базальной мембранны, находится в лучших условиях питания. Обращает на себя внимание и тот факт, что одна или несколько прилегающих непосредственно к стыку клеток энтеродермального эпителия находятся в состоянии некроза, тогда как эпидермальный эпителий у стыка всегда выглядит жизнеспособным и в определенной степени даже дифференцированным.

О некротических изменениях краевых клеток энтеродермального эпителия в области анального, а также и пищеводно-желудочного стыков ряда млекопитающих отмечают многие авторы (Хлопин—1935; Арзани—1947; Блюмберг—1955). Этот факт, без сомнения, указывает на то, что энтеродермальный компонент в области стыка менее устойчив по сравнению с эпидермальным.

Заслуживает внимания также тот факт, что неодинаковые по количеству рядов и слоев клеток, а также по толщине энтеродермальный и эпидермальный покровы у стыка более или менее уравниваются в толщине. Как правило, это происходит в результате возрастания количества рядов или слоев клеток в энтеродермальном эпителии, и, наоборот, уменьшения толщины эпидермального покрова в первую очередь за счет потери расположенных у поверхности ороговевших слоев. В этом отношении исключение составляет анальный стык малоазиатского тритона, где эпителиальные покровы перед встречей постепенно утоншаются, однако толщина их все-таки уравнена.

Не подлежит сомнению, что оба эпителия клоаки в своем развитии испытали ряд изменений приспособительного характера, в результате чего их смежные и неодинаковые структуры подверглись некоторой нивелировке и развились конвергентно. Несмотря на это, оба компонента сохранили характерную для себя детерминацию и специфические черты гистологического строения.

#### დამუშავდეთ ლიტერატურა

- არზანი ე., 1947. Репаративная регенерация кожного и кишечно-го эпителиев на местах их стыка в анальной области. Тезисы докл., гистологической конференции. Инст. эксп. медиц. АМН, СССР, стр. 7, Л.
- არზანი ე., 1948. ანალური მიღამოს კანისა და ნაწყავის ტიბის გათევლიუმის რეაცია-ციული რეაციების მათი შეცვლის ადგილებ. თბილისის უნივერსიტეტის სტუ-დენტთა შრომების კრებული, ტ. 4, გვ. 55—76.
- არზანი ე., 1959. სტადასვა გათევლიუმის შესაყარი ზოგიერთი ფრინველის კლოაზი. თუ გაფართოებული პისტოლგიური კონფერენციის თემის გვ. 25—26.
- ბლუმბერგ ა., Блюмберг А. Ж. 1955. Гистологические особенности эпителиаль-ной выстилки анальной области у крыс. ДАН СССР, т. 105, № 3, стр. 577—579.

- Эдлер Ю. Да зоологиескаа биол., Ecker A. u. Wiedersheim R. 1904. *Anatomie des Frosches. Aufgrund einiger Untersuchungen durchaus neu bearbeiten von E. Gaupp.* 2 Auflage.
- Кларе М. 1926 Beiträge zur Kenntnis des Vogeldarmes. III Teil. Die Basalgekörnten Zellen im Darmepithele, Zeit. f. mikroskop. anat. Forsch. Bd. 6, H. 1, Leipzig.
- Кларе М. 1926. Beiträge zur Kenntnis des Vogeldarmes. V. Teil. Die schleimbildung im Darmepithel mit besonderen Berücksichtigung des Becherzellentfrage. Zeit. f. mikroskop. anat. Forschung. Bd. 6, H. 2, Leipzig.
- Краузе Р. 1922. Mikroskopische Anatomie der Wirbeltiere. II. Vogel und Reptilien. Berlin u. Leipzig.
- Краузе Р. 1923. Mikroskopische Anatomie der Wirbeltiere. III. Amphibien. Berlin u. Leipzig.
- Лефевр А. Да зоология - биология - зоология, 1959. Шиньони гистологии кишечника у земноводных и пресмыкающихся. Ученые Земноводные и пресмыкающиеся. Том 2. Гастроинтестинальный отдел. Кисловодск. Кюнфиреровский отдел, 28. 29—30.
- Осава Г. 1897. Beiträge zur Lehre von den Eigeweiden der Hatteria punctata. Arch. f. mikr. Anat., Bd. 49.
- Осава Г. 1915. Beiträge zur vergleichenden mikroskopischen Anatomie der wirbeltiere, Mitteil. aus der mediz. Facultät d. kaiserl. Univers. Tokio Bd. XIII.
- Сергеев А. М. 1943. Эволюция эмбриональных приспособлений рептилий. Госиздат, "Советская наука".
- Патцельт В. 1936. Die Ausgestaltung des Darmendes in der Tierreihe d. Anus u. die ihm ausgeschloenen Brusen. Handb. d. mikr. Anat., herausgegeben von Möllendorf, Bd. 5, T. 3.
- Синицын П. 1954. Кишечник амфибий, кишечник и кишечник. Физиология гастроинтестинального отдела. Кисловодск. Кюнфиреровский отдел, том 2.
- Синицын П. 1959. Кишечник амфибий. Кишечник и кишечник. Физиология гастроинтестинального отдела. Кисловодск. Кюнфиреровский отдел, 28. 24—25.
- Филд Г. 1895. Zur Morphologie der Harnblase bei den Amphibien. Morphologische Arbeiten, Bd. IV, Jena.
- Хлопин Н. Г. 1935. О некоторых особенностях и значении пограничных участков между покровными эпителиальными пластами разного строения в пищеварительном аппарате. Сб. „25 лет научной деятельности проф. Н. Н. Аничкова“, ВИЭМ; М—Л; стр. 365—389.

Кафедра гистологии  
Тбилисского университета

(Поступила в редакцию 26. VI. 1961 г.)

გ. კორძა ია

ხელხემლიან ცხოველთა საყლაპავი მილისა და კუჭის  
მოსახლეობა მიღამოს ჰისტოლოგიისათვის

(კუ—*Testudo greca*)

უნივერსიტეტის ჰისტოლოგიურ ლაბორატორიაში გეგმაზომიერად შესწავლება ეპიდერმულ და ენტეროდერმულ ქსოვილებს შორის არსებული ორი შესაყარი: საჭმლის მომნელებელი მილის ანალური შესაყარი და საყლაპავი მილის კაუდალურ ნაწილსა და კუჭის შორის (ან კუჭის ფარგალში) მდებარე შესაყარი.

ჩვენ დაგვევალა უკანასკნელის შედარებითი ჰისტოლოგიური შესწავლა ხერხემლიან ცხოველთა კლასების ზოგიერთ წარმომადგენელში (კალმახი, ხრამული, ტრიტონი, ბაყაყი, ხვლიკი, კუ, მტრედი, ქათამი, ინდაური, იხვი, კროლიკი).

ამ შრომაში წარმომდგენილია მხოლოდ კუს საყლაპავი მილისა და კუჭის შესაყარის მიღამოს შესწავლის შედეგები. ყველა დასახელებული ცხოველებისაგან განსხვავებით კუში აღნიშნული შესაყარის მიღამო გამოირჩევა აგებულების სიმარტივით. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მასალის განხილვა პირველ რიგში.

ორივე შესაყარის ირგვლივ უკვე შესრულებულია და გამოქვეყნებული ორ ათეულზე მეტი შრომა. ანალურ შესაყარს ეხებიან: ე. ა. ჩიანიანი—1947, ა. ბლუბერგი—1950, ა. ლეზავა—1959, ა. ლეზავა და მ. კოლოვარი—მარკინა—1959, მ. სიხარული და მ. სიხარული—1959, მ. სიხარული—1959 და ა. ლეზავა—1961 და სხვანი. ხოლო საყლაპავი მილისა და კუჭის შესაყარს — 6. ხლოპინი—1935, 6. შევჩერნკო—1948, გ. კვინიხიძე—1958, ზ. ხლისტოვა—1959, ე. გერლოვინი—1959 და სხვანი.

კუს საყლაპავი მილისა და კუჭის მოსაზღვრე მიღამოდან ამოკვეთილი ნაჭრის ფიქსაციას ვაწარმოებდით ცენკერ-ფორმოლში, ბუნების სწარში და 12 % ნიტრალურ ფორმალინში. ჩვეულებრივი ჰისტოლოგიური დამუშავების შემდეგ მასალის ერთ ნაწილს ვაყალიბებდით პარაფინში, 6—7 მიკრ. სისქის სერიულ ანათლებს ვლებავდით ჰაიდროკარინის ჰემატოცისილინით (ჰკ) და მუციკარმინით (მკ). ყველი სერიიდან რამდენიმე პრეპარატს ვღებავდით აზურ-ეიზინით და მალორის წესით. ანათლების ნაწილი ივერცელებოდა შემაერთებელ ქსოვილზე ბილშავესკის მეთოდით—ფუტის მოდიფიკაციით. მასალის მეორე ნაწილს კი ცერიდით გამყინავ მიკროტომზე და ნერვული ელემენტების გამოსავლინებლად ვერცხლავდით გროსს-ბილშოვესკის მეთოდით.


კუს საყლაპავი მილისა და კუჭის მოსაზღვრე მიღამოს კედელი შედგება ლორწოვანი, ლორწევებშა, კუნთოვანი და შემაერთებელქსოვილოვანი ან სეროზული (კუჭი) გარსებისაგან.

საყლაპავი მილი და კუჭი ამოფენილია სხვადასხვაგვარი ეპითელიუმით: კუჭი ერთშრიანი პრიზმული ეპითელიუმით (სურ. 1, b), საყლაპავი მილი—

მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმით (სურ. 1, ა). მათ შორის 0,25 მმ მიკრ. მანძილზე მდებარეობს შერეული შენების ეპითელიუმი, რომელიც უკავშირდებით როგორც ერთი, ისე მეორე ორგანოსათვის დამახასიათებელ კომპონენტს (სურ. 2).

საყლაპავი მილის ეპითელიუმი შედგება ორი ტიპის უჯრედებისაგან:

1. მაღალი პრიზმული უჯრედებისაგან, რომლებიც ბაზალური ფირფიტიდან საფარველის თავისუფალ ზედაპირამდე აღწევენ და 2. ბაზალურად განლა-



სურ. 1. კუს საყლაპავი მილისა და კუჭის მოსაზღვრე მიდამო.

ა—კუჭისა და საყლაპავი მილის ეპითელიუმების შესაყარის მიდამო, ბ—კუჭის უჯრედებისაგან პრიზმული ეპითელიუმი, ც—კუჭის ლულისებრი ჯირკვლების ძირი, დ—საყლაპავი მილის ეპითელიუმი, ე—ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე, ფ—ლორწოვანი გარსის კუმთვევანი შრე. ფიქსაცია: ცენკვრ-ფირმლი, შედებვა: ჰამაკ, გადიდ. 420X, მიკროფორმ.

გებული ე. წ. ჩართული უჯრედებისაგან, რომლებიც თავისუფალ ზედაპირამდე ვერ აღწევენ. ყველა პრიზმული უჯრედის აპიკალური ნაწილის დაახლოებით  $\frac{1}{3}$  ლორწოს უჭირავს, რომელიც ციტოპლაზმის ვიწრო ზოლით გამოყოფილია უჯრედის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ოვალური ფორმის და მეაფიო სტრუქტურის მქონე ბირთვისაგან. უჯრედის ქვემო შედარებით გრძელი და შევიწროებული ნაწილი ეყრდნობა ბაზალურ ფირფიტას. პრიზმული უჯრედების ციტოპლაზმა ბაზისებური სტრუქტურისაა. ამ ლორწოვან უჯრედთა აპიკალურ ბოლოებს შორის აღინიშნება კარგად გამოხატული დამხშევრი ფირფიტები. ჩართული უჯრედები კონუსისებრი ფორმისაა, განიერი ნაწილით ისინი ბაზალურ ფირფიტას ეყრდნობიან, ვიწრო ნაწილით კი მიმართული არიან თავისუფალი ზედაპირისაკენ. ზოგიერთი მათგანი ლორწოს მცირე ჩაოდენობას შეიცავს.

ეპითელიუმის სისქეში გვხვდება მცირე ზომის კარგად მოსაზღვრული ლორწოს შემცველი ცისტები. ცისტების შიგთავსის ნაწილი მკ შედებისას უფერო რჩება. გარდა ამისა, ცისტები შეიცავენ პიკნოტიზირებულ ბირთვებს ან შათი დაშლის პროდუქტებს, რაც ნებას გვაძლევს ვიგარაულოთ, რომ და-




სახელებული ცისტები რამდენიმე უჯრედის გადაგვარების შედეგად ვითარდება.

კუჭის ეპითელიუმი შედეგება ერთი და იმავე ფორმის მაღალი პრიზმული ლორწოს შემცველი უჯრედებისაგან. კუჭის პრიზმულ უჯრედში ოფალური ბირთვის ზემოთ მდებარე აბიკალური ნახევარი ლორწოს უჭირავს, რომელიც სანათურში ქუდაკისმაგვარად არის წამოწეული. ციტოპლაზმას ფიჭანაირი სტრუქტურა ახასიათებს და პე მკრთალად იღებება.

შერეული შენების ეპითელიუმის ფარგალში საყლაპავი მილის მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმის სისქეში გვხვდება თითოოროლა კუჭის ლულისებრი ჯირვები (სურ. 2, c). ხოლო კუჭის ერთშრიანი პრიზმული ეპითელიუმის სისქეში — მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმით წარმოდგენილი კუნძული (სურ. 2, d).

კუჭის ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეში მდებარეობს ლულისებრი ფორმის ჯირკვლები, რომელთა ძირი ამოფენილია ერთშრიანი კუბური ეპითელიუმით. პერმ შელებილ პრეპარატებზე კუბური უჯრედების ციტოპლაზმა ნათელია და მას ახასიათებს ფიჭანაირი სტრუქტურა (სურ. 1, c). ამავე ჯირკვლების სხეული და ყელი კი დაფარულია ერთ შრედ დალაგებული პრიზმული ლორწოს შემცველი უჯრედებით. ისევე როგორც საყლაპავ მილში, კუჭის მიდამოშიც საფარველი ეპითელიუმის სისქეში გვხვდება ინტრაებითელური ლორწოვანი ცისტები.

ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე როგორც საყლაპავი მილის, ასევე კუჭის მიდამოში




სურ. 2. კუჭის საყლაპავ მილსა და აუქს შორის მდებარე შერეული შენების გაითვლიუმის ფარგალის ნაზოვნებრი სქემად სქემატური სურათი.

ა—კუჭის ლულისებრი ჯირკვლა, ბ—ლორწოვალი, გარსის საკუთარი შრე, ც—კუჭის წრთულიანი პრიზმული გარსალრიგოვანი გაითვლიუმის გრძელად წარგენილი ჯირკვლის და ლულისებრი ჯირკვლის ფარგალი, დ, ე—საყლაპავი მილის გრძელად წარგენილი ლულისებრი ჯირკვლის და ლულისებრი ჯირკვლის ფარგალი.

ნაზი ფიბრილარული სტრუქტურისაა და უჯრედთა მცირე რაოდენობას შევ-  
ცავს (სურ. 1, e—2, b).

საყლაბავი მილის მიღამოში ლორწოვანი გარსის კუნთოვანი შრე წარ-  
მოდგენილია დიფუზურად განლაგებული ირგვლივი გლუვეცნოვანი ბოჭკო-  
ების გიწრო წყვეტილი შრით. შესაყარის მიმართულებით იგი თანდათან  
კომპაქტური ხდება და კუჭში მთლიანი ირგვლივი შრითაა წარმოდგენილი  
(სურ. 1, f).



სურ. 3. აუერბახის წნული ეპითელიუმების შესაყარის შიდამოში.

ფიქსაცია: 12 % ნეიტრალური ფორმალინი, იმპრეგნაცია:  
გროსს-ბილშოვსკი, გადიდ. 200X.


ლორწევეშა გარსი ყველა განხილულ მიღამოში შედგება კოლაგენური ბოჭკოების კომპაქტურად დალაგებული კონებისაგან, რომლებიც უჯრედებ-  
თან ერთად ორიენტირებული არიან თავისუფალი ზედაპირის პარალელურად. ამ გარსში გვხვდება სისხლის ძარღვების დიდი რაოდენობა.

კუნთოვანი გარსი შედგება გლუვეცნოვანი ბოჭკოების ორი შრისაგან: შიგნითა—გასწვრივი და გარეთა—ირგვლივი. საყლაბავი მილის მიღამოში ირგვლივი შრე შედარებით თხელია, კაფდალურად მისი სისქე თანდათან მა-  
ტულობს და კუჭში თითქმის გასწვრივი შრის სისქეს უთანაბრდება.

შესწავლილ მიღამოში არსებობს ორი ნერვული წნული: უკეთ გამოხა-  
ტული კუნთოაშუა (აუერბახი, სურ. 3), და ლორწევეშა (მეისნერის, სურ. 4). აღნიშნული წნულები ძირითადად შედგება ურბილგარსო ნერვული ბოჭკოე-  
ბის სხვადასხვა სისქის კონებისაგან, რომელთა ერთობლიობა შეაღევნს ფარ-  
თომარყუეოვან ნაზ ნერვულ ბადეს. ნერვული უჯრედების უმეტესი ნაწილი

განლაგებულია განმხოლობით ნერვული კონების გადაჯვარედინების განვითარების ტომებისა და მსელელობის გზაზე. მხოლოდ აუერბახის წნულში, ისიც იშვიათად, ადგილი აქვს ნერვული უჯრედების კონცენტრირებას (არა უმეტეს 4-5 კალისა) (კალი ძვრანების სახით).

ორივე ჭარულში შემაგალი ნერგული უჯრედებისათვის დამახასიათებელია კარგად გამოხატული პოლარობა. უჯრედის ერთ პოლუსზე მდებარეობს დიდი ზომის ბუშტუკისებრი ბირთვი, მეორეზე კი კონცენტრირებულია ნეირო-პლაზმა კარგად გამოხატული ნეიროფიბრილული ბადით.



სურ. 4. მეისნერის წნული ეპითელიუმების შესაყარის მიღამოში.


ფიქსაცია: 12 % ნეტორალური ფორმალინი, იმპრევნაცია: გროს-ბილშოვსკი,  
გაცილ. 200 ×.

ორივე ჭნულში გხვდებით მულტიპლარული, ბიპლარული და მსხლი-  
სებრი ფორმის ნერვულ უჯრედებს. მსხლისებრი უჯრედების სხეულიდან  
კონუსისებრი შემაღლებით გამოდის გრძელი მორჩი, რომელიც შედის ნერვუ-  
ლი ქონის შემაღლებაში.

აუკრძახის წნევლში მოიპოვება რამდენიმე განცალკავებული, მეტად თავისებური, მულტიპლარული ნერვული უჯრედი, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ძუძუმწოვართა ამავე ტიპის ნერვული უჯრედებისაგან (სურ. 5). მათ აქვთ მრგვალი და ექსცენტრულად მდებარე ბირთვი. ბირთვის ირგვლივ კონცენტრულად განლაგებულია კარგად გამოხატული ნეიროფიბრილარული ბადე. ხოლო უჯრედის სხეულიდან ჩაღიალურად გამოდის მრავალი მოკლე მორჩი, რომელთა შორის დიდი რაოდენობით მდებარეობენ სატელიტები. მორჩებს შორის სიღიღით და კარგი იმპრეგნაციით გამოიჩინევა ერთი, რომელიც, შესაძლებელია, წარმოადგენს ნეირიტეს. ამ უჯრედებისაკენ ჩვეულებრივ მიემართება ნერვული ბოჭვი, იგი სხეულთან მიახლოვებისას ორგაზტება, გარს ეხვევა მას, იხლართება უჯრედის მორჩებს შორის და ქმნის პერიცელულარულ აპარატს.

უნიპოლარული ნერვული უჯრედების საკმაოდ დიდი რაოდენობის ფართზე ლაგებულია სისხლის ძარღვების ირგვლივ და მჭიდროდ უკავშირდება შემთხვევაში როგორც ჩევნმა მასალამ დაგვანახა, კუჭის კედელს და საყლაბავი მილის ჭიდელს მსგავსი აგებულება აქვს. მხოლოდ ეპითელიუმია განსხვავებული ამ ორგანოების მოსაზღვრე მიღამოში.

კუჭი ამოფენილია ერთშრიანი პრიზმული ეპითელიუმით, საყლაბავი მილი კი მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმით. ამ საფარველთა შორის 0,25 მმ მანძილზე მდებარეობს შერეული შენების მქონე ეპითელიუმი, რომელშიაც გვხვდება როგორც კუჭის, ისე საყლაბავი მილისათვის დამახასიათებელი ელემენტები. ამ ფარგალში ერთშრიანი პრიზმული ეპითელიუმის



სურ. ა. ძულტიპოლარული ნერვული უჯრედი აუტობაზის ჭიულიდან, კარგად გამოხატული პერიცელულარული ბაზით.

ფიქსაცია: 12% ნეიტრალური ფორმალინი. იმპერგნაცია: გრის-ბილშოვსკი, გადიდ. 400X.

სისქეზი გვხვდებით საყლაბავი მილის მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმით დაფარულ უბნებს (სურ. 2, ა) და, პირიქით, საყლაბავი მილის მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმის სისქეზი—თითოოროლა კუჭის ლულისებრ ჯირკვალს (სურ. 2, ც). კუჭის ერთშრიან პრიზმულ და საყლაბავი მილის მრავალრიგოვან პრიზმულ ეპითელიუმებს შორის მათი შეყრის ყველა მიღამოში მკაფიო საზღვარი არსებობს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ამ ორი ეპითელიუმის შემადგენლობაში შემავალი პრიზმული უჯრედების დიდი მორფოლოგიური მსგავსება. ამიტომ შეიძლება გვეთიქრა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი და იმავე ეპითელური ქსოვილის ორ სტრუქტურულ მოდიფიკაციასთან. მაგრამ იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ამ ორ ეპითელიუმს შორის არა აქვს აღვილი სტრუქტურათა ერთი-მეორეში თანდათანობით გადასვლას და მეორეც ის, რომ საყლაბავი მილის და კუჭის ეპითელიუმები მორიგეობით არიან განლაგებული 0,25 მმ ზონის

ფარგალში, სადაც ამ ორ განსხვავებულ შენების ეპითელი უმს შორის წრესაც გადასცემის ყარაბაგი არის გამოხატული, უნდა დავასკვნათ, რომ ჩემ აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა მიმართულებით დეტერმინირებულ ეპითელუმთან.

დასახელებული შერეული შენების 0,25 მმ ეპითელური ზონის არსებობა კუჭისა და საყლაპავი მილს შორის გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ამ ორი მეზობელი ორგანოს განსხვავებული ფუნქციების გამოკვეთა ორგანიზმის ევოლუციის პროცესში ჯერ არ დასრულებულა. იმდენადვე არ არის დასრულებული მათ შორის ეპითელური შესაყარის საბოლოო ორგანიზაციაც.

ყველა შრომაში, რომელიც შეეხება საყლაპავი მილის კაუდალურ ნაწილსა და კუჭის შორის და აგრეთვე ანალურ მიღამოში არსებულ ეპითელიუმების შესაყარებს, ლაბარაკია ორი მომიჯნავე ეპითელური ქსოვილის სპეციფიურობაზე და მათი ურთიერთშორის გადასვლის შეუძლებლობაზე.

მხოლოდ ჩვენს ლაბორატორიაში აღწერილია აღმიანისა და მთელი რიგ ხერხებით ცხოველთა ანალურ მიღამოში ერთი ქსოვილის მიერ (ეპიდერმული) მეორე მეზობელი ქსოვილის (ენტეროდერმული) რღვევის ფაქტი, ორგანიზმის ჩვეულებრივი ცხოველმყოფელობის პირობებში (ა. ლეზავა, 1959).

შინაური ქათმის საყლაპავ მილსა და ჯირკვლოვან კუჭს შორის არსებული შესაყარის მიღამოს ეპითელური საფარველი ემბრიონულ პერიოდში შეისწავლა გ. კვინის ინდეგმ (1958). ავტორი აღნიშნავს, რომ განვითარების აღრეულ სტადიაზე ეს მიღამო ერთშრიანი მაღალი პრიზმული ეპითელიუმითაა დაფარული, მოგვიანებით სტადიაზე კი ამ ეპითელიუმების დეტერმინაცია, ორი მომიჯნავე ორგანოს შესაბამისად, მიღდინარებს სხვადასხვა მიმართულებით. საყლაპავ მილში ჯერ ვითარდება მრავალრიგოვანი შემდეგ კი მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმი. კუჭში კი ერთშრიანი ცილინდრული ეპითელიუმი.

ე. ჰერლოვინი (1959) აღნიშნავს, რომ კუჭს საყლაპავ მილსა და კუჭს შორის არსებული ეპითელური შესაყარის მიღამო თრი სხვადასხვა მიმართულებით დეტერმინირებული ეპითელური ქსოვილითაა წარმოდგენილი. საყლაპავი მილი, ე. ჰერლოვინის თანახმად, ამოფენილია მრავალშრიანი ეპითელიუმით. ჩვენი მონაცემების თანახმად კი კუჭს საყლაპავი მილი შესაყარის მიღამოში ამოფენილია არა მრავალშრიანი, არამედ ერთშრიანი მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმით.

რამდენადმე განსხვავებულია აგრეთვე ლორწოვანი გარსის კუნთოვანი შრის უჯრედების სიმჭიდროვე. საყლაპავი მილის მიღამოში უჯრედები ფაშარად და წყვეტილადაა განლაგებული, ხოლო შესაყარის ფარგალში, და განსაკუთრებით კუჭის მიღამოში, ისინი კომპაქტურ და უწყვეტ შრეს ქმნიან.

ნერვული წნულების შენებაში, შესწავლილ მიღამოში, რაიმე განსხვავება არ არსებობს. აღსანიშნავია მხოლოდ ნერვული უჯრედების ხასიათი. აუერბახის და მეისნერის წნულებში ძირითადად უხვდებით განმხოლებით მდებარე ნერვულ უჯრედებს. მხოლოდ აუერბახის წნულში გვხვდება თითო-ოროლა ნერვული კვანძი ნერვული უჯრედების მცირე რიცხვით.

ცნობილია, რომ ძუძუმწოვართა მასალაზე დადგენილ ნეირონთა ტიპები საჭმლის მომნელებელ მილში არ არის სტაბილური. ამ მხრივ სხვადასხვა

ხერხემლიან ცხოველში ადგილი აქვს მეტნაკლებად გამოხატულ ნაირსახეობას, რაც აღნიშნული იყო ფრინველებში 6. კოლოსოვის მიერ (1954). დათურული ტილიებში ლ. ლიხაჩივის (1944) მიერ. ეს ვარიანტები ეხება როგორც უჯრედის სხეულის ფორმას, ასევე პროტოპლაზმური მორჩების აგებულებას და უჯრედის დიფერენცირების ხარისხს. კუს საყლაბავი მილისა და კუჭის მოსაზღვრე მიღამოში ეს ვარიანტები კარგად მულავნდება და აღწერილი ნეირონების მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისადმი შედარებით ძნელია. კუს საჭმლის მომნელებელი მილის შესწავლილ ნაწილში ნერვული წნულების ასეთი აგებულება, ჩვენი აზრით, მიუთითებს მათი ორგანიზაციის პრიმიტულ ხასიათზე.

თბილისის უნივერსიტეტის  
ჰისტოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 26. VI. 1961)

КОРДЗАИА М. А.

## К ГИСТОЛОГИИ ПОГРАНИЧНОГО УЧАСТКА ПИЩЕВОДА И ЖЕЛУДКА У ПОЗВОНОЧНЫХ ЖИВОТНЫХ

(1. Черепаха—*Testudo greca*)

### Р е з ю м е

Гистологически были изучены слизистая оболочка, особенно эпителий, и нервные элементы области пищеводо-желудочного межэпителиального стыка у 5 черепах.

Желудок выстлан однослойным призматическим, а пищевод-многорядным призматическим эпителиями (рис. 1, б, д). Призматические клетки обоих эпителиев обнаруживают большое сходство. Их апикальная часть содержит слизь, базальная же—сужена и тонкой ножкой достигает базальной мембранны.

В собственном слое слизистой оболочки желудка, представленном волокнистой соединительной тканью, расположены простые трубчатые железы (рис. 1-с, рис. 2-а). Тело и шейка этих желёз выстланы однослойным призматическим, а дно-кубическим эпителиями. Светлая цитоплазма последних клеток муцинарином не окрашивается.

Между покровами пищевода и желудка, на протяжении примерно 0,25 миллиметровой зоны, располагается эпителий смешанного строения, в котором покровные и железистые компоненты эпителиев обоих органов чередуются между собою. В толще однослойного призматического желудочного эпителия лежит участок многорядного эпителия пищевода (рис. 2-д), а в многорядном эпителиальном покрове пищевода расположены трубчатые железы желудка (рис. 2-с).

Ввиду большого сходства в строении призматических клеток, представляющих основной компонент обоих покровов, можно было допустить, что в данном случае дело касается двух структурных моди-

ификаций одной и той же эпителиальной ткани. Однако, ввиду отсутствия между этими эпителиями постепенного перехода, а также наличия чередования желудочного эпителия и эпителия пищевода в пределах 0,25—миллиметровой зоны, с хорошо выраженным стыками между ними, можно заключить, что здесь мы имеем дело с двумя детерминированными в разном направлении эпителиальными тканями. Наличие 0,25—миллиметровой смешанной эпителиальной зоны, очевидно, обусловлено тем обстоятельством, что резко выраженное функциональное обособление этих двух смежных органов в процессе эволюции организма еще не закончено и, следовательно, не закончена организация дефинитивного эпителиального стыка между ними.

Наши данные согласуются с данными Г. С. Квинихидзе (1958), изучившей в нашей лаборатории гистогенез эпителиального стыка между пищеводом и желудком у домашней курицы.

Мы не согласны с Е. Ш. Герловиным (1959) в том, что однослоиный желудочный эпителий у черепахи граничит с многослойным эпителием пищевода. По нашим данным, этот эпителий—многорядный призматический.

В области пищевода мышечный слой слизистой оболочки имеет рыхлое строение, а в 0,25—миллиметровой смешанной эпителиальной зоне и в самом желудке он образует уже компактный непрерывный слой (рис. 1-f).

Подслизистая оболочка, как в пищеводе, так и в желудке, в основном, представлена пучками компактно расположенных коллагеновых волокон и лежащими между ними клетками, ориентированными параллельно свободной поверхности.

Мышечная оболочка представлена двумя—внутренним кольцевым и наружным продольным гладкомышечными слоями. В пищеводе наружный продольный слой более тонкий, а в желудке он постепенно утолщается.

В стенке изученной области располагаются межмышечное (ауербаховское, рис. 3) и подслизистое (мейнеровское, рис. 4) сплетения, нервные клетки которых, в основном, расположены по ходу нервных пучков и в участках их переплета. Лишь в ауербаховском сплетении отмечаются единичные нервные узелки с небольшим количеством (4—5) нервных клеток. Нам представляется, что такое строение нервных сплетений указывает на их примитивный характер. Как известно, форма интрамуральных нервных клеток в пищеварительном тракте позвоночных не стабильна, что отмечалось у птиц Н. Г. Колесовым (1954) и у рептилии Л. Я. Лихачевым (1944). В изученной нами области отнести нервные клетки к 1 или 2 типу Догеля не всегда представляется возможным.

#### Литература

- Арзиани Е. К., 1947. Репаративная регенерация кожного и кишечного эпителиев на месте их стыка в анальной области. Тезисы докл. гистолог. конф. Ленинград.

- ბლუმბერგი ა., Блюмберг А. Ж. 1950. Экспериментально-гистологическое исследование эпителиев кожного и кишечного типов в смежном участке тореф. дисс. Ленинград.
- ჭერლოვინი ე., 1959. საყლაბავის ეპითელიუმის აგებულების და განვითარების შესწავლი-სათვის მისი კუტიკულიუმთან შეცვის ადგილზე (ზოგიერთ ხერხემლან ცხოველში და ადამიანში). გაფართოებული პისტოლოგ. კონფერენც. მოხს. თეზისები, თბილისი.
- კვინიქიძე გ., ქვინიქიძე გ. С. 1958. Развитие эпителиальной выстилки пищевода домашних кур. ДАН СССР 122,2.
- კოლოსოვი ბ., კოლოსოვი ნ. Г. 1954. Нервный аппарат пищеварительного тракта позвоночных. Иннерв. внутрен. органов и сердечно-сосудистой системы. М.—Л.
- ლეზავა ა. 1959. ეპიფერმული ეპითელიუმის მიერ ენტოდერმული ეპითელიუმის გაჭმა-რღვევა ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ჩვეულებრივ პირობებში. გაფართოებული პისტოლოგ. კონფერენც. მოხს. თეზისები, თბილისი.
- ლეზავა ა. და ბ. კოლოზავარიმარკინა, 1959. შინაური ქათმის კლოაკაში ეპითელიუმებს შორის შესაყარის განვითარება. გაფართოებული პისტოლოგ. კონფერენც. მოხს. თეზისები, თბილისი.
- ლიხაчов ლ., ლихачов Л. Я. 1944. Материалы к сравнительной гистологии автономной нервной системы пищеварительного тракта позвоночных. Дисс. Сталинград.
- სიხარულიძე მ. 1959. ეპითელიუმებს შორის შესაყარი ზოგიერთი ამფიბიის, რეპტილიის და ფრინველის კლოაკაში. გაფართოებული პისტოლოგ. კონფერენც. მოხს. თეზისები, თბილისი.
- სიხარულიძე მ. და ლეზავა ა. 1963. ზოგი ამფიბიის, რეპტილიის და შინაური ქათმის ეპითელიუმებს შორის შესაყარი კლოაკაში. თსუ შრომები. ბიოლოგიური სერია. ტ. 88.
- ხლოპინ ნ. Г. 1935. О некоторых особенностях и значении пограничных участков между покровными эпителиальными пластами разного строения в пищеварительном аппарате. Юбил. сб. 25—лет. науч. деят. проф. Н. Н. Аничкова Л.
- ხლისტოვა ვ. 1959. ეპითელიუმებს შორის ურთიერთობის საკითხისათვის თავის ნაწლავის მიღამომი. გაფართოებული პისტოლოგ. კონფერენც. მოხს. თეზისები, თბილისი.
- შევჩენკო ნ. А. 1948. Репаративная регенерация многослойного плоского и однослойного призматического эпителиев на месте стыка их с желудком. Тезисы докл. науч. конф. анат., гист. и эмбр. Зоовет. и сельскохоз. ВУЗ-ов, Москва.

Кафедра гистологии  
Тбилисского университета

(Поступила в редакцию 26. VI. 1961).

ა. ლეზავა და მ. პოლოვარი-მარინა

მცითმალიუმის შესახარის მიღამოს განვითარება  
ზონაში ჩათვის კლოადაში

თბილისის უნივერსიტეტის პისტოლოგიურ ლაბორატორიაში გეგმაზო-  
მიერად შეისწავლება საჭმლის მომნელებელი და გამომყოფი სისტემათა ორ-  
განობრივ პისტოლოგიური (ა. ლეზავა, 1941; ა. ლეზავა და მ. ფარადა-  
შვილი, 1943; ა. ლეზავა, 1949; ქ. ჭიჭინაძე, 1949; ი. მეფისა შვილი, 1954; გ. კვინიხიძე, 1958).

ამ გამოკვლევაში განხილულია შინაური ქათმის კლოაკის ეპითელიუმის  
პისტოლოგიური. ეს საფარველი ზრდასრულ ქათმებში უკვე შესწავლილია მ. სი-  
ხარულიძის მიერ (1954). სხვა შრომა ხელმისაწვდომ ლიტერატურაში,  
რომელიც შეეხება კლოაკის საფარველი ეპითელიუმის აგებულებას, ჩვენ არ  
შეეცნობთ. ძირითადი ცნობები ორგანოს ანატომიის შესახებ, რომლებიც ეხე-  
ბიან ძველ შრომებს, მოცემულია მ. სიხარულიძის გამოკვლევაში.

ჩვენ მიერ გამოკვლეული იყო ინკუბირებული კვერცხებიდან ამოლებული ცხრამეტი  
ჩანასახის კლოაკა ინკუბაციის მე-7, 9, 11, 14, 17, 19 და 21-ე დღეზე. როცა ობიექტის თავ-  
ნობა მცირე იყო, გამოსაკვლევად ვიღებდით ჩანასახის უკანა ნაწევარს მთლიანად, ხოლო  
შედარებით დიდი ზომის ემბრიონებში ამოკვეთდით მხოლოდ კლოაკას. 10%-იან ფორმალინ-  
ში ან ცენტრ-ფორმალში ფიქსაციისა და სათანადო დამუშავების შემდეგ მასალა ყალიბდე-  
ბოდა პარატინიში. 7—8 მიკრონის სისქის სერიული ანათლების შეტ ნაწილს ვდებავდით  
ჰაიდროპარინის ჰემატოქსილინით და, დამატებით, მუციკარმინით. გარდა ამისა, ყოველი სე-  
რიდან რამდენიმე პრეპარატს ვღებავდით აგრეთვე პარალელურად აზურ-ეოზინით და  
ვერცხლავდით ფურის მეთოდით.

7 დღის ინკუბაციის შემდეგ ემბრიონების კლოაკის საფარველი მცი-  
რედ განსხვავდება ერთიმეორისაგან. შეიძლება ინკუბაციის ჩანასახების  
კლოაკას აქვს ნაპრალისებრი სანათური და იგი შედგება ორი ნაწილისაგან—  
უროდეუმისა და პროეტოდეუმისაგან.

უროდეუმი უკავშირდება ალანტიონის, პროეტოდეუმი კი ანალური ხერე-  
ლის კრანიალურად უროდეუმში გრძელდება. ეპითელიალურ ბაგირაკის სახით  
წარმოდგენილია კოპროდეუმის ნერგი. თავის მხრივ, უროდეუმსა და  
პროეტოდეუმს შორის მდებარეობს მკვრივუჯრედოვანი ეპითელური ბაგი-  
რაკი, რომლის უჯრედები 7-დღიანი ინკუბაციის ჩანასახებში შეიცავენ  
მრგვალ, სხვადასხვა ოდენობის ვაკუუმებს. 9-დღიანი ინკუბაციის ჩანასა-  
ხებში კი ამ ადგილას უკვე გვხვდება მრგვალი სხვადასხვა ოდენობის გასი-  
თხოვნებული ღრუები.

უროდეუმი ამოფენილია ერთშრიანი ცილინდრული ეპითელიუმით, რო-  
მელიც დორზალურ მხარეზე და კაუდალურ ნაწილში უფრო სქელია. ვენტრა-  
ლურად უროდეუმის ამოფენი საფარველი თანდათან თხელდება და ალან-  
ტიონისში უკვე ერთშრიანი ბრტყელი ეპითელიუმითა წარმოდგენილი.

პროეტოდეუმი ამოფენილია ორშრიანი პრიზმული, ალაგ არათერამარტო სისქის მრავალშრიანი ეპითელიუმით, რომელთა შორის გადასტელა—თანდა—თანბითია. მის დორზალურ მხარეზე მდებარეობს მრავალშრიანი კანის ტიპის ეპითელიუმი ძლიერ გაბრტყელებული უჯრედებით თავისუფალ ზედაპირთან. კაუდალური მიმართულებით ეს ეპითელიუმი თანდათან თხელდება, ისე რომ ანალური ხვრელის მახლობლად იგი უჯრედების ორი შრისაგან შედგება, მათ შორის ზემო—უფრო ძლიერაა გაბრტყელებული.

ფუტით შეღებილ პრეპარატებზე უროდეუმის და პროეტოდეუმის ბაზალური მემბრანა სუსტადა გამოხატული დაწყებით სტადიაში მყოფი კოპროდეუმის ანალოგიურ წარმოქმნასთან შედარებით.

კლოკის წინა ნაწილის მეზენებიმას მეცნიერულებოვანი აგებულება აქვს, უკანა ნაწილში კი, პირიქით, მისი ელემენტები ფაშარადა განლაშებული.

11 დღის ინკუბაციის კვერცხების ებბრიონებში კოპროდეუმის ნერგი უკვე წარმოდგენილია მილის სახით, რომლის სანათური თითქმის მთლიანად ამოქსებულია ჭარბამრავლ ეპითელიუმით. უროდეუმის ცილინდრული მრავალრიგოვანი ეპითელიუმის თავისუფალ ზედაპირთან არსებობს სუსტად გამოხატული ყავთანი.

ყველაზე მეტი ინტერესს წარმოადგენს 14 დღეს ინკუბირებული კვერცხებიდან ამოღებული ებბრიონების კლოკის აგებულება. განვითარების ამ სტადიაზე კლოკის ყველა ნაწილი (კოპროდეუმი, უროდეუმი, პროეტოდეუმი) კარგადა გამოხატული. ისინი ერთიმეორესთან დაკავშირებული არიან სხვადასხვა სიბრტყეში მდებარე ვიწრო მილაკებით.

კოპროდეუმი ამოფენილია ერთშრიანი მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმით, რომელიც იძლევა ორგანოს სანათურში შეჭრილ მცირე ოდენობის თითისმაგვარ გამონაზარდებს. ეპითელიუმის უჯრედების ნაწილი რკინის შაბის ჰემატოქსილინით იღებება მუქად, ნაწილი კი ნათელი რჩება.

უროდეუმი ამოფენილია მრავალშრიანი პრიზმული ეპითელიუმით, რომლის ზედაპირულად მდებარე უჯრედები წარმოდგენილია იზოპრიზმული ელემენტებით. თავისუფალ ზედაპირთან მას ალაგ გააჩნია კარგად გამოხატული ყავთანი. უროდეუმის ეპითელიუმის სისქეში აქა-იქ გვხვდება აგრეთვე ლორწოვანი უჯრედები.

პროეტოდეუმი სხვადასხვაგვარი ეპითელიუმითაა ამოფენილი. მისი კრანიალური ნაწილი—ნაწლავის ტიპის მრავალშრიანი პრიზმული ეპითელიუმით, რომელიც დაახლოებით ისეთივეა, როგორიც უროდეუმში, კაუდალური—შედარებით თხელი ეპიდერმული ეპითელიუმით, რომელიც შედგება ორი-სამი შრისაგან და თავისუფალ ზედაპირთან შეიცავს ბრტყელ უჯრედებს.

კანის მხარეზე ეპიდერმისს აქვს გლუვი ზედაპირი. იგი შედგება ოთხის ხუთი შრისაგან, ამასთანავე, ეპითელიუმის სისქე კლოკაში გადასვლისას სწრაფად მცირდება, დაახლოებით ორჯერ.

ნაწლავის და კანის ტიპის მრავალშრიანი ეპითელიუმების საზღვარზე პროეტოდეუმში ჩანს კარგად გამოხატული შესაყარი (სურ. 1).


კანისაგან განსხვავებით ნაწლავის ეპითელიუმი შესაყართან თავის შემაღენლობაში შეიცავს ლორწოვან ელემენტებს. თავის მხრივ, ეპიდერმული ეპითელიუმი განსხვავდება ნაწლავის ეპითელიუმისაგან რკინის შაბის ჰემატოქსილ-

ნით შელებვისას გაბრტყელებული მუქბირთვიანი უჯრედებით თერმულურ შედაბირთან.

უროდეუმში და პროტოდეუმში ფუტით შელებვა ამჟღავნებს სუსტად გამოხატულ ბაზალურ ფირფიტას. ეპიდერმული ეპითელიუმის ქვეშ იგი უფრო სქელია.

ნაწლავის ეპითელიუმის მხარეზე მეზენქიმური უჯრედები უფრო მჭიდროდ მდებარეობენ, კანის ტიპის ეპითელიუმის ქვემდებარე მეზენქიმასთან შედარებით.

17 და 18 დღეს ინკუბირებული კვერცხებიდან აღებული ემბრიონების კლოაკაში ერთგვარად ალინიშნება შემდგომი დიფერენცირება.



სურ. 1. თოთხმეტი დღის განმავლობაში ინკუბირებული ქათმის კვერცხიდან ამოღებული ჩანასახის კლოაკის ლორწოვანი გარსის მიღამო. შესაყარი ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის მრავალშრიანი ეპითელიუმებს შორის პროტოდეუმში. ა. ნაწლავის ტიპის მრავალშრიანი ეპითელიუმი; ბ. ლორწო ზედაბირული უჯრედების აპიკალურ ნაწილში; გ. სხვადასხვა ეპითელიუმის შესაყარის მიღამო; დ. კანის ტიპის მრავალშრიანი ეპითელიუმი; ე. შესაყარის მიღამოს მეზენქიმა. ფიქს. 10 % ფორმალინი, შელებ. ჰაიდნენის ჰემატოქისლინი, გადიდ. 280×.

კოპროდეუმის კრანიალურ ნაწილში უკვე არსებობს კარგად განვითარებული ხაოები. კოპროდეუმი ამოფენილია ერთშრიანი მრავალრიგოვანი პრიზმული ეპითელიუმით, რომლის ლორწოვანი ელემენტები წარმოდგენილია ფილისებრი უჯრედებით.

სწორი ნაწლავი შეიძლება გარჩეულ იქნას კოპროდეუმისგან უკეთ განვითარებული ლიბერკიუნის კრიპტების ნერგებით.

უროდეუმი ამოფენილია არათანაბარი სისქის ერთშრიანი მრავალრიგოვანი ცილინდრული ყაეთნოვანი ეპითელიუმით, ბაზალურ მხარეზე მდებარე მიტოზებით. ამ საფარველის სისქეში გვხვდება მუქი უჯრედები, ხოლო ზოგიერთი მიღამოს ეპითელიურ უჯრედებში მუციკარმით შელებვისას—ლორწო.

პროტოდეუმი ამოფენილია ნაწლავის მრავალრიგოვანი და მრავალშრიანი ეპიდერმალური ეპითელიუმებით, რომელთა შორის არსებობს შესაყარი. უჯრედთა შრების რაოდენობა კლოაკის ეპიდერმალურ საფარველში ანალური ხვრელის მიმართულებით თანდათან მცირდება 3—4 ან 2-მდის. ანალური ხვრელიდან გარეთკენ, პირიქით, უჯრედთა შრების რაოდენობა

მატულობს. ამასთანავე, ზედაპირული უჯრედები გარქოვანებულია და უკავშირდება ნაკრტენების წერგები.

გვერცხლილ პრეპარატებზე კოპროდეუმში და უროდეუმში მკაფიოდ ჩანს ბაზალური მემბრანა. იგი უკეთ არის გამოხატული პროეტოდეუმში.

კლოაკის ეპითელიუმის ქვეშმდებარე შემაერთებელი ქსოვილი მდიდარია მჭიდროდ განლაგებული მორჩიანი უჯრედებით.

19 და 21 დღეს ინკუბირებული კვერცხებიდან აღებულ ემბრიონებში კლოაკის ნაწილები მკვეთრად არის ერთიმეორესაგან გამოყოფილი. მათი მოცულობა განსხვავდებულია და ამ ნაწილების დამაკავშირებელი მიღავები, როგორც წესი, სხვადასხვა სიბრტყეში მდებარეობენ.

კოპროდეუმს აქვს კვერცხისმაგვარი ფორმა და წარმოადგენს კლოაკის ყველაზე დიდ ნაწილს. ლორწოვანი გარსის ნაკვები სუსტად არის გამოხატული. ისინი განიერი და დაბლებია. ხაოვები კარგადაა განვითარებული. კოპროდეუმი ამოფენილია ერთშრიანი პრიზმული ეპითელიუმით. საფარველი ეპითელიუმიდან ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეში წაზრდილია თითისმაგვარი და სფეროსფერი ფორმის ეპითელიური ბაგირაკები. როგორც კოპროდეუმის საფარველ ეპითელიუმში, აგრეთვე აღნიშნულ სფეროსფერი გამონაზარდებში გვხვდება ერთეული ლორწოვანი უჯრედები; მათი რაოდენობა კრანიალური მიმართულებით თვალსაჩინოდ მატულობს.

უროდეუმი ამოფენილია კუტიკულური ყაეთანის მქონე ერთშრიანი ცილინდრული ეპითელიუმით. ეს კუტიკულა, აგრეთვე მის მახლობლად მდებარე ეპითელიუმის მიღამოები, მუციკარმინით მეტ-ნაკლები ხარისხით იღებება ვარდისფრად. უროდეუმის კრანიალურ ნაწილში გვხვდება ლორწოვანი ელემნტები.

პროეტოდეუმი დაკავშირებულია ფაბრიციუსის ჩანთასთან. ფაბრიციუსის ჩანთის მიმართულების პროეტოდეუმის დორსალური კედელი წარმოდგენილია ეპიდერმული ქსოვილით, რომლისგანაც შემართებულ ქსოვილში მიმიმართებიან მცირე ზომის წანაზრდები.

პროეტოდეუმი ამოფენილია სხვადასხვა ბუნების ეპითელიუმით. კრანიალური ნაწილი ამოფენილია ნაწლავის ტიპის მრავალშრიანი, ალაგ ერთშრიანი ცილინდრული მრავალრიგოვანი ეპითელიუმით. ეს საფარველი ცალკე მიღამოებში შეიცავს ყაეთანს. ამ ეპითელიუმის ზედაპირზე აგრეთვე ზედაპირული უჯრედების ციტოპლაზმაში მოიპოვება ლორწო. კლოაკის ხვრელის მახლობლად კანის ეპიდერმული საფარველი თანდათან თხელდება და კარგავს გარქოვანებულ შრეს. აქ იგი შედგება უჯრედების 4-6 შრისაგან. მისი ზედაპირული ელემენტები შეიცავენ პიგმენტის მარცვლებს. ასეთი სახით ეს მრავალშრიანი ეპითელიუმი კანის ზედაპირიდან გრძელდება კლოაკის კაუდალურ ნაწილში.

პროეტოდეუმის გამომფენ სხვადასხვა ტიპის ეპითელიუმებს შორის არსებობს სუსტად გამოხატული შესაყარი, რომლის პოვნა სხვადასხვა ნიშნების გამოყენებით არ არის ძნელი.

ნაწლავის ტიპის ეპითელიუმისათვის მთავარ ნიშნებს წარმოადგენენ: ზედაპირული უჯრედების პრიზმული ფორმა, უჯრედებში ლორწოს და ალაგ ყაეთანის არსებობა თავისუფალ ზედაპირთან.

ბაზალური ფირფიტა კარგად არის განვითარებული, განსაკუთრებით პროეტოდეუმის კაუდალურ ნაწილში.

კოპროდეუმის ეპითელიუმის ქვეშმდებარე შემაერთებელი ქსოვილი უჯრედული დარია ნაწილობრივ ერთიმეორესთან დაკავშირებული მორჩებიანი უჯრედებით. ლორწოვანი გარსის საცუთარი შრე უროდეუმში წარმოდგენილია უჯრედებით და ეპითელიუმის თავისუფალი ზედაპირის პარალელურად ორი-ენტირებული ბოჭკოებით.

პროეტოდეუმის შემაერთებელი ქსოვილი უროდეუმთან შედარებით უფრო ფაზირია.

### მიღებული შედეგების შეჯამება

როგორც იყო ნაჩვენები, 7 დღის ინკუბირებული კვერცხის კოპროდეუმი მევრივუჯრედოვან ბაგირაქ წარმოადგენს, ხოლო 14 დღის ინკუბირებულ კვერცხებში მასში ჩნდება სანათური და გამონაზრდები, რითაც იგი განსხვავდება სწორი ნაწლავისაგან. მოგვიანებით, წიწილის გამოჩეკამდე, კოპროდეუმში ყალიბდება ხაოები და კრიპტები, თუმცა უკანასკნელნი განუვითარებელნი რჩებიან. დასაწყისში მრავალრიგოვანი საფარველი გარდაიქმნება ერთშრიან ცილინდრულ ეპითელიუმად და მასში ჩნდება ლორწოვანი ელემენტები. თუ მხედველობაში მივიღებთ სიხარულიძის მონაცემებს, უნდა დაგასკვნათ, რომ პროეტოდეუმის საფარველი წიწილის გამოჩეკვის მომენტი-სათვის, ზრდასრულ ეფექტბლიართან შედარებით, ჯერ კიდევ ვერ აღწევს სქესობრივად მომწიფებულ ქათმისთვის დამახასიათებელ აგებულებას.

თავისებურ ცვლილებებს განიცდის უროდეუმის საფარველი. მისი ერთ-შრიანი პრიზმული ეპითელიუმი (ცხრა დღეს ინკუბირებული კვერცხები) ჯერ გარდაიქმნება მრავალრიგოვან, შემდეგ მრავალშრიან, ხოლო კვერცხის ინკუბაციის ბოლო პერიოდისათვის ერთშრიან ყაეთოვან საფარველად. განვითარების კვალდაკვალ მასში მჟღავნდება ნაწლავის ტიპის ეპითელიუმისათვის დამახასიათებელი დიფერენცირების ელემენტები—ყაეთანი და ლორწო.

კველაზე საინტერესო ქსოვილებსშორისი ურთიერთობა ნანახი იყო პროეტოდეუმის ეპითელიუმში. 7—9 დღის ინკუბირებულ კვერცხებში იგი ამოფენილია სხვადასხვა ბუნების მქონე ორშრიანი და მრავალშრიანი ეპითელიუმებით. ამ სხვადასხვა ბუნების ქსოვილთა შორის საზღვრის პოვნა ემბრიონების განვითარების ამ სტადიაზე შეუძლებელია. კვერცხების 14 დღის ინკუბაციის შემდეგ და წიწილის გამოჩეკამდე პროეტოდეუმში მეღავნდება არაერთნაირი ხასიათის საფარველი, რომელთა შორის არსებობს სხვადასხვა ხარისხით გამოხატული შესაყარი.

ნაწლავისა და კანის ტიპის თითოეული საფარველი განვითარების პროცესში იცვლება. ნაწლავის ტიპის მრავალშრიანი პრიზმული ეპითელიუმი მხოლოდ კვერცხების ინკუბაციის უკანასკნელ ეტაპებზე (19, 21 დღე) გარდა იქმნება ლორწოს გამომყოფ ერთშრიან მრავალრიგოვან პრიზმულ ყაეთოვან ეპითელიუმად. მაშასადამე, მისი დიფერენცირება არ აღწევს საზოგადოდ ნაწლავის მიღლისათვის დამახასიათებელ ერთშრიან პრიზმულ ეპითელიუმის დონეს. სიხარულიძის მონაცემების მიხედვით, დაახლოებით ასეთსავე აგებულებას იგი ინარჩუნებს ზრდასრულ ქათამშიც.

პროეტოდეუმის ეპიდერმული საფარველი წარმოდგენილია მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით, რომელიც შესაყართან რამდენიმედ დედიცურენცირებულია.



ნაწლავისა და კანის ტიპის ეპითელიუმების ბოლოები სოლისმაგილიდ გაწვეტიანებულია და ერთიმეორეს ფარავს. შესაყარის ხაზი მდებარეობს ირიბად, ხოლო საფარველების სისქე გათანაბრებულია.

ნაწლავის ტიპის ეპითელიუმთან შედარებით ბაზალური ფირფიტა ეპიდერმული ეპითელიუმის ქვეშ უკეთაა განვითარებული. ლორწოვანი გარსის საკუთარი შრის შემაერთებელ ქსოვილს კი უფრო ფაშარი აგებულება აქვს.

როგორც დავინახეთ, ჩვენი მასალის საფუძველზე რიგი ქსოვილოვანი და ციტოტიპიური ნიშნების მიხედვით კლოაკაში ნათლად შეიძლება გავარჩიოთ ერთიმეორისაგან ნაწლავის ტიპის და კანის ტიპის ეპითელიუმი. ამრიგად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივღივართ, რომ კლოაკის საფარველს აქვს ორგვარი გენეზისი. უფრო მცირე კაუდალური ნაწილი ვითარდება ეპიდერმისის, უმეტესი კრანიალური კი ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის ხარჯზე. მომიჯნავე მიღამოებში ორივე ეპითელიუმი სახეშეცვლილი და ნიველირებულია კონვერგენტულად. ნაწლავის ტიპის ეპითელიუმი უფრო მკვეთრადაა შეცვლილი და შედარებით დიდ მანძილზე, ვიდრე ეპიდერმული, რაც, როგორც ჩანს, გამოწვეულია ცალკე ნაწილებად დაყოფილი კლოაკის ლოკალური ფუნქციური თავისებურებებით.

თბილისის უნივერსიტეტის  
ჰისტოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 26. VI. 1961 წ.)

ЛЕЖАВА А. С. И КОЛОЖВАРИ-МАРКИНА М. Л.

## РАЗВИТИЕ ОБЛАСТИ МЕЖЭПИТЕЛИАЛЬНОГО СТЫКА В КЛОАКЕ ДОМАШНЕЙ КУРИЦЫ

### Резюме

В нашей лаборатории планомерно изучаются гистогенезы покровов ряда органов пищеварительной и мочевой систем (А. С. Лежава — 1941; А. С. Лежава и М. С. Парадашвили — 1943; М. С. Парадашвили — 1948; А. С. Лежава — 1949; К. И. Чичинадзе — 1949; И. С. Меписашвили — 1954; Г. С. Квинихидзе — 1958).

В настоящем исследовании рассматривается гистогенез эпителия клоаки домашней курицы. У взрослых кур этот эпителий был изучен М. М. Сихарулидзе (1954). Других гистологических работ, посвященных строению покровного эпителия клоаки, в доступной литературе нам найти не удалось. Сведения о старых работах, касающихся в основном анатомии органа, даны в исследовании М. М. Сихарулидзе.

Была изучена клоака 19-ти эмбрионов, извлеченных из яиц на 7, 9, 11, 13, 15, 19 и 21-й день инкубации. Из эмбрионов вырезывалась клоака, а при малом размере объекта бралась целиком задняя половина зародыша. После фиксации 10%-ым формалином либо ценкер-формолом и соответствующей обработки материал заливается в парафин, и делались серийные срезы толщиной в 7–8 микрон. Большая часть срезов окрашивалась железным гематоксилином Гейденгайна и дополнительно муцинармином, некоторое же количество окрашивалось азур-эозином и серебрилось по Футу.

Согласно полученным данным, эпителий копродеума яйца 7-дневной инкубации имеет вид плотноклеточного тяжа. Только на стадии 14-дн. инкубации яиц в нем появляются просветы и выступы, отличающие его от эпителия прямой кишки. Позже, до вылупления цыпленка, в копродеуме образуются ворсинки и крипты, однако последние остаются недоразвитыми. Многорядный в начале покровный эпителий преобразуется в однослойный цилиндрический,—в нем появляются слизистые элементы. Учитывая данные Сихарулидзе, следует прийти к выводу, что покров копродеума к моменту вылупления цыпленка по сравнению со взрослой особью еще не достигает характерного для половозрелой курицы строения.

Своеобразные изменения происходят в покрове уродеума. Его однослойный призматический эпителий (яйца 9 дн. инкубации) сперва превращается в многорядный, затем—в многослойный, а к концу периода инкубации яиц—в однослойный каемчатый. По ходу развития в нем выявляются характерные для эпителия кишечного типа элементы дифференцировки—каемка и слизь.

Наиболее интересные межтканевые отношения были обнаружены в эпителии проктодеума. В яйцах 7—9-дн. инкубации он выстлан разнородным по своей природе двух- и многослойным эпителиями. Расспознать границу между покровами разных тканевых систем в этой стадии развития эмбрионов невозможно. После 14-дн. инкубации яиц и до вылупления цыпленка в нем обнаружаются два разнохарактерных покрова со стыком между ними, выраженным в большей или меньшей степени (рис. 1). Каждый из названных покровов—кишечного и кожного типов, видоизменяется в процессе развития. Многослойный призматический кишечный эпителий только на последних этапах инкубации яиц (19—21-дн.) превращается в слизеотделяющий многорядный призматический каемчатый. Следовательно, его дифференцировка не доходит до характерного вообще для кишечной трубки однослойного призматического эпителия. По данным Сихарулидзе, приблизительно такое же строение этот покров сохраняет и у половозрелой курицы.

Эпидермальный покров проктодеума представлен многослойным плоским эпителием, который у стыка несколько дедифференцирован.

Концы кишечного и кожного эпителиев клинообразно заострены и перекрывают друг друга, линия стыка располагается наклонно, а толщина покровов уравнена.



По сравнению с кишечным эпителием, базальная мембрана под эпидермальным эпителием развита сильнее, а соединительная ткань основы слизистой оболочки имеет более рыхлое строение.

Таким образом, мы приходим к выводу, что эпителиальный покров клоаки имеет двоякий генезис. Меньшая каудальная часть развивается за счет эпидермиса, большая же краинальная — из кишечного эпителия. Оба эпителия в смежных участках видоизменены и нивелированы конвергентно.

Кишечный эпителий видоизменен резче и на большем протяжении от стыка, чем эпидермальный, что, очевидно, обусловливается локальными функциональными особенностями, соответственно разделению на отделы клоаки, как органа представляющего, кроме кишечного, также мочевой и половой пути.

#### დამოუმებული ლიტერატურა

- კვინიხიძე გ. С. 1958. Развитие эпителиальной выстилки пищевода домашних кур. ДАН СССР, т. 122, № 2, стр. 304—307.
- ლეჯავა ა., Лежава А. С. 1941. Противоречия в современном учении о тканях и их причины. Тр. Тбилисского государственного университета, т. 21, стр. 1—46.
- ლეჯავა ა., და ფარადა შვილი გ. 1943. ადამიანის ურანეულის პისტოლოგიისათვის. საქ. მეცნ. აკად. მრამებე, ტ. 4, № 10, გვ. 1045—1053.
- ლეჯავა ა., 1949. ცხენის თირკმლის მენჯის ეპითელიუმის სტადიური განვითარება. ექს. მოტყ. ინსტ. შრომები, ტ. 2. გვ. 177—204.
- ფარადა შვილი გ., 1948. მსხვილი რქოსანი ცხოველის (*Bos taurus*) ურანეულის ეპითელიუმის პისტოლოგიების და ცვლილებები ემბრიონალურ პერიოდში. საკანდ. დისერტ. თბილისი, გვ. 1—109.
- სიხარულიძე მ., 1954. ზოგიერთი ამფიბიის, რეპტილიის და ფრინველის კლოაკის ლორწოვანი გარსის შედარებით — პისტოლოგიური გამოკვლევა. საკანდიდ. დისერტ. თბილისი, გვ. 1—171.
- ჭიჭინაძე ქ., 1949. ადამიანის საყლაპავი მილის ეპითელიუმის სტადიური განვითარება ემბრიონალურ პერიოდში. ექს. მოტყ. ინსტ. შრომები, ტ. 2 გვ. 205—226.
- მეფისაშვილი ი., 1954. მსხვილი რქოსანი ცხოველის (*Bos taurus*) კლოაკის, ალანტოისის და მათი დერივატი თრგანოების ეპითელიუმის პისტოლოგიების საკანდიდ. დისერტ. თბილისი, გვ. 1—211.

Кафедра гистологии  
Тбилисского университета

(Поступила в редакцию 26. VI. 1961 г.)

2. არ 8 0 1 6 0

ჰისტოლოგიური ცვლილებები ეპითელიუმების შესაყარის  
მიღამოვი ზოგიერთი ფრიცენულის კლოაკაში  
(ბატისნაირნი Anseriformes)

ეპიდერმულ და ენტეროდერმულ ეპითელიუმებს შორის შესაყარის პრობ-  
ლემის ირგვლივ არსებული შრომები (ნ. ხლობინი, 1935; ე. არზანი, 1947;  
ა. სილანტიევი, 1949; ა. ბლუმერგი, 1950, 1955; მ. სიხა-  
რულიძე, 1959; მ. სიხარულიძე და ა. ლეჟავა<sup>1</sup>; ა. ლეჟავა და  
კოლოფვარიმარკინა<sup>2</sup>; გ. კვინიძიძე, 1959; მ. კორძაია, 1959 და  
სხვა უმთავრესად შეეხება შესაყარების კომპონენტების სპეციფიურობის  
საკითხს და მათი ერთობლების გადასცლის შეუძლებლობას (ა. ლეჟავა,  
1959).

ეპითელიუმებს შორის შესწავლის საკითხმა ჩვენს ლაბო-  
რატორიაში შესრულებული გამოკვლევების შედეგად არსებითად ახალი მიმარ-  
თულება მიიღო. აღამიანისა და შინაური ხარის მაგალითზე გამოირკვა, რომ  
ეპიდერმული ეპითელიუმი, ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ჩვეულებრივ  
პირობებში, განიცდის განუწყვეტელ გადანაცვლებას ენტეროდერმული ეპი-  
თელიუმის ტერიტორიაზე (ა. ლეჟავა, 1959). გადანაცვლების პროცესში  
ეპიდერმული ეპითელიუმი გზადაგზა ანადგურებს ენტეროდერმულ საფარველს,  
გარშემო ეზრდება კრიბტებს, ქმნის მათგან ერთგვარ კუნძულებს, რომლებიც  
საბოლოოდ დაშლას განიცდიან.

ჩვენ დაგვევალა გამოგვეკვლია ეპიდერმული და ენტეროდერმული ეპი-  
თელიუმების ურთიერთობა ფრიცენულთა კლოაკაში.

ამ შრომაში განხილულია ბატისნაირთა ორი წარმომადგენელი—შინა-  
ური ბატი (*Anser domesticus* L.) და გარეული იხვი (*Anas platyrhynchos* L.).

შესწავლილი იყო 4 შინაური ბატის და 3 გარეული იხვის კლოაკის ლორწოვნი  
გარსი ეპითელიუმების შესაყარის მიდამოში.


საჭირო მინაზე გაშლილ მდგომარეობაში გაკრულ პრეპარატს ვათავსებდით ფორმალი-  
ნის 10%—იან ხსნარში. დაახლოებით 5×8 მმ<sup>2</sup> სიდიდის იძიებებს ჩვეულებრივი ჰისტოლო-  
გიური დამუშავების შემდეგ ვაყალიბებდით პარაფინში და ვამზადებდით 7—8 მკ სისქის სერი-

<sup>1</sup> იხ. გვ. 71.

<sup>2</sup> იხ. გვ. 99.

ულ ანათლებს. პრეპარატებს ვღებავდით ჰაიდროკაინის ჰემატოქსილინით და ფამატრედინი მუციკარმინით, ხოლო თითო-ორთოლა ანათალს აუზრ-ეოზინით, მალორით და ბფლუსტრუმებით მოებდით აგრეთვე რამოდენიმე პრეპარატის გავერცხლას ფუტის თანახმად.

1. შინაური ბატი. ამ ფრინველის კლოაკაში ეპიდერმულ და ენტეროდერმულ ეპითელიუმებს შორის შესაყარი მკვეთრად არის გამოხატული (სურ. 1, სურ. 2, a).



სურ. 1. ეპითელიუმების შესაყარის მიდამო შინაური ბატის კლოაკის ლორწოვან გარსში. ნაწევრადსქემატური სურათი.

ა—ეპიდერმული ეპითელიუმის გარქოვანებული შრე, ბ—ენტეროდერმული ეპითელიუმი, ც—ნაწლავის გაგანიერებული კრიბტა ლორწოვანი შიგთავსით, დ—ეპიდერმული ეპითელიუმის ნაწლავის კრიბტისმაგვარი წანაზარდები ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეში, ე—ლორწოვანი გარსის კუნთოვანი შრე.

ფიქსაცია: 10% -იანი ფორმალინი; შელება: ჰაიდროკაინის ჰემატოქსილინი + მუციკარმინი. გადიდება  $\times 56$ .


ეპიდერმული ეპითელიუმი წარმოდგენილია ჩანასახოვანი და რქოვანი შრეებით (სურ. 1, a) და შეიცავს უჯრედების მრავალ რიგს. მისი სისქე შესაყარის მიმართულებით თანდათან მატულობს 325 მკ·დან 550 მკ·მდე.

შესაყარის მიმართულებით ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეში ეპიდერმული ეპითელიუმი ქმნის ნაწლავის კრიბტის ფორმის, საშუალოდ 350 მკ სიგრძის და 155 მკ სიგანის წანაზარდებს (სურ. 1, ქ და სურ. 2, გ), რომელთაც გარეგნულად სინჯარის ფორმა აქვთ. ამ წანაზარდების ნაპირებსა (ე. ი. ბაზალურად მდებარე ნაწილებში) და ბოლოებში ეპიდერმული უჯრედები მცირედ დიფერენცირებულია; მათ სისქეში გვხვდება ბევრი მიტოზურ მდგომარეობაში მყოფი უჯრედი. მიტოზურ მდგომარეობაში მყოფი უჯრედებით მდიდარია ამ წანაზარდების ბოლოები.

ენტეროდერმული საფარველი წარმოდგენილია ფიალისებრი უჯრედების შემცველი ერთშრიანი ცილინდრული ყაეთნოვანი ეპითელიუმით (სურ. 1, ჩ, სურ. 2, ც).

ენტეროდერმული ეპითელიუმით დაფარული ნაწლავის ლორწოვანი გარსი შეიცავს კრიბტებს და ხაოებს, რომელთა სიმაღლე შესაყარიდან კრა-

ნიალურ მიმართულებით თანდათან მატულობს დაახლოებით 400 $\mu$  მეტრზე 775 მკ-მდე. ზოგჯერ ეპიდერმული საფარველის მომიჯნავე ნაწლავის კრიტიკული დახშულია, დიდი რაოდენობით შეიცავს ლორწოს და ზომაზე მეტადაა გაფართოებული (სურ. 1, e).




სურ. 2. ეპითელიუმების შესაყარის მიღამო შინაური ბატის კლაკის ლორწოვან გარსში. ნახევრადსქემატური სურათ.

ა—ეპიდერმული და ენტეროდერმული ეპითელიუმების შესაყარის ადგილი. ბ—ეპითელიუმების მომავალი ადგილი ეპიდერმული ეპითელიუმის კრანიალურად გადანაცვლების შედეგად. ც—ენტეროდერმული ეპითელიუმი. დ—ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის გარსშემზევება ეპიდერმული საფარველის მცირებდ დიფერენცირებული ნაპირი. ე—ეპიდერმული საფარველის მოსაზღვრე ნაწლავის ტიპის ეპითელიუმით ამოვფენილი კრიატები. ფ—ეპიდერმული ეპითელიუმი. გ—ეპიდერმული ეპითელიუმის ნაწლავის კრიატისმაგრარი ჭანაზარდები ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეში. ფიქსაცია: 10% -იანი ფორმალინი, შელება: პაიდენტაინის ჰემატოქსილინი + მუციკარმინი. გადიდება  $\times 160$ .

შესაყარის მიღამოში, როგორც ნაწლავის ტიპის, ისე კანის ტიპის ეპითელიუმის ქვეშ, ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე წარმოდგენილია ადენოიდური ქსოვილით. ადენოიდური ქსოვილი და მასთან ერთად ლორწოვანი გარსის გლუვბოჭკოიანი კუნთოვანი შრეც (სურ. 1, e) შესაყარის კაუდალურად გრძელდება 1,1 მმ.-ის მანძილზე.

ნაწლავის ეპითელიუმთან მომიჯნავე ეპიდერმული ეპითელიუმის საბოლოო ნაწილი მეტნაკლებად გაწვრილებულია და ანათალზე სხვადასტური მისაა; ერთ შემთხვევაში იგი მოხრილია ნისკარტისებრ ქვევითკენ და გაძოდებული ნაწილით ებჯინება ენტეროდერმულ ეპითელიუმს (სურ. 1); მეორე



სურ. 3. ეპითელიუმების შესაყარის მიღმო გარეული ინვის კლოაკის ლორწოვან გარსში.

ა—მცირედდიფერენცირებული ეპიდერმული ეპითელიუმი. ბ—ეპიდერმული და ენტეროდერმული ეპითელიუმების შესაყარის ადგილი. ც—ენტეროდერმული ეპითელიუმი. დ—ფიალისებური უჯრედები. ე—ეპიდერმული ეპითელიუმის ნაწლავის კრიპტის მაგვარი წანახარდები. ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეში. ფ—ლორწოვანი გარსის კუნთოვანი შრე.

ფიჭსაცია: 10% -იან ფორმალინი, შელებვა: ჰაიდროკარბონის ჰემატოგლიციდინი. გადიდება  $\times 280$ .

შემთხვევაში, პირიქით, ეპიდერმული საფარველის მცირედ დიფერენცირებული ნაპირი გარშემო ეხვევა ქვემოდან ნაწლავის ტიპის ეპითელიუმის მცირე მონაკვეთს და თიშავს მას ადენოიდური ქსოვილისაგან. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, ორმ ეპითელიუმების შესაყარი ინაცვლებს ახალ ადგილზე 200 მკ-ით კრანიალურად (სურ. 2, ვ).

2. გარეული იხვი. შესაყარი ეპითელული და ენტეროდერმული ფენები თელიუმებს შორის ამ ცხოველის კლავაში მკვეთრად არის გაშონატული (სურ. 3).

ეპითელული ეპითელიუმი წარმოდგენილია ჩანასახოვანი და რქოვანი შრით (სურ. 4, ქ), შეიცავს უჯრედების მრავალ რიგს. მისი სისქე შესაყარის მიმართულებით თანდათან მატულობს 250 მკ-დან 375 მკ-მდე.

შესაყარის მიმართულებით ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეში ეპითელული ეპითელიუმი ქმნის საშუალოდ 175 მკ სიგრძისა და 135 მკ-ს სიგანის ნაწლავის კრიბტის ფორმის წანაზარდებს, რომელიც აც ოვოიდური ფორმა აქვთ. ამ წანაზარდების განაპირო მიღამოებში, განსაკუთრებით გარეთ მიმარ-



სურ. 4. ეპითელიუმების შესაყარის მიღამო გარეული იხვის კლავის ლორწოვან გარსში. ნაწევრადსქემატური სურათი.

ა—კანის ტიპის ეპითელიუმით გარსშემონვეული ენტეროდერმული საფარველი. ბ—ენტეროდერმული ეპითელიუმი. ც—ეპითელული ეპითელიუმის ნაწლავის კრიბტის მაგარი წანაზარდები ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეში. დ—ეპი-  
დერმული ეპითელიუმი. ე—ლორწოვანი გარსის კუნთვანი შრე.

ფიქსაცია: 10% -იანი ფორმალინი, შეღება: ჰაიდრაზინის ჰემატოქსილინი + მუციკარმინი, გადიდება  $\times 160$ .

თულ მხარეზე ეპითელური უჯრედები მცირედ დიფერენცირებულია, მათ შორის გვხვდება ბევრი მიტოზური ფიგურა.

ენტეროდერმული საფარველი წარმოდგენილია ფიალისებრი უჯრედების შემცველი (სურ. 3, ქ) ერთშრიანი ცილინდრული ყაეთნოვანი ეპითელიუმით (სურ. 3, ც). ენტეროდერმული ეპითელიუმით დაფარული ნაწლავის ლორწოვანი გარსი შეიცავს კრიბტებს და ხაოებს, რომელთა სიმაღლე კრანიალური მიმართულებით თანდათან მატულობს დაახლოებით 275 მკ-იდან 375 მკ-მდე. ხაოები შესაყარის მიმართულებით არიან დახრილი. ეპითელულ ეპითელიუმთან მიახლოვებისას ხაოები დაბლდება და ქრება. ამის შემდეგ ეპითელიუმი უკვე ფირფატის სახითაა გაშლილი. იგი ჯერ მდებარეობს ნაწლავის ზედაპირის პარალელურ სიბრტყეში, ხოლო შემდეგ მიემართება ზემოთ

და გარეთ და ფარავს მცირედ დიფერენცირებულ ეპიდერმული საფარებულებული გასქელებულ ნაპირს 125 მკ-ის მანძილზე (სურ. 3).

გარეული იხვის კლოვის შესაყარის მიღამოში, როგორც ნაწლავის, ისე, ჩატვა განსაკუთრებით საინტერესოა, კანის ტიპის ეპითელიუმების ქვეშ, ლორწოვანი გარსის საკუთარი შრე წარმოდგენილია ადენოიდური ქსოვილით. ადენოიდური ქსოვილი და მასთან ერთად ლორწოვანი გარსის კუნთოვანი შრეც (სურ. 4, e) შესაყარის კაუდალურად გრძელდება 1,75 მმ-ის მანძილზე.

ნაწლავის ეპითელიუმთან მომიჯნავე ეპიდერმული ეპითელიუმის საბოლოო ნაწილი მოქცეულია ენტეროდერმული საფარველის ქვეშ (სურ. 3) და მას გარს ეხვევა, რის გამო ეპითელიუმების შესაყარი ინაცვლებს კრანიალურად ახალ ადგილზე (სურ. 4).

### შედეგების განხილვა

როგორც ჩვენმა გამოკვლევამ გვიჩვენა, შესაყარი ეპიდერმულ და ენტეროდერმულ ეპითელიუმებს შორის შინაური ბატის და გარეული იხვის კლოვაში მცველრად არის გამოხატული.

როგორც ეპიდერმული, ისე ენტეროდერმული საფარველი შესაყარის მიღამოში ურთიერთგავლენის გამო რიგ ცვლილებას განიცდის (ა. ლეზავი).

ეპიდერმული ეპითელიუმის სისქე შესაყარის მიმართულებით თანდათან მატულობს, ლორწოვანი გარსის საკუთარ შრეში იგი ქმნის ერთიმეორეს მიმართ პარალელურად განწყობილი ნაწლავის კრიპტის ფორმის წანაზარდებს, რომელთა უჯრედები დიფერენცირებულია სხვადასხვა ხარისხით. ეპიდერმული ეპითელიუმით ამოფენილი „კრიპტის“ ნაპირებში და განსაკუთრებით ძირში ეპიდერმული უჯრედები მცირედდინიფერენცირებულია და მათ შორის გვხვდება ბევრი მიტოზური ფიგურა. ეპიდერმული წანაზარდების ცენტრისაკენ კი უჯრედები გაბრტყელებას და გარქოვანებას განიცდიან.

როგორც აღნიშნული იყო, შინაური ბატის და გარეული იხვის ეპიდერმულ წანაზარდებს განსხვავებული ფორმა აქვს: პირველს სინჯარისებრი, ხოლო მეორეს ოვოიდური და ეს შემთხვევითი არ არის. ასეთივე განსხვავებული ფორმა აქვს ამ ფრინველების ნაწლავის კრიპტებს: პირველს სინჯარისებრი, მეორეს—ოვოიდური.

კრიპტების ასეთი თავისებური და ამავე დროს განსხვავებული ფორმა, როგორც ჩანს, წარმოადგენს ყოველი ამ ფრინველის სახეობრივ თავისებურებას.

ნაწლავის ტიპის ერთშრიანი ცილინდრული ყაეთნოვანი ეპითელიუმით დაფარული ლორწოვანი გარსის კრიპტები და ხაოები შესაყარის მიმართულებით დაბლდებიან და ზოგ შემთხვევებში დახრილი არიან კაუდალურად. ეპიდერმულ საფარველთან მომიჯნავე კრიპტები ზოგჯერ დახშულია, ლორწოთან ამოვსებული და ზომაზე მეტად გაფართოებული.

შინაური ბატისა და გარეული იხვის კლოვის ლორწოვანი გარსის ეპიდერმული ეპითელიუმი განუწყვეტლივ ინაცვლებს ენტეროდერმული ეპითელიუმის ტერიტორიაზე, რასაც ადასტურებს: 1. ეპიდერმული ეპითელიუმის გადანაცვლების ფაქტი (სურ. 2 და 4). 2. აღნიშნული კრიპტისმაგვარი წანა-

ზარდების ქვეშ საკუთარ შრეში, ნაწლავისათვის დამახასიათებელი, უდინოფილ დური ქსოვილის არსებობა და ბოლოს 3. უჩვეულო გარემოს ფორმა ტენდენციალურად გავლენა ეპიდერმულ ეპითელიუმზე, რის გამო ეპიდერმულ წანაზარდებს ნაწლავის კრიპტის ფორმა და მიმართულება იქვთ.

ბატისნაირ ფრინველთა კლაკაში ეპითელიუმების შესაყარის მიღამოს შესწავლის შედეგად, ჩვენ მიერ მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ანალურ მიღამოში ნაწლავის კედელი ამოფენილია ორი სხვადასხვა წარმოშობის და დეტერმინაციის მქონე ეპითელური ქსოვილებით, რომელთა შორის არსებობს შესაყარი.

მიღებული დასკვნა ეთანხმება ავტორთა მონაცემებს, რომლებიც შეისწავლიდნენ ხერხემლიან ცხოველთა სხვადასხვა წარმომადგენლებში ეპითელიუმებს შორის ურთიერთობის საკითხს ანალურ მიღამოში (ე. ა. ზ. ი. ა. ნ. ი., ა. ბ. ლ. უ. მ. ბ. რ. გ. ი., ა. ს. ი. ლ. ა. ნ. ტ. ი. ე. ვ. ი., მ. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი.- დ. ე. დ. ა. ლ. ე. უ. ა. ვ. ა. დ. მ. კ. თ. ლ. თ. უ. ვ. ა. რ. ი.- მ. ა. რ. კ. ი. ნ. ა. დ. ს. ხ. ბ.).

მიღებული შედეგი ბატისნაირ ფრინველთა კლაკაში ეპიდერმული ეპითელიუმის ნაწლავის ტერიტორიაზე კრანიალური მიმართულებით გადანაცვლების და ცვალებადობის შესახებ, სავსებით ადასტურებს ა. ლ. ე. ა. ვ. ა. ს. (1959) მიერ დადგენილ ორ პროცესს: 1. ერთი ქსოვილის (ეპიდერმული ქსოვილის) მიერ მეზობელი ქსოვილის (ენტეროდერმულის) გაჭმა-რღვევას ორგანიზმის ნორმალური ცხოველმყოფელობის დროს და 2. ნაწლავში კრანიალურად გადანაცვლებული ეპიდერმულ ქსოვილზე მისთვის უჩვეულო გარემოს ფორმატულ გავლენას ზრდასრულ ორგანიზმში.

თბილისის უნივერსიტეტის

ჰისტოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 26. VI. 1961 წ.)

АРЗИАНИ Е. К.

## ГИСТОЛОГИЧЕСКИЕ ИЗМЕНЕНИЯ ЭПИТЕЛИЕВ В ОБЛАСТИ СТЫКА В КЛОАКЕ НЕКОТОРЫХ ПТИЦ (Гусеобразные—Anseriformes)

### Резюме

Были изучены межэпителиальные стыки в клоаке домашнего гуся (*Anser domesticus* L) и дикой утки (*Anas platyrhynchos* L).

Полученные нами результаты показывают, что кишечная стенка анальной области выстлана двумя разными по структуре, происхождению и детерминации эпителиальными тканями, между которыми имеется стык.

Этот вывод согласуется с данными других авторов, изучавших анальный стык эпителиев у разных представителей позвоночных животных Е. К. Арзиани, 1947, А. Ж. Блюмберг, 1950, 1955, М. М. Сихаулидзе, 1959, М. М. Сихарулидзе и А. С. Лежава, 1961, А. С. Лежава и М. Л. Коложвари—Маркина, 1961 и др.).

В ближайших участках от стыка, как эпидермальный, так и энтеродермальный эпителии, очевидно, в результате взаимного влияния испытывают ряд изменений.

Толщина эпидермального покрова в сторону стыка постепенно нарастает. В собственном слое слизистой оболочки у стыка эпидермальный эпителий образует параллельно расположенные тяжи, имеющие форму кишечных крипт. Клетки этих „эпидермальных крипт“ дифференцированы неодинаково. По краям, и особенно на конце, „крипт“ расположены малодифференцированные элементы, в толще которых встречается много митотических фигур, в сторону же осевой части „крипты“ клетки постепенно становятся плоскими и ороговевшими.

Нами было показано, что „эпидермальные крипты“ у домашнего гуся и дикой утки имеют отличающуюся друг от друга форму. В первом случае—напоминающую пробирку, во втором—овоидную. Это оказывается не случайным. Соответственно неодинаковыми оказались кишечные крипты у этих птиц: у гуся они имеют форму пробирки, а у утки—овоидную.

Разная и характерная форма кишечных крипт, очевидно, является видовым признаком изученных птиц.

В свою очередь, кишечные крипты и ворсинки в направлении к стыку становятся ниже и, в некоторых случаях, перекошены в сторону эпидермиса. Иногда крипты, непосредственно примыкающие к эпидермальному эпителию, бывают замкнуты, чрезмерно расширены и наполнены слизью (рис. 1).

Наиболее важным выводом нашей работы мы считаем факт перемещения эпидермального эпителия на территорию энтеродермального в слизистой оболочке домашнего гуся и дикой утки. Перемещение эпидермального покрова, прежде всего, подтверждается наглядными картинами, имеющимися на препаратах (рис. 2 и 4); во-вторых, тем, что под „эпидермальными криптами“ расположена аденоидная ткань, характерная для кишечного эпителия и, наконец, формативным влиянием на эпидермальный эпителий несвойственной для него среды, выражющейся в том, что эпидермальный покров, переместившийся на территорию энтеродермального образует „крипты“, имеющие форму и направление кишечных.

Наши данные, касающиеся перемещения эпидермального эпителия на территорию энтеродермального в клоаке у гусиных, полностью подтверждают ранее установленные А. С. Лежава (1959) в анальной области ряда млекопитающих животных и у человека явления:

1. Активное разрушение одной тканью (эпидермальной) другой смежной ткани (энтеродермальной) в условиях нормальной жизнедеятельности организма и

2. Формативное воздействие на эпидермальный эпителий новой, необычной для среды у взрослых особей.

- არზიანი ე. კ. 1947. Репаративная регенерация кожного и кишечного эпителиев на месте их стыка в анальной области. Тезисы докл. гистол. конференц. Ленинград.
- ბლუმბერგი ა., Блюмберг А. Ж. 1950. Экспериментально-гистологическое исследование эпителиев кожного и кишечного типов в смежном участке. Автореф. дисс., Ленинград.
- ბლუმბერგი ა., Блюмберг А. Ж. 1955. Гистологические особенности эпителиальной выстилки анальной области у крыс. АН СССР, 105, 3.
- კვინიხიძე გ. 1959. შინაური ქათმის საყლაპავი მილის და ჯირკვლოვანი კუჭის ეპითელიუმების შორის შესაყარის განვითარება. გაფართოებული ჰისტოლოგ. კონფერენც. მოხს. თეზისები. ობილისი.
- ჭორბაძა გ. 1959. ზოგიერთი თევზის, ამფიბიის, რეპტილიის და ფრინველის კუჭისა და საყლაპავის ეპითელიუმების შორის შესაყარი. გაფართოებული ჰისტოლოგ. კონფერენც. მოხს. თეზისები. ობილისი.
- ჭორბაძა გ. 1959. ეპიდერმული ეპითელიუმის მიერ ენტეროდერმული ეპითელიუმის გაჭმა-რღვევა ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ჩვეულებრივ პირობებში. გაფართოებული ჰისტოლოგ. კონფერენც. მოხს. თეზისები. ობილისი.
- ჭორბაძა გ. და კოლოუვარიმარკინა გ. 1961. შინაური ქათმის კლოაკაში ეპითელიუმების შორის შესაყარის განვითარება. თსუ შრომები, ტ. 88.
- სიხარულიძე გ. 1959. ეპითელიუმების შორის შესაყარი ზოგიერთი ამფიბიის, რეპტილიის და ფრინველის კლოაკაში. გაფართოებული ჰისტოლოგ. კონფერენც. მოხს. თეზისები. ობილისი.
- სიხარულიძე გ. და ლეუჯავა გ. 1961. ზოგი ამფიბიის, რეპტილიის და შინაური ქათმის ეპითელიუმების შორის შესაყარი კლოაკაში თსუ შრომები, ტ. 88.
- სილანტ'ევ ა., Силянтьев А. К. 1949. Гистологическая картина многолетних оперативных сращений кожи и стенки кишки у человека. Тезисы докл. 5-го Всесоюз. съезда анат., гистол. и эмбриол., Ленинград.
- შლოპინი ნ., Хлопин Н. Г. 1935. О некоторых особенностях и значении пограничных участков между покровными эпителиальными пластами разного строения в пищеварительном аппарате. Юбил. сб. 25-лет науч. деят. проф. Н. Н. Аничкова.

Кафедра гистологии  
Тбилисского университета

(Поступила в редакцию 26. VII. 1961 г.)



გადაეცა წარმოებას 29/I-62  
ხელმოჭერილია დასაბეჭდად 12/III-63 წ.  
ანაზომის ზომა 7×11  
ქაღალდის ზომა 70×108  
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 9,93  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახთა რაოდენობა 7,3

ფასი 75 კაპ.

შეკვეთა № 108

უმ 03181

ტირაჟი 300

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა,  
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства Тбилисского государственного университета,  
Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.